პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის ქ. № 54, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებები, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 10 თებერვალი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 33 (2379)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის ვარშავაში.
- ამერიკის წარმომადგენლები სარეპარაციო კომისიაში პარიზს გაემგზავრნენ.
- 20.000 მეღაროეს გაფიცვა შეერთებულ შტატებში.
- პოლონეთის სეიმმა დაამტკიცა კელოგის პაქტი.
- ესპანეთში აჯანყება არ არის ჩაქრობილი.
- ირლანდიელ რესპუბლიკანელების ბელადს—დე-ვალერას 1 თვის ციხე მიუსაჯეს.
- ფრანგი მენშევიკები ელზასის ავტონომიის წინააღმდეგ

ორშაბათს, 18 თებერვალს, თბილისის მუშათა თეატრის შენობაში (ყორესის ქუჩაზე)

მოწვეულია

თბილისის მე-9 პარტკონფერენცია

დღის წესრიგი:

1. თბილისის კომიტეტის ანგარიში და კომკავშირის თბილისის კომიტეტის თანამოხსენება.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მოხსენება.
4. მუშაობა იდეოლოგიურ ფრონტზე.
5. სოფლად მუშაობა.
6. არჩევნები.

თბ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

ღონისძიებანი პარტიის მუშური შემადგენლობის გასაძლიერებლად

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარსული წლის ნოემბრის პლენუმმა პარტიის ზრდის მოწესრიგების შესახებ გამოიტანა ცალკე დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია: „პარტიაში მუშების გაძლიერებული მიღების მიზნებთან შეფარდებით, და, მაშასადამე, სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდის ძირითად ამოცანებთან შეფარდებით, საჭიროა პარტიაში მიღებულ იქნენ მუშათა კლასის ნამდვილი მოწინავე ელემენტები, რომელთაც აქვთ უნარი წინ გაუძღვენ მუშათა მასებს“.

პლენუმის ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად საკავშირო კომპარტიის ცეკამ გამოიტანა სპეციალური დადგენილება („კომუნისტი“, № 29, 6 თებერვალი), სადაც აღნიშნულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელნიც საფუძვლად უნდა დაედოს ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობას პარტიის ზრდის მოწესრიგების საქმეში. მთავარი, რაც ახასიათებდა კომუნისტური პარტიის საქმიანობას თავისი რიგების ორგანიზაციულად გაძლიერების დარგში, იყო და ეხლაც არის — მუშათა შემადგენლობის გადიდება პარტიაში. ეს ძირითადი გეზი ცეკას ახალ დადგენილებაში კიდევ უფრო ხაზგასმითაა აღნიშნული. ახალი ღონისძიებანი პარტიის ზრდის მოწესრიგების საქმეში იძლევა მეტ გარანტიებს იმისათვის, რომ კომუნისტური პარტია დაცულ იქნას შემთხვევით და უვარგის ელემენტების მიტმასნისაგან, ამავე დროს ეს ღონისძიებანი კიდევ უფრო ფართე შესაძლებლობას ქმნიან მუშათა მასების მოწინავე ნაწილისათვის ლენინის პარტიის რიგებში შესასვლელად.

ამ მხრივ აღსანიშნავია ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ის ადგილი, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს მოსამსახურე ელემენტის მიღება პარტიაში „დაწესებულ იქნას, ნათქვამია დადგენილებაში, რომ მოსამსახურეებს (და დანარჩენებს), როგორც კანდიდატად მიღების დროს, ისე კანდიდატობიდან პარტიაში გადარიცხვის დროს იმ ხუთი კომუნისტიდან ხუთ-ხუთი წლიანი სტაჟით, რომელნიც მათ რეკომენდაციას აძლევენ, ჰყავდეთ სამი წარმოების მუშა (სოფლად არანაკლებ ორი მოჯამაგირისა ან სასოფლო - სამეურნეო მუშისა)“.

ეს მნიშვნელოვანი ცვლილება მოსამსახურეთა და დანარჩენთა მიღების საქმეში, უთუოდ დიდად შეუწყობს ხელს კომუნისტური პარტიის რიგების დაცვას სოციალურად უცხო და პოლიტიკურად არამტკიცე ელემენტებისაგან.

ამავე დროს ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ითვალისწინებს სპეციალურ ღონისძიებას იმ შემთხვევისათვის, როცა ესა თუ ის ორგანიზაცია არაჯანსაღად იზრდება. ასეთ მდგომარეობას ადგილი აქვს უმეტეს შემთხვევაში არაპროლეტარულ რაიონებში და იქ, სადაც ადგილობრივ ორგანიზაციების ხელმძღვანელნი ვერ იჩენდნენ საჭირო ენერგიას პარტიის გასაძლიერებლად დაზგის მუშების ახალი კადრებით. ასეთი არანორმალური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ცენტრალური კომიტეტი ადგენს: „როცა ორგანიზაცია არაჯანსაღად იზრდება არაპროლეტარული ელემენტების ხარჯზე, დროებით, განსაზღვრული ვადით, შეიძლება შეწყვეტილ იქნას არაწარმოების მუშების მიღება პარტიაში“. ცეკას დადგენილება აქვე აღნიშნავს, რომ ყოველ ცალკე შემთხვევაში როცა საჭირო იქნება ხსენებულ ღონისძიების მიღება, აუცილებელია ცეკას ნებართვა.

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს ზომები ერთხელ კიდევ ნათლად მოწმობს, რამდენად დიდი ყურადღება ექცევა პარტიის რიგების სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებას. ადგილობრივი ორგანიზაციების წინაშე კვლავ მთელი სიმწვავით იშლება საკითხი მუშათა ახალი კადრების გაერთიანების შესახებ პარტიის რიგებში. ამ ამოცანის გადაწყვეტა არ შეიძლება დაკვრითი წესით. საჭიროა, გეგმიანი და წინასწარი მუშაობა იმისათვის, რომ უპარტიო მუშათა მასების მართლაც საუკეთესო აქტივი, მისი მოწინავე ელემენტები მოჰყვეს პარტიის რიგებში. ამიტომ ყველაზე უფრო საშიშია ასეთ შემთხვევაში მექანიკური მეთოდებით მუშაობა. იყო შემთხვევები, როცა ესა თუ ის პარტიული ორგანიზაცია ავალებდა ქვემდგომ პარტიულ გაერთიანებებს, რომ მათ მიეღოთ პარტიის წევრებად მუშათა განსაზღვრული რიცხვი. ქვედა საფეხურის ორგანიზაციებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ კეთილსინდისიერად შეესრულებინათ ეს დავალება და მეტად ნაჩქარევად აწარმოებდნენ მუშათა მიღებას პარტიაში. ცხადია, თუ რა შედეგს გამოიღებდა ასეთი ხელოვნური ზომები.

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კატეგორიულად ილაშქრებს ამგვარი მავნე პრაქტიკის წინააღმდეგ. „წინადადება მიეცეს პარტიულ კომიტეტებს, ნათქვამია ცეკას დადგენილებაში, დაუყოვნებლივ მოსპონ ზოგიერთ ადგილებში შემოღებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ქვედა საფეხურის ორგანიზაციებისათვის აწესებენ ზრდის საკონტროლო ციფრებს, საორგანიზაციო ციფრობრივ გეგმებს და სხვ. მოწესრიგების ეს მექანიკური პრაქტიკა შეცვლილ უნდა იქნას თვითეულ ორგანიზაციისათვის ცალკე, კონკრეტიული დირექტივების მიცემით“.

თავის რიგების შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის პარტია, სხვა ზომებს შორის, დროგამოშვებით მიმართავს წმენდას. ერთ-ერთი ასეთი წმენდისათვის ჩვენ ვემზადებით ამჟამადაც. თავისთავად ცხადია, ეს ღონისძიება საუკეთესო საშუალებათაგანია პარტიის გასაჯანსაღებლად და მისი რიგების კიდევ უფრო განსამტკიცებლად. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ დროგამოშვებით წმენდას მით უფრო დაეკარგება მნიშვნელობა, რაც უფრო მეტ დეფექტებს ექნება ადგილი პარტიის ზრდის მოწესრიგების საქმეში. კომუნისტური პარტიის რიგების სიწმინდისა და ლენინური სიმტკიცის დაცვის საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიაში მიღების საქმის გაუმჯობესებას. მთავარია ამ შემთხვევაში—კურსი უპარტიო მუშათა მასების მოწინავე ნაწილის პარტიის რიგებში მიზიდვისაკენ. ეს მტკიცედ უნდა გვახსოვდეს პარტიის ზრდის მოწესრიგების საკითხების გადაწყვეტის დროს.

გაზაფხულის თესვა ფართო პოლიტიკური კამპანიაა

კლასობრივი ბრძოლა სოფლად თანდათან ფართოვდება და ვრცელდება გლეხური ცხოვრების ახალ და ახალ დარგებზე. დაწყებული ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიებით, როგორიცაა საბჭოების არჩევნები და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა, და გათავებული სოფლის ყოფა-ცხოვრების ყოველდღიური წვრილმანებით—ყოველსავე ამას ეხლა ეძლევა პოლიტიკური მნიშვნელობა და ყოველივე ასე თუ ისე ფასდება კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით. განსაკუთრებით გამწვავებულ ფორმებს სამეურნეო მშენებლობის დარგში ღებულობს პროლეტარიატის სოფლელ მოკავშირეთა ბრძოლა გლეხობის კულაკურ ფენებთან, რომელნიც წინააღმდეგობას უწევენ სოციალისტურ შეტევას. გადასახადი, პურის დამზადება, ნათესის გაფართოება და სოფლის მეურნეობის კოლექტიური ფორმების მშენებლობა—ყოველივე ეს გადაიქცა გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ასპარეზად.

ამ პირობებში გასაგებია ის უაღრესად დიდი ყურადღება, რომლითაც პარტია და მუშათა კლასი ეპყრობიან გაზაფხულის თესვის კამპანიის მოწყობის საქმეს. ხოლო ამ კამპანიის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჩვენთვის აშკარა გახდება მაშინ, თუ დავაკვირდებით ჩვენს წინააღმდეგ წარმოებული კლასობრივი იერიშების იმ განსაკუთრებულ ფორმებსა და ხერხებს, რომლებსაც ამ უკანასკნელ დროს მიმართავენ სოფლის ზედა ფენები. სოფლის შეძლებული ფენები მიმდინარე წელს სარგებლობენ ჩვენი დაბრკოლებებით საქონლის მიწოდების დარგში, იყენებენ იმ ნერვიული განწყობილების ატმოსფერას, რომელიც შექმნა მოუსავლიანი რაიონების პურის ბაზარზე და სცდილობენ ჩაშალონ სახელმწიფოს მიერ პურის დამზადების საქმე, სცდილობენ აიძულონ პროლეტარული სახელმწიფო მოსპოს მანქანების მიწოდების სახელმწიფოებრივი სისტემა, სცდილობენ ძირი გამოუთხარონ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას. ეს შეფერხება, რომელსაც ადგილი აქვს პურის დამზადების საქმეში, ცხადჰყოფს, რომ აქ საკმაოდ მძიმე ბრძოლა მოგველის.

გარდა იმისა, რომ კულაკები გაურბიან საბჭოთა პურის ბაზარს, სოფლის შეძლებული ფენები აგრეთვე სცდილობენ უფრო ფართო მასშტაბით გაუწიონ საბოტაჟი საბჭოთა ეკონომიკას. გასული წლების თესვის კამპანიების შედეგები სავსებით უდავოდ ამტკიცებენ ასეთი საბოტაჟის არსებობას: ყველა ძირითად სასოფლო-სამეურნეო რაიონში ხელმოკლე ფენებმა ნათესების სივრცე გააფართოვეს, შეძლებულმა ფენებმა კი თვალსაჩინოდ შეამცირეს 1928 წლის შემოდგომის ნათესების სივრცის რამდენადმე შემცირება ადასტურებს კულაკების ბოროტ განზრახვას—მოაწყონ საბჭოთა ქალაქის „პურის ბლოკადა“. უეჭველია, რომ მომავალ თესვის კამპანიაში კულაკები გამოიყენებენ ყოველ მოხერხებულ შემთხვევას და შეეცდებიან ისეთი გავლენა მოახდინონ სოფელზე, რომ შეამცირებინონ მას ნათესი სივრცე.

თუ ამას დავსძენთ, რომ ყოველივე ეს ვითარდება უაღრესად ჩამორჩენილი, დაქუცმაცებული და ბარბაროსულად დაბალ მოსავლიანი გლეხური მეურნეობის ფონზე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მომავალი გაზაფხულის თესვის კამპანია გამწვავებულ პირობებში ჩატარდება. სოფლის მეურნეობაში ჩვენ მხოლოდ ეხლა ვცდილობთ გადავდგათ პირველი გაუბედავი ნაბიჯები ტექნიკური ჩამორჩენილობისა და აგრიკულტურული უცოდინარობის ერთბაშად მოსასპობად. მაგრამ ჩვენს ამ მისწრაფებებს გაბოროტებულ წინააღმდეგობას უწევენ კლასობრივი მტრები. რა თქმა უნდა, აქ არაფერი არ არის საკვირველი და საშიშარი: სამწუხაროდ, უკლასო ეკონომიკა ჯერ-ჯერობით არ არსებობს და სოფლის მეურნეობის ახალ სოციალურ-ტექნიკურ საფუძველზე გარდაქმნა შეუძლებელია კლასობრივი ბრძოლის გარეშე. მაგრამ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობები განსაკუთრებული მნიშვნელობისა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობის ბეჭედს ასვამენ ჩვენს კულტურულ-ეკონომიურ და კულტურულ-ტექნიკურ ღონისძიებებს.

ერთი შეხედვით, მომავალი გაზაფხულის თესვის კამპანიის ამოცანები მეტად მარტივად შეიძლება გვეჩვენოს: უნდა გაფართოვდეს ნათესების სივრცე 9 პროცენტით და უზრუნველყოფილ იქნას მოსავლიანობის უმნიშვნელო (სულ 3 პროცენტით) გადიდება. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოთაღნიშნულ პირობებს, ამ მარტივ ამოცანებს ეძლევა უაღრესად ფართო მნიშვნელობა, პოლიტიკური გამოცდის მნიშვნელობა.

ნათესის სივრცის გაფართოებას, ამ მარტივ აგროეკონომიურ პროცესს, ეძლევა სამმაგი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა.

უწინარეს ყოვლისა, ნათესების სივრცის საკმაოდ გაფართოება წარმოადგენს პირველ ძირითად პირობას ბაზარზე გამოსატანი მარცვლის რაოდენობის გადიდებისათვის, რაც ასე საჭიროა ჩვენი ქალაქებისა და ექსპორტისათვის. ნათესების სივრცის გაფართოების უზრუნველყოფა ნიშნავს ჩვენი ინდუსტრიალიზაციისათვის მკვიდრი დასაყრდენის შექმნას სოფლის მეურნეობის სახით. ყველასათვის აშკარაა, რომ ასეთი დასაყრდენის გარეშე საეჭვოა სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციისაკენ აღებული ტემპის შენარჩუნება.

მეორეს მხრივ, ნათესების სივრცის გაფართოება ჩვენს პირობებში შესაძლებელია მხოლოდ ბრძოლით, მხოლოდ მაშინ, თუ სამეურნეო გამარჯვებას მოვიპოვებთ სოფლის კულაკურ ზედა ფენაზე, რომელიც საბოტაჟის გაწევის მიზნით სცდილობს შეამციროს თავისი ნათესების სივრცე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გლეხობის ზედა ფენების ნათესების სივრცის შესაძლებელ შემცირებას მნიშვნელობას დავუკარგავთ ღარიბ და საშუალო გლეხთა ნათესების სივრცის გაფართოებით, მხოლოდ ამ შემთხვევაში შევსძლებთ პარტიისა და მთავრობის დავალების შესრულებას.

დასასრულ, ნათესების სივრცის გაფართოების დროსაც ჩვენ მთავარ მნიშვნელობას ვაძლევთ სოფლის მეურნეობის თვისებრივ გარდაქმნას და მის გადაყვანას განსაზოგადოებული მეურნეობის გზებზე. საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა მაქსიმალურად უნდა გააფართოვონ ნათესების სივრცე.

თავისთავად ცხადია, ნათესების სივრცის გაფართოების ამოცანასთან განუყრელად არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობის ტექნიკური დონის აწევის ამოცანა, აგრო-მინიმუმის, სავალდებულო მინიმუმის და აუცილებელ უმარტივეს აგრონომიულ გაუმჯობესებათა შემოღება პირველად უნდა განხორციელდეს ფართოდ მომავალი გაზაფხულის თესვის კამპანიაში. დახარისხებული წმინდა თესლით უზრუნველყოფა, გაუმჯობესებული ინვენტარის მიწოდება და მინერალური სასუქის ფართოდ გამოყენების დაწყების ცდა—მთავრობის მიერ მიღებული ყველა ეს ღონისძიება მოასწავებს სოფლის მეურნეობისათვის დახმარების აღმოჩენას და, კერძოდ, მეურნეობის წარმოების რაციონალურ მეთოდზე გადასვლისათვის ხელის შეწყობას. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს მატერიალურ და ფინანსიურ რესურსებს, აქ ადგილი აქვს უდიდესი პოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობის მქონე პროცესის დასაწყისს.

მიმდინარე კამპანია, მისი განსაკუთრებული ადგილისა და მნიშვნელობის გამო, სცილდება ჩვეულებრივი დავალების ფარგლებს, „დაინტერესებულ“ დაწესებულებათა ვიწრო წრეს და იქცევა უფართოეს საერთო-პოლიტიკურ კამპანიად. იმ ბრძოლაში, რომელსაც ვაწარმოებთ ნათესი სივრცის გაფართოებისათვის, აუცილებლად უნდა დავამარცხოთ კულაკი, ხოლო ამისათვის ეს ბრძოლა ისეთ სამეურნეო და პოლიტიკურ პირობებში უნდა ჩავაყენოთ, რომ გლეხობის ყველა ის ჯგუფი, რომელიც სოციალურად ახლოა ჩვენთან (ღარიბი გლეხობა და საშუალო გლეხობის ძირითადი ფენები), გაიმსჭვალოს ნამდვილი კლასობრივი სამეურნეო ენტუზიაზმით. მთავრობის ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დარგში, კრედიტის, მანქანების მიწოდების დარგში და სხვ. ქმნიან ყველა წინასწარ პირობას იმისათვის, რომ საშუალო გლეხობის მეურნეობა ეკონომიურად დაინტერესებული იყოს ნათესების სივრცის გაფართოებაში და მოსავლიანობის გადიდებაში. ადგილებზედაც აუცილებლად უნდა შევსძლოთ, რომ ყველა კამპანიის (როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკური) გატარების დროს საშუალო გლეხის სამეურნეო ინტერესი არავითარ შემთხვევაში არ შეილახოს. რევოლუციონური კანონიერების ლოზუნგი აღარ უნდა წარმოადგენდეს უბრალო აგიტაციურ ლოზუნგს, იგი უნდა გადაიქცეს ყოველდღიურ პრაქტიკულ დირექტივად ჩვენი ქვედა საფეხურის ორგანოებისა და ცალკე მუშაკებისათვის. საშუალო გლეხობის ინდივიდუალური მეურნეობის ამ სამეურნეო დაინტერესებაზე დაყრდნობით და განსაზოგადოებული სექტორის ყოველმხრივ განვითარებით ჩვენ ადვილად შევსძლებთ დავსძლიოთ კულაკების ეკონომიური საბოტაჟი და შევასრულოთ დავალება ნათესების სივრცის გაფართოების დარგში.

იმ ფართო საზოგადოებრივ კამპანიაში, რომელიც უნდა განვითარდეს და უკვე ვითარდება მომავალი გაზაფხულის თესვის ირგვლივ, ერთ-ერთი უმთავრესი საპატიო ადგილი ეკუთვნით აგრონომებს, როგორც მეცნიერული პრინციპების გამტარებელთ სოფლის მეურნეობაში. ჩვენ უნდა შევაჩვიოთ გლეხები იმ აზრს, რომ დროა ხელი აიღონ მამაპაპურ წესებზე მეურნეობის წარმოებაში, რომ დროა გლეხური მეურნეობამაც კვალ და კვალ მისდიოს მეცნიერების განვითარებას და რომ ამიტომ გლეხის მთავარი მრჩეველი და ხელმძღვანელი მის მეურნეობაში აგრონომი უნდა იყოს.

როდესაც გაზაფხულის თესვის კამპანიის ირგვლივ ვიწყებთ ფართო პოლიტიკურ მუშაობას, როდესაც გაზაფხულის თესვის საქმეში ვაბამთ სოფლის აქტივის ყველა ფენას და იმედს ვამყარებთ იმაზე, რომ საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიებას თავდადებით შეუწყობენ ხელს გლეხობის ის ფენები, რომელნიც მეგობრულად არიან განწყობილნი ჩვენს მიმართ,—ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა შევასუსტოთ ფხიზელი საზოგადოებრივი კონტროლი ჩვენს იმ უწყებებსა და დაწესებულებებზე, რომელთაც კავშირი აქვთ თესვის კამპანიაში დასახული ამოცანების შესრულებასთან.

ასეთ პირობებში ჩვენ შევსძლებთ ეკონომიურად დავამარცხოთ კულაკი, განვამტკიცოთ სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორი და შევუქმნათ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საქმეს სასოფლო-სამეურნეო დასაყრდენი.

„იზვესტია“, 9 თებერვალი.

გუშინ მოსკოვში ხელი მოაწერეს ლიტვინოვის ოქმზე

მოძრაობა საბჭოთა კავშირთან შეთანხმების სასარგებლოდ ინგლისში

საფრანგეთის სამხედრო სარდლობამ გარეკა სირიის დამფუძნებელი კრება

ინდოეთის და თურქეთის პრესა ამხილებს ინგლისის როლს ავღანისტანის აჯანყებაში

ხელი მოაწერეს ლიტვინოვის ოქმზე

მოსკოვი, 9 თებერვალი. 9 თებერვალს, საღამოს საგარეო საქმეთა სახკომისარიატის საკონფერენციო დარბაზში ხუთი სახელმწიფოს რწმუნებულების — ლიტვინოვის (საბჭოთა კავშირი), სელიამაას (ესტონეთი), ოზოლსის (ლატვია), პატეკის (პოლონეთი) და დევილლას (რუმინეთი) მიერ ხელმოწერილი იქნა ოქმი კელოგის პაქტის ვადამდე ძალაში შესვლის შესახებ. გახსნა რა საზეიმო სხდომა ოქმზე ხელის მოწერის შესახებ ამხ. ლიტვინოვმა ოქმზე ხელისმომწერთ მიმართა სიტყვით, რომელშიაც სხვათა შორის აღნიშნა:

„საბჭოთა მთავრობის წინადადება ოქმზე ხელის მოწერის შესახებ, წარმოადგენს მხოლოდ ერთ რგოლს მისი ღონისძიებათა იმ დაუსრულებელ ჯაჭვში, რომელიც მიმართულია საყოველთაო მშვიდობიანობის დამყარებისაკენ და კერძოდ მშვიდობიანობის დამყარებისაკენ აღმოსავლეთ ევროპაში. მშვიდობიანობის ყველაზე უფრო სერიოზულ გარანტიათ საბჭოთა მთავრობას მიაჩნია განიარაღება, რომლის წინადადებას ის აძლევდა და დღესაც აძლევს ყველა ერს. მხოლოდ განიარაღება წარმოადგენს საერთაშორისო შეთანხმებებით მიღებულ მორალურ და ფორმალურ ვალდებულებათა ნამდვილ გარანტიას მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად. მეორე მხრივ, თვითეულ ასეთ საერთაშორისო შეთანხმებას აქვს ეფექტიური მნიშვნელობა, რამდენად ის ხელს უწყობს განიარაღების იდეის დაჩქარებით განხორციელებას. ხელმძღვანელობდა რა ამ მოსაზრებებით, საკავშირო მთავრობა თავის დროზე მიემხრო კელოგის პაქტს, თუმცა ამასთანავე ანგარიშს უწევს მის დაუკმაყოფილებლობასაც იგივე მოსაზრებებმა აიძულეს საბჭოთა მთავრობა გადაედგა ნაბიჯები კელოგის პაქტის განსამტკიცებლად. მაგრამ საკავშირო მთავრობის წინადადება ოქმის შესახებ უპირველესად ყოვლისა გაგებული უნდა იქნეს, როგორც საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობისაკენ მიმართული ნებისყოფის მანიფესტაცია. ის გარემოება, რომ ოქმზე ხელისმომწერ დელეგატთა შორის იმყოფება წარმომადგენელი იმ სახელმწიფოსი, რომელთანაც საბჭოთა კავშირს არა აქვს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა და რომელთანაც არსებობს ძველი, სერიოზული, დღემდე გადაუწყვეტელი დავა, რომელსაც დღევანდელი ოქმიც არ სწყვეტს, დამატებით მოწმობს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობას“. დასასრულ ამხ. ლიტვინოვმა გამოსთქვა იმედი, რომ ოქმის რატიფიკაცია მასში ყველა მონაწილეთა მიერ უახლოეს მომავალში მოხდება და აღნიშნა, რომ რაც უფრო ადრე მოხდება ეს რატიფიკაცია, მით უფრო გაიზრდება აქტის მნიშვნელობა“. ამხ. ლიტვინოვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პოლონეთის ელჩმა ბ. პატეკმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მაშინაც კი, როდესაც კელოგის პაქტი ძალაში შევა, ის ოქმი, რომელსაც დღეს ხელს აწერენ, მაინც არ დაკარგავს თავის მნიშვნელობას საუკეთესო ურთიერთობის განსავითარებლად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის.

პატეკის სიტყვისა და რწმუნებების შემოწმების შემდეგ ოქმი ხელმოწერილი იქნა ფრანგული ალფაბეტის რიგის მიხედვით. (ადს)

ბალტიის სახელმწიფოების პოზიცია

კოვნო, 8 თებერვალი. ლიტვის საგენტო აღნიშნავს, რომ მიღებული ცნობების თანახმად, ლატვიის მიმართვა საბჭოთა კავშირისადმი, რომ ოქმზე ხელის მოსაწერად მიწვეულ იქნან ლიტვა და ფინლიანდია, ლიტვის პოლიტიკურ წრეებში მიაჩნიათ მეტად დაგვიანებულად. ლიტვის წრეებში აღნიშნავენ, რომ ოქმზე ერთდროულად ხელის მოწერის პროექტის ავტორად უნდა ჩაითვალოს არა ლატვია, არამედ პოლონეთი. ლატვიამ ამ შემთხვევაში მხოლოდ პოლონეთის შუამავლის როლი ითამაშა.

საგენტო აღნიშნავს: ლიტვის მთავრობა იმ თავითვე სთვლიდა, რომ შემდგომად მიმხრობა ოქმისადმი ყველაზე უფრო შეესაბამება, როგორც ლიტვის, ისე ბალტიის სხვა სახელმწიფოების ინტერესებს. ლიტვის მთავრობა განაგრძობს ამ პოზიციაზე დგომას.

რუმინეთი ნიადაგს სინჯავს

ვენა, 8 თებერვალი. ბუქარესტის გაზეთი „კუვანტულ“-ი, ალბად, საცდელი ნაბიჯის სახით, სწერს შეუმოწმებელ ცნობას იმის შესახებ, რომ ლიტვინოვის ოქმზე ხელის მოწერის შემდეგ ბუქარესტში ჩამოვა საბჭოთა ეკონომიური დელეგაციაო.

ამ ცნობის თანახმად, ვითომ უკვე დაიწყო წინასწარი მოლაპარაკება, რომ დელეგაციას ბინად მიეცეს რუსეთის ყოფილი საელჩოს შენობა.

შენიშვნა: საკ. დეპ. სააგენტოს მიერ შეკრებილი ცნობებით, „კავანტულ“-ის ცნობა სიმართლეს არ შეეფერება.

ესტონეთი მოითხოვს ოქმზე ხელის მოწერის ვადის გადადებას

რეველი, 9 თებერვალი. გაზეთების ცნობით, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 8 თებერვალს შეეკითხა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს რეველში—შესაძლებელია თუ არა, რომ მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერა გადადებული იქნეს 11 თებერვლამდე. ამასთანავე მინისტრმა ესტონეთის წარმომადგენელს მოსკოვში დაავალა, თუ ვადის გაგრძელება შეუძლებელი აღმოჩნდა ოქმზე მოაწეროს ხელი 9 თებერვალს. (ადს)

ინგლის-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

ესკიუს განცხადება

ლონდონი, 8 თებერვალი. სამრეწველო კორპორაციის „ატლას“-ის დირექტორმა და ლონდონის საფონდო ბირჟის რწმუნებულმა ესკიუმ, რომელიც მონაწილეობას იღებდა ინგლის-რუსეთის კომიტეტის შექმნაში, აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში წასასვლელი დელეგაცია ინგლისის საქმიანი წრეებისა მოითხოვს ორ არსებით პირობას.

„პირველი, — აცხადებს ესკიუ, — რუსეთმა უნდა მიიღოს თავის თავზე ვალდებულება, რომ შესწყვეტს მესამე ინტერნაციონალის პროპაგანდისტულ მუშაობას. მეორე, მან უნდა იცნოს თავისი ვალები. მაგრამ კარგი იქნება იმ დრომდე, ვიდრე ამოივსებოდეს ის უფსკრული, რომელიც არსებობს ჩვენ სამრეწველო გაერთიანებებსა და რუსეთს შორის, საბჭოთა მთავრობამ წარმოადგინოს ისეთი ფორმა, რომლის მიხედვითაც ინგლისს შეეძლება იცნოს საბჭოთა კავშირი“.

შემდეგ ესკიუ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის განახლებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი სესხი, რომლის განხორციელებაც შეიძლება მხოლოდ მთავრობის დახმარებით.

„ვფიქრობ, — განაგრძობს ესკიუ, — რომ ინგლისის მთავრობა საგრძნობლად წინ წასწევს ინგლისის ვაჭრობას, თუ ინგლის - რუსეთის ვაჭრობას მისცემს კრედიტს 150-დან 250 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე. რაც შეეხება რუსეთის მიერ ვალების ცნობას, სისულელე იქნება ფიქრი, რომ სათანადო ვალდებულება რუსეთის მხრივ ჟესტის გარდა ნიშნავდეს სხვა რამეს; ბოლოს და ბოლოს, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ პოტენციალურ ეკონომიურ რესურსებს, რუსეთი კი ისეთი ფართო შესაძლებლობის ქვეყანაა, რომ კომპენსაციის გარეშეც დიდი აზრი აქვს თავისუფალი ვაჭრობის განახლებას რუსეთთან, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი დაუბრუნდება ხალხებთან თანამშრომლობას“. (ადს)

ინგლისის საქმიანი წრეების ინტერესი საბჭ. კავშირისადმი

ლონდონი, 8 თებერვალი. „ინგლიშ რევიუ“-ს რედაქტორი რემნანტი (რომელმაც საბჭოთა კავშირში ინგლისელი მრეწველების დელეგაციის გამგზავრების გეგმა წამოაყენა) განცხადებით გამოვიდა ინგლისელი მრეწველების მიერ შექმნილი ინგლის - რუსეთის კომიტეტის სახელით. ეს განცხადება ეხება იმ „ეჭვებს“, რომლებსაც ზოგიერთი წრეები გამოსთქვამენ დელეგაციის გამგზავრების ნაყოფიერი შედეგების შესაძლებლობის შესახებ, რემნანტი ამ „ეჭვების“ გამო შემდეგს ამბობს:

„ინგლისის ყოველი მხრიდან მოსული შეკითხვები ამ საკითხის შესახებ უდავოდ ადასტურებენ საქმიანი წრეების უაღრესად ცხოველ ინტერესს ამ საქმისადმი და გვიჩვენებენ იმ სულიერ განწყობილებას, რომელიც ამ წრეებში სჭარბობს“. (ადს)

ინგლისის როლი ავღანისტანის ამბებში

თურქეთის პრესა ავღანისტანის ამბების შესახებ

სტამბოლი, 8 თებერვალი. გაზეთი „მილიეთ“-ი კვლავ ეხება ინგლისის როლს ავღანისტანში მომხდარ უკანასკნელ ამბებში და სწერს: „ინგლისის როლი ავღანისტანის ამბებში თანდათან აშკარავდება მთელი თავისი სისაძაგლით. ეჭვს გარეშეა, რომ ბაჩა-საკაოს კანდიდატურა ავღანისტანის ტახტზე წამოყენებული იყო ინგლისის მთავრობის მიერ. ვითომ საშიში მდგომარეობის მომიზეზებით ინგლისელებმა დაჰკეტეს ინდოეთის საზღვარი და ავღანისტანს ბლოკადა შეუქმნეს. ამასთან ერთად მათ ავღანისტანში გაგზავნეს საგენერალო შტაბის ორი აგენტი, რომელნიც აჯანყებულებს ეხმარებოდნენ. ამავე დროს ინგლისმა [illegible] მორალური ან მატერიალური დახმარება აღმოეჩინათ. ინგლისის ელჩი შეშფოთებულია, იგი ამანულას მოახლოვების მომენტში ქაბულის დატოვებას აპირებს, რაც დიდად საგულისხმოა.“

გაზეთი ეხება ავღანისტანის მოსკოველი ელჩის განცხადებას და სწერს:

„ის ფაქტი, რომ ინგლისი ასე უცერემონიოთ ექცევა მეზობელ თავისუფალ სახელმწიფოს რომელთანაც მას მშვიდობიანი ურთიერთობა აქვს, უმაგალითოა. აქიდან სჩანს, რომ ინგლისელები ავღანისტანს სთვლიან ისეთ სახელმწიფოდ, რომელიც ინგლისის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება. როგორ შეიძლება გამართლებული იქნას ასეთი თავდასხმა პატარა, მაგრამ მამაც ავღანისტანის ხალხზე იმ დღეებში, როდესაც კელოგის პაქტით ომი უკანონოდ არის გამოცხადებული“. (ადს).

ბრძოლა ქაბულთან

ქაბული, 7 თებერვალი. ხელახლად დაწყებული ბრძოლა ქაბულთან გრძელდება. სოფელ ჩარასიასთან (ქაბულიდან სამხრეთით) ჯელალაბადელებმა წინ წაიწიეს, ბუდხაკიდან ბაგრამისაკენ (ქაბულიდან დაშორებულია 10 კილომეტრით აღმოსავლეთისაკენ) მსვლელობა შენელებულია ქაბულიდან მოსულ კუჰისტანელების რეზერვების მიერ. ჯელალაბადელებს შეუერთდა ახმედხანის ტომი. ეს ტომი ცხოვრობს სამხრეთის პროვინციაში. (ადს).

ავღანისტანის ელჩი ინგლისის პოლიტიკის შესახებ ავღანისტანში.

ლონდონი, 8 თებერვალი. „ტაიმს“-ის სტამბოლელი კორესპონდენტი ყურადღებას აქცევს ელჩის ჯელალ-ხანის (ავღ. ელჩი თურქეთში) განცხადებას, რომელშიაც ნათქვამია:

„გათვალისწინებული აქვს თუ არა ინგლისის მთავრობას, რომ ინგლისის აეროპლანების ფრენა ავღანისტანის ტერიტორიაზე საერთაშორისო სამართლის დარღვევას წარმოადგენს“-ო.

კორესპონდენტი ამ განცხადებას დიდ მნიშვნელობას აძლევს, რადგან მისი ავტორი არის ამანულას მახლობელი მეგობარი და გამოქვეყნებულია თურქეთის ოფიციოზში. (ადს).

ხაბიბულას მთავრობა „მოქმედობს“

ქაბული, 8 თებერვალი. ხაბიბულას მთავრობა შეუდგა საკუთარი ვერცხლის ფულის მოჭრას. ფული ბაზარზე ჯერ არ გამოსულა რადგან ვაჭრებმა პროტესტი განაცხადეს და სთქვეს, რომ ისინი ვერ მიიღებენ იმ ფულს, რომელსაც მარტო ქაბულსა და მის მიდამოებში აქვს გასავალი.

ინდოეთის მუსლიმანები მხარს უჭერენ ამანულას

ქაბული, 8 თებერვალი. ინდოეთის მუსლიმანებს შორის დაიწყო ფართო მოძრაობა ამანულას სასარგებლოდ. მოძრაობას მხარს უჭერენ აგრეთვე ინდოეთის სხვა წრეები. მთელ ინდოეთში იმართება მიტინგები, რომლებზედაც ამანულას თანაგრძნობას უცხადებენ. პეშავარში მრავალრიცხოვანმა მიტინგმა ინდოელ მუსლიმანების მონაწილეობით დაადგინა იცნონ ამანულა ავღ. კანონიერ მმართველად. ლაჰორში. რამდენიმე მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, რომ ინგლისი არ ჩაერიოს ავღანისტანის საქმეში და რომ ლონდონმა არ იცნოს კუჰისტანელთა მთავრობა, გარდა ამისა, მიღებულ იქნა ამანულასათვის გასაგზავნი წერილის ტექსტი, რომელშიაც ამანულას მოუწოდებენ—მიიღოს ყოველგვარი ზომები ავღანისტანის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ლაჰორში და სხვა ქალაქებში ჩატარებულ იქნა სპეციალური „ამანულას დღე“. ნაგპურში მუსლიმანთა მიტინგმა, რომელიც ჩატარდა ლოზუნგით „ხელი შორს ავღანისტანისაგან“, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ინგლისის მთავრობის საყურადღებოდ აცხადებს, რომ ინდოეთის მუსლიმანთა სიმპატიები მთლიანად ამანულას მხარეზეა. რეზოლიუცია მოითხოვს—არ ჩაერიოს ინგლისი ავღანისტანის საქმეებში. (ადს).

ინდოეთის პრესა ამანულან შესახებ

ქაბული, 8 თებერვალი. ინდოეთის პროგრესიული გაზეთები მრავალ წერილს უძღვნიან ამანულას და აქებენ მის მოღვაწეობას. ასე, მაგალითად, „ბომბეი ქრონიკლ“-ი წერილში, რომელსაც სათაურად აწერია „გმირული ფიგურა“, დაწვრილებით ახასიათებს ამანულას ღვაწლს ავღანისტანის დამოუკიდებლობისა და პროგრესისთვის ბრძოლაში და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამანულამ მიაღწია დიდ შედეგს, მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც მას სამღვდელოება განუწყვეტლივ უწევდათ. გაზეთი სწერს:

„ავღანელები არასოდეს არ დაივიწყებენ ამანულას ნაყოფიერ მოღვაწეობას. ავღანისტანის ყოველმა მომავალმა ფადიშაჰმა უნდა მიბაძოს ამანულას მაგალითს“.

მეორე გაზეთი „ფორუორდ“-ი მოწინავე წერილში სწერს:

„ამანულას გაბედულმა და ბრძნულმა მართვა-გამგეობამ გაანთავისუფლა ავღანისტანი და შექმნა მისგან ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფო“.

გაზეთი შემდეგ ეხება იმ როლს, რომელიც ინგლისმა ითამაშა ავღანისტანის ეხლანდელ ამბებში და სწერ:

„მიუდგომელი ისტორია გამოიკვლევს უცხოელთა ინტრიგებისა და უცხოეთის ოქროს როლს ამ საქმეში“. (ადს).

მუსლიმანების აღშფოთება ინგლისის წინააღმდეგ

ქაბული, 8 თებერვალი. დელიდან იუწყებიან: ინდოეთის მუსლიმანები დარწმუნებული არიან, რომ ინგლისის მთავრობას ახლო კავშირი აქვს ავღანისტანის ამბებთან. ეს გარემოება ინდოეთის მუსლიმანთა შორის დიდ აღშფოთებას იწვევს. ამიტომ ინგლის-ინდოეთის ოფიციოზური გაზეთები ყოველნაირად ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ინგლისის მთავრობას არავითარი კავშირი არა აქვს ავღანისტანის ამბებთან და იგი „უსასტიკეს ნეიტრალიტეტს იცავს“. (ადს).

საგაფიცვო მოძრაობა ზემო-სილეზიაში

ვარშავა, 8 II. ზემო სილეზიის ქვანახშირის რაიონში იზრდება მოძრაობა გაფიცვის გამოცხადების სასარგებლოდ. მემაღაროეების დელეგატთა ყრილობამ დაადგინა გაუქმდეს კოლექტიური ხელშეკრულება 1 თებერვლიდან, თუმცა ხელშეკრულებას ვადა გასდის მხოლოდ 17 მარტს. თათბირმა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს დაინტერესებულმა მინისტრებმა, ხელშეკრულების გაუქმება ვადამდე უკანონოდ სცნო. ამიტომ საარბიტრაჟო კომისიას კონფლიქტის გარჩევა შეუძლია არა უადრეს 17 მარტისა. (ადს).

რეიტერი უარჰყოფს პროვოკაციულ ხმებს

ლონდონი, 8 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„სააგენტო შეეკითხა ავტორიტეტულ წრეებს იმ ცნობის შესახებ, ვითომ საბჭოთა მთავრობამ ულტიმატიური ფორმით მოითხოვა რომ ხაბიბულას მოეხადა ბოდიში და მიეცა კომპენსაცია ქაბულში რუსეთის მოქალაქეებისა ამ ცუდი მოპყრობისათვის, აგრეთვე გადაეხადა იმ იარაღისა და ამუნიციის საფასური, რომელიც მას ხელში ჩაუვარდა. ხსენებულ წრეებში სააგენტოს გადაჭრით განუცხადეს რომ ლონდონში არაფერი იციან ასეთი ულტიმატუმის შესახებ, რომ ინგლისის ქაბულელი ელჩის მიერ გამოგზავნილ მოხსენებაში არაფერია ისეთი, რაც ამგვარ ულტიმატუმს ადასტურებდეს“.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს შენიშვნა: რეიტერის სააგენტოს მიერ უარყოფილი პროვოკაციული ცნობა იმის შესახებ ვითომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ ხაბიბულასთვის ულტიმატიური მოთხოვნა წარუდგინოს, მოთავსებული იყო ლონდონის გაზეთის „დეილი ტელეგრაფ“-ის პეშევარელი კორესპონდენტის დეპეშაში.

რეაქციონური შეთქმულება სტამბოლში

სტამბოლი, 8 თებერვალი. ამას წინად მოსპობილი საქმე რეაქციონური შეთქმულების შესახებ სტამბოლში უმაღლეს საკასაციო პალატის განკარგულებით გადაეცა დამატებითი გამოძიებისთვის. (ადს)

აჯანყება ესპანეთში არ ჩაუქრიათ

პარიზი, 8 თებერვალი. „სენტრალ ნიუ სერვისის“ სააგენტო იუწყება, რომ ესპანეთიდან მიღებული ოფიციალური ცნობა აჯანყების საბოლოოდ ჩაქრობის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება; ვალენსიის ნაწილი ისევ აჯანყებულების ხელშია.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სირიის დამფუძნებელი კრების გარეკა

პარიზი, 8 თებერვალი. ბეირუთიდან იუწყებიან: **სირიის დამფუძნებელი** კრება, რომელიც ფრანგებმა ორჯელ დაითხოვეს სამ-სამი თვით, **ახლა სულ დათხოვნილია**. საფრანგეთის უმაღლესი კომისარი სირიაში პონსო ამას შემდეგი მიზეზით ხსნის:

დამფუძნებელი კრება ცდილობდა შეეტანა სირიის კონსტიტუციაში ისეთი მუხლები, რომლებიც არ ეგუება საფრანგეთის მანდატს სირიაზე; ასეთი მუხლებია: სირიის მთავრობის უფლებანი უცხოეთის სახელმწიფოებთან კავშირის დაჭერის, საალყო წესების გამოცხადებისა და გაუქმების, მსჯავრდადებულთა შეამდგომლობის შეწყნარების შესახებ და სხვ. საფრანგეთის გაზეთები წინასწარმეტყველობენ, რომ **ამ საკითხში ერთა ლიგის სამანდატო კომისია საფრანგეთის მხარეზე დადგება. (ადს)**

სარეპარაციო საკითხის განხილვის წინ

კურციუსის მოწოდება „თანამშრომლობისაკენ“

ბერლინი, 8 თებერვალი. გერმანული ყოველდღიური გაზეთების კავშირის წარმომადგენელთა მიღების დროს სიტყვა წარმოსთქვა სახალხო მეურნეობის მინისტრმა კურციუსმა. მინისტრი დამსწრეებს მოუწოდებდა, რომ მათ თანამშრომლობა გაეწიათ იმ თითქმის აუტანელ გაჭირვებათა დაძლევის საქმეში, რომლებიც საფრთხეს უმზადებენ გერმანიის რესპუბლიკის მთლიანობას.

„ჩვენ უნდა თავიდან მოვიშოროთ რესპუბლიკასა და მასში შემავალ სახელმწიფოებს შორის არსებული უთანხმოებანი ან უნდა უზრუნველვყოთ ერთგვარი სამოქალაქო მშვიდობიანობა რესპუბლიკასა და სახელმწიფოებს შორის იმ დრომდე მაინც, ვიდრე რესპუბლიკა თავს არ დააღწევს სარეპარაციო პრობლემის საფრთხეს. სწორედ ეხლა პარიზს მიემგზავრებიან გერმანიის ექსპერტები, რომ მონაწილეობა მიიღონ სარეპარაციო საკითხის გამომწვეულ კონფერენციაში. ისინი მიემგზავრებიან არა, როგორც მოვალე სახელმწიფოს წარმომადგენლები: არა, გერმანიის ექსპერტები იმოქმედებენ თანაბარის უფლებებით ექსპერტების იმ კოლექტივში, რომელსაც მინდობილი აქვს სარეპარაციო პრობლემის, გერმანიის ხალხის ბედ-იღბლის პრობლემის, მშვიდობიანობის დამყარების პრობლემის გადაჭრა“.

იუნგის და მორგანის გამგზავრება პარიზში

პარიზი, 8 თებერვალი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, გერმანიის რეპარაციების გადამსინჯველ ექსპერტთა კომისიის წევრები იუნგი და ბანკირი მორგანი მოვიდნენ შერბურგში, საიდანაც პარიზში გაემგზავრნენ. (ადს)

რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის სხდომაზე

ნიუ-იორკი, 8 თებერვალი. რუსეთ - ამერიკის სავაჭრო პალატის წლიურ სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. შეინმანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. პალატის თავმჯდომარემ, ბანკირმა შლიმ და ინჟენერმა კუპერმა აღნიშნეს, რომ **საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის შედეგები სავსებით დამაკმაყოფილებელია**. რუსეთ - ამერიკის სავაჭრო პალატის გამგეობაში არჩეულ იქნა ტრესტის „ჯენერალ მოტორს“-ის ვიცე პრეზიდენტი სვეინი. (ადს)

შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის ვარშავაში

მუშა ცესინსკის ფარულად დამარხვა

ვარშავა, 8 თებერვალი. ლოძის პოლიციამ დემონსტრაციების შიშის გამო განთიადზე ფარულად დამარხა მუშა ცესინსკი, რომელმაც ამას წინად მოჰკლა ვიძევის მანუფაქტურის დირექტორი. პოლიციის მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, ცნობამ ცესინსკის დაკრძალვის შესახებ მუშების უბნებამდე მიაღწია და დიდი აღშფოთება გამოიწვია. ბევრ ფაბრიკაში შესწყვიტეს მუშაობა. მთელი დღის განმავლობაში ლოძის სხვადასხვა ადგილებში გაიმართა მუშათა დემონსტრაციები მრავალი ათასი მუშის მონაწილეობით. დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკებები, რომლის დროსაც პოლიციამ თოფები დაუშინა ხალხს. მძიმედ და მსუბუქად დაჭრილთა რიცხვი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. ამბობენ, რომ ეს რიცხვი ძალიან დიდია. (ადს).

პუანკარე--დენიკინის გზით

„მთლიანი და განუყოფელი საფრანგეთი“

რეზოლიუცია ელზასის საკითხის გამო

პარიზი, 8 თებერვალი. ჰავასი იუწყება: „დეპუტატთა პალატამ 461 ხმის უმრავლესობით 17 ხმის წინააღმდეგ მიიღო „მემარცხენე რადიკალების“ რეზოლიუცია ელზასის საკითხის შესახებ. რეზოლიუცია მთავრობამაც მოიწონა, რეზოლიუცია ნდობას უცხადებს ელზასის და ლოტარინგიის მოსახლეობას და აღნიშნავს, რომ ეს მოსახლეობა პატრიოტული გრძნობით არის დაკავშირებული მთლიან და განუყოფელ საფრანგეთის რესპუბლიკასთან. პუანკარემ ამასთან დასვა საკითხი ნდობის შესახებ“. (ადს).

კომდეპუტატი ბერონი ელზასის შესახებ

პარიზი. 8 თებერვალი. ელზასის საკითხის გარშემო გამართულ კამათის დროს ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა კომდეპუტატმა ბერონმა. ბერონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ელზასის საკითხი ეროვნულ უმცირესობათა საკითხია.

„ავტონომისტური მოძრაობა ელზასში და ლოტარინგიაში, განაცხადა ბერონმა,—ისევე არ შეიძლება აიხსნას უცხოეთის აგიტაციით, როგორც ეროვნულ უმცირესობათა მოძრაობა რუმინეთში, პოლონეთში, სამხრეთ სლავიაში და სხვა ადგილებში“.

ბერონმა მოიყვანა ზოგიერთი **მემარცხენე ბურჟუაზიული მოღვაწის აზრი. ეროვნული საკითხის საუკეთესოდ გადაჭრას დაუპირისპირა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა პოლიტიკა, რომელიც სჩაგრავს ეროვნულ უმცირესობებს.**

ბერონი შეეხო პუანკარეს განცხადებას, რომ მთავრობამ „ელზასი იხსნა ეკონომიური კატასტროფისაგანო“, და მოიყვანა ფაქტები, რომლებიც აქარწყლებენ ამ აზრს. ბერონი თავის სიტყვაში შეეხო აგრეთვე ელზასის საკითხის საერთაშორისო მხარეს და განაცხადა, რომ თვით პუანკარე ცდილობს გახადოს ეს საკითხი საერთაშორისო კონფლიქტის საბაბად, როცა იგი ამბობს, რომ გერმანიის მთავრობა ფინანსიურ დახმარებას აწვდის ავტონომისტურ მოძრაობას. (ადს).

სოციალისტები ელზასის ავტონომიის წინააღმდეგ

პარიზი, 8 თებერვალი. კამათი ელზასის შესახებ დეპუტატთა პალატაში თითქმის სამი კვირაა რაც სწარმოებს; ბოლოსა და ბოლოს კამათი გადაიქცა პოლემიკად მემარჯვენე და მემარცხენე ბურჟუაზიულ პარტიებს შორის, რომლებიც ერთმანეთს აბრალებენ „ავტონომისტურ მოძრაობას ხელს უწყობთო“. სოციალისტები რადიკალების მსგავსად, ცდილობენ დაამტკიცონ; რომ ისინი „ცენტრალიზმისა და საფრანგეთის ინტერესების“ ყველაზე უფრო მტკიცე დამცველები არიან. სოციალისტურმა ფრაქციამ შეიტანა რეზოლიუციის პროექტი, სადაც იმედია გამოთქმული, რომ ელზასისა და ლოტარინგიის მოსახლეობანი „დააფასებს საფრანგეთის მუდმივ მეცადინეობას, რომლის მიზანია დახმარება აღმოუჩინოს ორივე ოლქის მოსახლეობას“. რეზოლიუცია უარყოფს ელზასის ავტონომიური ოლქის ყოველგვარ პროექტებს, აგრეთვე ყოველგვარ საგანგებო ზომებს და რეპრესიებს ავტონომიური მოძრაობის წინააღმდეგ, რომელსაც გადაჭრით ჰგმობს სოციალისტური პარტია. მას შემდეგ, რაც პრემიერმა პუანკარემ ნდობის საკითხი დასვა და მოითხოვა სოციალისტების რეზოლიუციის უარყოფა, დეპუტატთა პალატამ ეს რეზოლიუცია უკუაგდო 330 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 256 ხმისა. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

შავრაზმელთა ბუნაგი საკავშირო ფინსახკომში

მოსკოვი, 9 თებერვალი. „რაბოჩაია გაზეტა“-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია სენსაციური მასალა. გაზეთი ეხება საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატის შტატის შემადგენლობას და სწერს, რომ აღნიშნული კომისარიატის აპარატში დღემდე მოკალათებული იყვნენ მეფის ყოფილი სანოვნიკები და წარჩინებული პირნი, რომელთაც საპასუხისმგებლო თანამდებობანი ეჭირათ.

ასე მაგალითად, აღმოჩნდა, რომ საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატში მსახურობდა მეფის შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი ავინოვი, რომელიც ცნობილია, როგორც მუშათა მოძრაობის შეურიგებელი მტერი და ჯალათი. ავინოვის განკარგულებით არა ერთი რევოლიუციონერი აუყვანიათ სახრჩობელაზე. გარდა ამისა ფინსახკომის აპარატში მუშაობდა სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე რუევსკი და ცნობილ თეთრგვარდიელ გენერალ შკუროს თანამებრძოლი, მისი მარჯვენა ხელი, ყოფილი პოლკოვნიკი ხოლოდკოვსკი.

ფინანსთა სახალხო კომისარიატში მოკალათებული იყვნენ აგრეთვე სინოდის ყოფილი წევრები და რამდენიმე სხვა მეფის დროის მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკები.

ამის შემდეგ გასაგებია, — სწერს „რაბოჩაია გაზეტა“, თუ რატომ იყო, რომ საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატში წინ ელობებოდნენ აპარატის რაციონალიზაციის გატარებას და ყოველგვარ საზოგადოებრივ ინიციატივის განხორციელებას.

ნ. კ. კრუპსკაიას 60 წლის თავი

მოსკოვი, 9 თებერვალი. მიმდინარე წლის 27 თებერვალი არის ამხ. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას დაბადების სამოცი წლის თავი. საზოგადოება „ძირს წერა - კითხვის უცოდინარობა“ შუამდგომლობს, რომ ამ დღისათვის ამხ. ნ. კ. კრუპსკაია დაჯილდოვებულ იქნას შრომის გმირის ორდენით.

სიცივეების შედეგები მოსკოვში

მოსკოვი, 9 თებერვალი. უკანასკნელ კვირის განმავლობაში მოსკოვში იშვიათი ყინვები დაიჭირა, რამაც შეაფერხა მთელ რიგ წარმოებათა მუშაობა. სიცივეების გამო ნაწილობრივ შეჩერდა ტრამვაის მოძრაობა, მატარებლები დიდი დაგვიანებით მოდიან, საწარმოებებში და დაწესებულებებში გახშირდა სამუშაო დღეების გაცდენის შემთხვევები, ამას გარდა უკანასკნელ დღეებში გაიზარდა ცეცხლის გაჩენის შემთხვევები, ცეცხლის მქრობელი რაზმები დაუღალავად მუშაობენ.

ღამის ცნობები

სასტიკი პროტესტი

ბერლინი, 9 თებერვალი. რეიხსტაგის გუშინდელ სხდომაზე კომუნისტურმა ფრაქციამ პრეზიდიუმს წარუდგინა სასტიკი პროტესტის დეკლარაცია რეიხსტაგის თავმჯდომარე სოციალ-დ. ლებეს მოქმედების წინააღმდეგ. ლებემ გერმანია-ლიტვის სავაჭრო ხელშეკრულების და გერმანია-რუმინეთის ფინანსიური შეთანხმების განხილვის დროს, სიტყვა წაართვა კომუნისტ დეპუტატ კოლვიცს, ვინაიდან იგი აკრიტიკებდა ლიტვაში გამეფებულ რეჟიმს და კომ. დეპუტ. ენდლეს, რომელმაც აღნიშნა, რომ რუმინეთი ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გარდა ამისა კომუნისტი დეპუტატი კოლვიცი განდევნილ იქნა რეიხსტაგის ერთ სხდომიდან. ხოლო კომუნისტი დეპუტატი [illegible] სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ რეპლიკების გადმოსროლისათვის გაძევებული იქნა რვა სხდომიდან. სოციალ-დემოკრატმა ლებემ უარი განაცხადა დეკლარაციის გამოქვეყნებაზე. დეკლარაცია დაბეჭდილია „როტე ფანე“-ში. (ადს).

აჯანყება გონდურასში

ნიუ-იორკი, 9 თებერვალი. „ასოშიეტედ პრეს“-ის ცნობით, გონდურასში (შუა ამერიკის რესპუბლიკა) იფეთქა აჯანყებამ. ურთიერთობა გონდურასთან შეწყვეტილია. (ადს).

„ურთიერთის შესწავლისა და ინფორმაციის კომიტეტის“ სესია

პარიზი, 8 თებერვალი. დამთავრდა საფრანგეთ-გერმანიის „ურთიერთის შესწავლისა და ინფორმაციის კომიტეტის“ მორიგი სესია სესიაზე მოსმენილ იქნა საფრანგეთისა და გერმანიის მოხსენებები პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, ორივე ქვეყნის სოფლის მეურნეობის მდგომარეობისა და დასავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის შესახებ. პრესაში არავითარი ცნობები არ არის მოთავსებული არც მოხსენებათა შინაარსის და არც მოხსენებათა გამო გამართულ კამათის შესახებ (ადს).

„კრასინი“ რომის კინოებში

რომი, 9 თებერვალი. რომის ზოგიერთ კინოში პირველად უჩვენებენ საბჭოთა ფილმს „კრასინ“-ს. ჩუხნოვსკის, სამოილოვიჩის, ბაბუშკინის, ეგეს და ექსპედიციის სხვა მონაწილეთა ეკრანზე გამოჩენას ხალხი ეგებება ტაშის ცემით, ერთ კინოში, სადაც მოწვეული იყვნენ რომში მყოფი კრასინის მონაწილენი, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლები, იტალიის პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეები, სეანსის დაწყების წინ, ანტრაქტების დროს და სეანსის დამთავრების შემდეგ საზოგადოებამ კრასინის მონაწილეებს გაუმართა მხურვალე ოვაციები.

მექსიკის ახალი ელჩის ჩამოსვლა

მოსკოვი, 9 თებერვალი. მოსკოვში ჩამოვიდა ახლად დანიშნული მექსიკის ელჩი სილვა გერცოგი. სილვა გერცოგი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია მექსიკის ახალგაზრდა ინტელიგენციის, ის სარგებლობს დიდი პოპულიარობით როგორც მთავრობის წრეებში, ისე მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებში. რამოდენიმე კვირის წინად კუბის დიქტატორ მაჩადოს აგენტების მიერ მექსიკის კომპარტიის ცეკას წევრის მელიას მოკვლის შემდეგ გერცოგმა პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა მექსიკის სხვა მოღვაწეებთან ერთად კუბის დიქტატორის მიერ მიძღვნილ ორდენზე. (ადს).

კულაკების ჯგუფის დაპატიმრება

პრილუკი, 9 თებერვალი. ბარდინის რაიონის სოფ. გრიდენცაში გაერთიანებულმა პოლიტსამმართველომ დააპატიმრა კულაკების ჯგუფი. მათი მოღვაწეობა მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ: ისინი შლიდენ ყველა კამპანიებს, ტერორის ქვეშ აყენებდნენ სოფლის აქტიურ მუშაკებს, მოჰკლეს სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, ცეცხლს უკიდებდენ ღარიბი გლეხების სახლებს, აუპატიურებდენ მოჯამაგირე ქალებს და შემდეგ კლავდენ მათ. ღარიბი გლეხობა შეშინებული იყო ამ კულაკების კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფის მიერ. დაპატიმრების დროს ერთ კულაკთაგანს აღმოაჩნდა მონარქიული სამფეროვანი დროშა. ეს ბანდა, რომელიც უკვე დაპატიმრებულია, შესდგება 18 კაცისაგან.

საქ. სახელმწიფო ბანკის განცხადება

მოსკოვი, 9 თებერვ. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის პირველი ტირაჟის დამთავრებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი მტრული ელემენტები ავრცელებენ ხმებს, ვითომ სესხის ობლიგაციებს სახელმწიფო ბანკი იყიდის მხოლოდ 10 წლის შემდეგ და სხვ. სახელმწიფო ბანკის გამგეობა გადაჭრით უარყოფს ამ ხმებს, რომელსაც ავრცელებენ ანტისაბჭოთა ელემენტები, რათა მოსახლეობის თვალში სახელი გაუტეხონ სახელმწიფო სესხებს, კერძოდ, ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხს. ამ სესხის, აგრეთვე სხვა სესხების ობლიგაციებს სახელმწიფო ბანკი და ყველა მისი ფილიალი ყიდულობს დაუბრკოლებლად თანხის განუსაზღვრელად. ყველა იმ პირის შესახებ, ვინც ავრცელებს ცრუ ხმებს უნდა ეცნობოს მილიციის ორგანოებს. (ადს)

აჭარელ და თურქ ქალთა სრ. საქართვ. ყრილობა

მეორე სხდომა

(ტელეფონით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

საერთაშორისო მდგომარეობა

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება

9 თებერვლის დილის სხდომაზე თავმჯდომარეობს ამხ. ვარო ჯაფარიძე. სიტყვა მოხსენებისათვის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ეძლევა ამხ. ფილიპე მახარაძეს.

მომხსენებლის ტრიბუნასთან გამოჩენისთანავე მთელი დარბაზი ფეხზე დგება, უმართავს ამხ. ფილიპე მახარაძეს ხანგრძლივ ოვაციას. ამხ. მახარაძე პოპულიარულად უხსნის დელეგატებს რას ნიშნავს ურთიერთ დამოკიდებულება ცალკე სახელმწიფოებსა და მოსახლეობის ცალკე კლასებს შორის, ახასიათებს რა საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა სწრაფი ნაბიჯებით მიდის წინ. იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით კი ძვირფასი ტეხნიკური კულტურები, რომლებიც ასე გავრცელებულია აჭარისტანში, კიდევ უფრო განვითარდეს, საჭიროა ცოდნა. „ცოდნა“ არა ისეთი, როგორსაც ავრცელებენ ხოჯები და ბეგები, არამედ ისეთი, როგორიც შეაქვთ ხალხში აგრონომებს. ამხ. ფილიპე მოუწოდებს დელეგატებს — არ გაუგონონ ხოჯებს და რჩევა-დარიგებისათვის მიმართონ მხოლოდ აგრონომებს.

ეხლა, ამბობს ამხ. მახარაძე საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს საბჭოების არჩევნები. აუცილებელია აჭარელმა ქალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ არჩევნებში და აირჩიონ ღარიბი გლეხები, რომ უკანასკნელებმა შესძლონ ღარიბთა ინტერესების დაცვა. არც ერთი ხმა შეძლებულ გლეხებს, მოუწოდებს ამხ. მახარაძე დელეგატებს, რადგან ისინი ღარიბების მტერია. ღარიბის ინტერესებს მხოლოდ ღარიბი დაიცავს, ამიტომ მხოლოდ ისინი უნდა გაიყვანონ საბჭოში.

გადადის რა საერთაშორისო მდგომარეობის დახასიათებაზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები მუდამ იმის ცდაში არიან, რომ როგორმე ავნონ საბჭოთა სახელმწიფოს, ისინი ეძებენ მოხერხებულ დროს, რომ თავს დაესხან საბჭოთა კავშირს. მაგრამ მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად ჩვენ გვყავს წითელი არმია, რომელიც მტკიცედ სდგას ჩვენი მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე, ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ წითელი არმიის გაძლიერებას.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვა. შეკითხვების უმეტესი ნაწილი შეეხებოდა მიწადსარგებლობის და ჩადრის მოხსნასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამხ. მახარაძემ ყველა კითხვებზე დაწვრილებითი პასუხი გასცა.

კამათი

კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ზოგან კოოპერატივებში არ იშოვება ფართალი. ქალებმა ჩადრი აიხადეს, მაგრამ საშუალება არა აქვთ მის მაგივრად იყიდონ ქსოვილები და შეიკერონ ტანისამოსი. აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ ზოგან სოფლებში, სადაც ყველას არ აუხდია ჩადრი. ჩადრჩამოფარებული ქალები დასცინიან ჩადრახდილებს და ეს უკანასკნელები მძიმე მდგომარეობაში ვარდებიან. ამიტომ უნდა გაძლიერდეს აგიტაცია ჩადრის ჩამოხსნის სასარგებლოდ არა მარტო ქალებს შორის, არამედ მამაკაცებს შორისაც, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში ეს უკანასკნელებიც ეწინააღმდეგებიან ჩადრის ჩამოხსნას.

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. მახარაძემ აღნიშნა, რომ ხელისუფლება სასტიკად დასჯის ყველა იმას, ვინც დასცინის ჩადრახდილ ქალებს და ამით ხელს შეუშლის ქალების განთავისუფლების საქმეს. ადგილობრივი ხელისუფლება ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალყურს ასეთ შემთხვევებს და დამნაშავეები სასტიკ პასუხისგებაში უნდა მისცეს.

რაც შეეხება ფართლეულობის ნაკლებობას, ამხ. მახარაძემ აღუთქვა ყრილობას, რომ მიღებული იქნება ყველა ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად.

მისალმებანი ყრილობას

ამხ. ფ. მახარაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობას მიესალმენ: ცაგარელი (ქუთ. მუშა-ქალების სახელით), თოიძე („ზაკგოსტორგის“ ბათომის განყოფილებიდან) და კარიაშვილი (მბეჭდავთა კავშირის აჭარისტანის განყოფილებიდან). საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნება ვარო ჯაფარიძის მოხსენება.

შ. ბუაჩიძე.

ბათომი, 9 თებერვალი.

მესამე სხდომა

(ტელეფონით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

მესამე სხდომას თავმჯდომარეობს ამხ. მოედინ სურმანიძე. მოსმენილ იქნა ამხ. ვარო ჯაფარიძის მოხსენება მუშა და გლეხ-ქალთა მდგომარეობის შესახებ.

მუშა-ქალთა მდგომარეობა ჩვენში

ამხ. ვ. ჯაფარიძის მოხსენება

ამხ. ვ. ჯაფარიძე თავის მოხსენების დასაწყისში ეხება მშრომელ ქალთა მდგომარეობას წარსულში, მეფის დროს, და ამბობს, რომ ქალების უუფლებობა დაკანონებული იყო გაბატონებულ კლასების მიერ, რადგან დამორჩილებულ, დამონებულ და მიწასთან გასწორებულ ქალში გაბატონებული კლასი ხედავდა ერთ-ერთ სიმაგრეს თავის ბატონობისა და ძალა-უფლებისათვის.

ოქტომბრის რევოლიუციამ მოსპო ძველი, მუშათა კლასისათვის გამოუსადეგარი კანონები და ქალი გაათანასწორა უფლებრივათ მამაკაცებთან. მაგრამ, საბჭოთა კავშირის მშრომელი ქალები ძლიერ ჩამორჩენილი იყვნენ კულტურულად, ვინაიდან წარსულში მათთვის არავინ ზრუნავდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ თავიდანვე მიაქცია უაღრესი ყურადღება ქალთა შორის მუშაობას. პარტიულ ორგანოებთან შექმნილი იქმნენ ქალთა შორის მომუშავე განყოფილებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მუშა და გლეხ-ქალთა კულტურულ დონის ამაღლებას, ქალების ჩაბმას სამეურნეო მშენებლობაში და მათ განთავისუფლებას ძველი ყოფა-ცხოვრების სიმახინჯიდან.

მუშა-ქალი წარმოებაში

ამხ. ვ. ჯაფარიძე, ეხება რა ჩვენი წარმოების ზრდას, აღნიშნავს, რომ წარმოების ზრდასთან ერთად იზრდება მუშა-ქალთა რიცხვიც ფაბრიკა-ქარხნებში. 1927 წელში მრეწველობაში ჩაბმული იყო 8.384 ქალი, 1928 წელში კი მათი რიცხვი აღწევს 6.089.

ამასთან ერთად იზრდება მუშა-ქალების რიცხვი პროფკავშირებში. თუ 1927 წლის 1-ლ აპრილისათვის პროფკავშირები აერთიანებდნენ 32.434 ქალს, 1928 წლის 1-ლ აპრილისათვის პროფკავშირებში ირიცხებოდა 36.440 ქალი. ამრიგად, ერთი წლის განმავლობაში ქალთა რიცხვი პროფკავშირებში გაიზარდა 12.4 პროც-ით.

ამასთანავე ყურადღება იქცევა ნაციონალურ უმცირესობათა მშრომელ ქალების ჩაბმას წარმოებაში. იმ 36.440 ქალიდან, რომლებიც ირიცხებიან პროფკავშირებში ქართველია —17.000, სომეხი — 4,900, რუსი — 9,600, თურქის ქალი — 168. მშრომელ ქალთა ჩაბმას წარმოებაში ხელს უშლის, ერთის მხრივ, ქალების დაბალი კვალიფიკაცია, მეორე მხრივ კი ძველი, დახავსებული ადათ-ჩვეულებები, რომლებიც ჯერ კიდევ გამეფებულნი არიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

რაც შეეხება უმუშევრობას, უნდა აღინიშნოს, რომ 1928 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის უმუშევარ ქალთა რიცხვი უდრიდა მთელ უმუშევართა 29,7 პროც-ს, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ ქალთა მასა, როგორც არა კვალიფიციური მუშა-ხელი, სამუშაოს ვერ შოულობს ადვილათ. ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ჯერ-ჯერობით ქალების საშუალო ხელფასი გაცილებით დაბალია, ვიდრე მამაკაცების

ქალთა მონაწილეობა სოფლის მეურნეობაში

ჩვენი სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით, ვხედავთ ქალთა რიცხვის ზრდას და აქტივობას კოლმეურნეობებში.

საქართველოში ამჟამად არსებობს 594 კოლექტივი, სადაც გაერთიანებულია 12.012 მეურნეობა. აქედან 446 მეურნეობას მეთაურობენ ქალები. რაც შეეხება ქალების მონაწილეობას გამგეობაში, სარევიზიო კომისიებში, სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ქალთა რიცხვი უდრის აქ 68, რაც შეადგენს საერთო რიცხვის 14 პროც-ს.

ქალი კოოპერაციაში

ამხ. ვ. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ქალთა მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მმართველობითი ორგანოებში სუსტია. 83 სას.-სამ. კოპ. გამგეობაში იყო 18 ქალი (4,4 პროც.), სარევიზიო კომისიაში 7 ქალი (3,8 პროც.), საბჭოში 52 ქალი (8,4 პროც.).

ქალთა კოოპერაციაში გაერთიანების მხრივ პირველ ადგილზე სდგას საწარმოო-სარეწაო კოოპერაცია, რომელშიაც გაერთიანებულია—1,407 ქალი.

სამომხმარებლო კოოპერაციაში 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის ირიცხებოდა 31.933 წევრი ქალი (10 პროც.). ასეთი მცირე პროცენტი ქალთა გაერთიანებისა სამომხმ. კოოპერაციაში აიხსნება იმით, რომ კოოპერატივის წევრად მეტწილად ხდება ოჯახის უფროსი—მამაკაცი.

თუ ავიღებთ თბილისს, დავინახავთ, რომ კოოპერაციაში გაერთიანებულ მუშა-ქალებს და დიასახლისების რიცხვი აქ დიდია, იგი უდრის საერთო რიცხვის 23 პროც-ს.

აქტიურ კოოპერატიულ მუშაობაში (სადუქნო კომისიები და სხვა) ჩაბმულია 198 ქალი, რაც შეადგენს 45 პროც. სადუქნო კომისიების 40 თავმჯდომარიდან 7 ქალია, 351 რწმუნებულთაგან ქალია 69.

1928 წელს გლეხ-ქალების რიცხვი სადუქნო კომისიებში უდრიდა 256, ე. ი. საერთო რიცხვის 49,5 პროც.

სადელეგატო კრებები

ამხ. ვ. ჯაფარიძე ეხება სადელეგატო კრებების მუშაობას და აღნიშნავს, რომ სადელეგატო კრებები ჯერ-ჯერობით ვერ აღწევენ თავის მიზანს და ვერ ამზადებენ სათანადო მშრომელ ქალებს. ამის უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ ადგილებზე არ არიან სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელები (ქალები) არა მარტო ქალთა შორის მუშაობის ხაზით, არამედ საბჭოთა, პროფესიონალურ და სხვ. ხაზითაც. აგრეთვე მოისუსტებს პრაქტიკული მუშაობა დელეგატ ქალებისა სხვადასხვა ორგანიზაციებში.

მიუხედავად ამისა, ამ დარგში მაინც არის საგრძნობი მიღწევები. თუ 1925-26 წელში საქართველოში იყო 9.679 დელეგატი ქალი, 1928-29 წელს დელეგატ ქალთა რიცხვი უდრიდა 10,425 ქალს (აქ არ შედის აფხაზეთი და შირაქის მაზრა).

არის საგრძნობი მიღწევები სადელეგატო კრებების პრაქტიკულ საკითხების პროგრამულ საკითხებთან დაკავშირების და ქალების პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმის დარგში. 1927-28 წელს დელეგატ ქალთა 41 პროც. იღებდა უშუალო მონაწილეობას პრაქტიკულ საქმიანობაში.

ქალთა პასიობის უმთავრესი მიზეზი არის ის გარემოება, რომ იმ ორგანიზაცია-დაწესებულებების ხელმძღვანელნი, რომლებზედაც არიან მიმაგრებული ქალები, არ უწევენ მათ ხელმძღვანელობას.

მონაწილეობა საბჭოებში

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ქალი სრულიად თავისუფალია და შეუძლია მიიღოს აქტიური მონაწილეობა საბჭოების არჩევნებში, იგი არ სარგებლობს თავის უფლებებით, მისი მუშაობა არჩევნებში სუსტია. მიმდინარე არჩევნებში ყოველ ას ქალიდან მონაწილეობა მიიღო 37 ქალმა. ფრიად სუსტია აჭარელ ქალის მონაწილეობა არჩევნებში, რაც დაუშვებელია (12 პროც.).

კულტმუშაობა

კულტურული რევოლიუცია, ამბობს ამხ. ვ. ჯაფარიძე, ჩვენს წინაშე აყენებს საკითხს წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობისას მოზრდილ მოსახლეობაში.

წერა-კითხვის ცოდნის მხრივ პირველ ადგილზე სდგას ოზურგეთის მაზრა, სადაც წერა-კითხვის მცოდნეა 55 პროც., მათ შორის ქალი 47,6 პროც., შემდეგ რაჭის მაზრა. აქ წერა-კითხვის მცოდნეა 48,1 პროც., მათ შორის ქალი 47,5 პროც., ბოლოს თელავის მაზრა. აქ წერა-კითხვის მცოდნეა 39,4 პროც., მათ შორის ქალი 37,1 პროც.

წერა-კითხვის უცოდინართა დიდ პროცენტს ქალთა მასა იძლევა იქ სადაც ქალები სხვადასხვა პირობების გამო არ დიარებიან სალიკვიდაციო სკოლებში. საბჭოთა ხელისუფლება იღებს მრავალგვარ ზომებს, რომ ქალებს შეუქმნას სათანადო პირობები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში. მაგრამ თვით მშრომელი ქალიც დაინტერესებული უნდა იყვეს უცოდინარობის მოსპობის საქმეში, რომ ამით გაუადვილოს ხელისუფლებას მუშაობა.

უდიდესი ყურადღება იქცევა განათლების საქმეს, სკოლების რიცხვის ზრდის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ არსებულ სასწავლებლებში ქალთა რიცხვი არ არის დამაკმაყოფილებელი, გარდა ისეთ სასწავლებლებისა, როგორიც არის ჭრა-კერვის, ხელსაქმის, ქსოვის და სხვა

1927-28 სამოსწავლო წელში სოც. აღზრდის სასწავლებლებში სწავლობდა 284.879 მოსწავლე, აქედან ქალები 115,486, ე. ი. 40,5 პროც. აქედან აჭარისტანში იყო: 11,257 მოწაფე, მათ შორის 3786 ქალი, რაც უდრის 33,6 პროც.

ქალების სწავლა-განათლების მხრივ უფრო მძიმე სურათს იძლევა აჭარისტანი, ახალქალაქი, ბორჩალო და ახალციხე. სადაც ქალთა მოზარდი თაობა უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს სასწავლებლებში.

ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი, ამბობს ამხ. ჯაფარიძე, რათა ამ მაზრებში შემოღებული იქნეს საყოველთაო-სავალდებულო სწავლება 8 წლიდან 12 წლამდე.

ქალების გადამზადების მიზნით ცენტრში გახსნილი იქნა სხვადასხვა ხასიათის კურსები, სადაც მეცადინეობდა 200-მდე ქალი. ასეთივე კურსები მოეწყო აჭარისტანში, აფხაზეთში, ოსეთში, ბორჩალოში და ახალციხეში.

რაც შეეხება კლუბებს, 1928 წელში კლუბების წევრ ქალთა რიცხვი აღწევდა 24,2 პროც. კლუბებთან არსებულ სხვადასხვა წრეებში ჩაბმული იყო ქალების 30,7 პროც.

იმ ადგილებში, სადაც ქალები ჯერ-ჯერობით ეწევიან კარჩაკეტილ ცხოვრებას, გახსნილი იყო განსაკუთრებული ქალთა კლუბები.

ქალთა დაწინაურება

პარტია და საბჭოთა ხელისუფლება — ამბობს ამხ. ჯაფარიძე — უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებს ქალთა მონაწილეობას სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში, აწინაურებს ქალებიდან ისეთ აქტივს, რომელიც დღეს მუშაობს მთელ რიგ საპასუხისმგებლო საქმეებში.

მაგრამ, დასძენს ამხ. ჯაფარიძე, არ არის საკმარისი, რომ დღეს გვყავს თითო-ოროლა პროკურორი ქალი, სასამართლოების თავმჯდომარენი, პარტკომიტეტების მდივნები. მარტო ამით ვერ დავკმაყოფილდებით. ჯერ კიდევ განსახორციელებელია ლენინის უდიდესი ლოზუნგი: „თვითეულმა მზარეულმა ქალმა უნდა შესძლოს ქვეყნის მართვა-გამგეობა“.

ყოფა-ცხოვრების საკითხები

ამხ. ალ. ფანცხავას მოხსენება

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. ფანცხავას მოხსენება ყოფა-ცხოვრების საკითხებზე.

მრავალცოლიანობის წინააღმდეგ

„სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის — ამბობს მომხსენებელი — აუცილებელია, რომ მასში ჩაბმულ იქნან ორივე სქესის მშრომელები. ამისათვის კი, როგორც წინასწარი პირობა, საჭიროა ქალის სრული განთავისუფლება. მართალია, ჩვენ ქალი უფლებრივად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშივე გავათანასწორეთ მამაკაცებთან, მაგრამ ძველი ფეოდალური და სარწმუნოებრივი ნაშთების წყალობით დედაკაცი ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეებში ფაქტიურად ჯერ კიდევ არ არის სავსებით განთავისუფლებული მამაკაცის მონობისაგან. ჩვენს ყოფა-ცხოვრებას ჯერ კიდევ მრავალი უარყოფითი მხარეები ახასიათებს. როგორია იგი? ბორჩალოში, ახალციხეში, ახალქალაქში, კახეთში და ნაწილობრივ გურიაში ჩვენ ვხვდებით მრავალ-ცოლიანობის შემთხვევებს.

რა ნიადაგზეა ეს აღმოცენებული? უძველეს დროში, როდესაც მამაკაცს ჰირდებოდა უფასო მუშა ხელი, ის ყიდულობდა მონებს. მაგრამ ვინაიდან ომებს ყოველთვის სისტემატიური ხასიათი არ ჰქონდათ და მონების შოვნა ძნელი იყო, ამავე დროს კი ქალი მიჩნეული იყო არათანაბარ არსებად, მამაკაცებმა შემოიღეს მრავალცოლიანობა, რაც შემდეგ დაადათურა რელიგიამაც. მამაკაცს მოეპყადა რამდენიმე ცოლი და ამუშავებდა მათ ოჯახში უფასოდ. ვინაიდან მრავალცოლიანობა შეურაცხყოფს ქალის ადამიანურ ღირსებას, ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ კანონმდებლობის წესით მოსპო ეს ადათი და დააწესა ერთცოლიანობა. საჭიროა გავატაროთ ცხოვრებაში ეს დადგენილება.

ბარბაროსული ჩვეულება

ჩვენი ყოფა-ცხოვრების მეორე მახინჯი მხარეა ქალის ყიდვა-გაყიდვა, რომელსაც ადგილი აქვს აჭარისტანში, ბორჩალოში და ახალციხე-ახალქალაქში, აქვე უნდა აღვნიშნოთ შეუღლება, რომლესაც ქალებს აკვნიდანვე ათხოვებენ. ორივე ამ შემთხვევაში ქალი გადაქცეულია საქონლად, უბრალო ნივთად. ამ საზიზღრობას, რომელიც ფეხქვეშ სთელავს ქალის ადამიანურ უფლებას, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ, აღმოფხვრილ უნდა იქნას იგი ძირიან-ფესვიანად. აქაც მტკიცედ უნდა გავატაროთ საბჭოთა კანონმდებლობა, რომელიც აწესებს განსაზღვრულ ასაკს ცოლის თხოვნისა და გათხოვებისათვის.

„ნიქახი“

ყოფა-ცხოვრების შემდეგი მახინჯი ნაშთია ე. წ. ნიქახი, ე. ი. ჩვეულება, რომლის მიხედვით მამაკაცს, როცა მას ცოლს მიათხოვებენ, ჩამოართმევენ პირობას, რომ თუ მან ქალი გაუშვა, უნდა გადაიხადოს განსაზღვრული თანხა მშობლების სასარგებლოდ. ეს ჩვეულება სასარგებლოა მდიდრებისათვის, რადგან მათ შეუძლიათ ყოველგვარი პირობა აღუთქვან ქალის მშობლებს, ღარიბებისათვის კი არ არის ხელსაყრელი, რადგან მათ არ შეუძლიანთ ფულის გადახდა, ეს ჩვეულება მავნებელია იმ მხრივათაც, რომ მამაკაცი, რომ მას არ გაექცეს ცოლი და არ გადახდეს დაპირებული თანხა, ყოველგვარ გაჭირვებას მიაყენებს ქალს, სცემს მას და ტერორის ქვეშ აყენებს. არის აგრეთვე სხვა მიუღებელი ადათები, რომლებიც ძირიან-ფესვიანად უნდა ამოიფხვრას. აქვე აღსანიშნავია ექიმბაშობა, რომელიც ფართოდაა გავრცელებული აჭარისტანში.

ჩადრი მონობის სიმბოლოა

არსებული ადათებით, ჩადრჩამოფარებულ ქალს არ შეუძლია ეჩვენოს მამაკაცს, გარდა ქმრისა და ხოჯისა. ასეთი ქალი, როდესაც ავად გახდება, საექიმოდ ხოჯასთან მიდის, რადგან მას არ შეუძლია ეჩვენოს ექიმს. ხოჯას კი უჭირავს ხელში რაღაც არაბული ასოებით დაწერილი ფურცელი, ახვევს მას თავზე ავადმყოფს და ულოცავს რაღაცას. რახაკვირველია, ასეთი თაღლითობის შედეგია ის, რომ ავადმყოფი კვდება. ჩვენ ვიცით შემთხვევები, როდესაც ხოჯები ასეთი ლოცვებით „ექიმობდნენ“ სიფილისით დაავადებულ ქალებს. არის კიდევ მრავალი სხვა სიმახინჯე სარწმუნოებრივი დღესასწაულების ნიადაგზე, რასაც ადგილი აქვს ბორჩალოში და ზოგიერთ სხვა ადგილებში. ყველა ამ უბედურების მიზეზი მარხია ჩადრში, რომელიც გზას უხშობს ქალს კულტურისაკენ.

კულტურული განახლების გზით

ჩადრთან ერთად სიბნელის და უმეცრების დამცველად გამოდის მედრესე და მექთებე, სადაც ხოჯები უხლუნგებენ გონებას ახალგაზრდა აჭარლებს და ზრდიან მათგან ანტისაბჭოთა ელემენტებს. ჩვენ არ ვეხებით მეჩეთებს, ვისაც სურს იაროს მეჩეთში, მაგრამ ჩვენ საშუალებას არ მივსცემთ ხოჯებს და მოლებს იბატონონ აჭარელ ახალგაზრდებზე და გარყვნან ისინი, აჭარისტანში უკვე დახურულია ყველა მედრესე და მექთებე. ჩვენ არავის არ მივსცემთ უფლებას მოითხოვონ მათი გახსნა, რადგან არ გვსურს, რომ აჭარელი ბავშვები ხოჯების საჯიჯგნად გადავაქციოთ. მედრესე—მექთებეს მაგიერად ჩვენ ვხსნით საბჭოთა სკოლებს, რომლებიც ფართოდ გასაქანს მისცემენ თქვენი შვილების ნიჭს. აჭარისტანში შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლება, რომელსაც ჩვენ ჩავატარებთ საბჭოთა სკოლების საშუალებით.

აჭარისტანში შეიქმნა კულტურის შუქი, საჭიროა დაწყებული მუშაობა გავაფართოვოთ და გავაღრმავოთ ყოველმხრივ. გისურვებთ წარმატებას ამ ახალ ასპარეზზე. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს თქვენს განთავისუფლებას! (მქუხარე ტაში; მთელი დარბაზი ფეხზე დგება და ამხ. ფანცხავას ხანგრძლივ ოვაციას უმართავს).

ყრილობის მისალმებანი

მოხსენების შემდეგ ყრილობას აჭარელი წითელარმიელების სახელით ესალმება ამხ. ბოლქვაძე. მის სიტყვას დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდება.

შემდეგ ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საკავშირო ცაკს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, კომინტერნის აღმასკომს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტს, ამიერ-კავკ. ცაკს, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას, საქართველოს ცაკს, საქ. კომპარტიის (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტს და აჭარისტანის ცაკს.

საკავშირო ცაკს

საბჭოთა ხელისუფლების უზენაეს ორგანოს საკავშირო ცაკს მხურვალე სალამი სრ. საქართველოს აჭარელ და თურქ ჩადრახდილ ქალთა პირველი ყრილობისაგან. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება არის ერთად-ერთი ხელისუფლება, რომელმაც ქვა-ქვაზე არ დასტოვა ჩვენი ხალხის დამამონავებელი კანონები. ჩვენ, რომლებმაც თავი მოვიყარეთ აქ, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ ახალი მიღწევები აჭარელ და თურქ ქალთა ფეოდალურ ყოფა-ცხოვრების ნაშთებისაგან განთავისუფლების საქმეში, მოვითხოვთ საკავშირო ცაკისაგან მონობის და ჩაგვრის ნაშთის ჩადრის ტარების დეკრეტით აკრძალვას. ძირს ჩადრი, გაუმარჯოს აღმოსავლეთის განთავისუფლებულ მშრომელ ქალს.

საკავშირო კომპარტიის ცეკას

სახელოვანი ბოლშევიკური გვარდიის შტაბს მხურვალე სალამი სრ. საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა პირველი ყრილობისაგან. კომპარტიის ხელმძღვანელობით კიდევ ერთი ისტორიული ნაბიჯი გადავდგით აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა განთავისუფლების საქმეში. ვიმედოვნებთ, სრ. საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა პირველი ყრილობა იქნება იმის საწინდარი, რომ აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა ფართო მასები ჩაებმებიან ჩვენს საალმშენებლო მუშაობაში სახელოვან საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ფოლადისებური ხელმძღვანელობით. წინ, ახალ გამარჯვებისაკენ კულტურულ რევოლიუციისა და სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტზე.

შ. ბუაჩიძე.

ბათომი, 9 თებერვალი.

საუბარი ამხ. მოედინ სურმანიძესთან

(ტელეფონით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

თქვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, რა როლს ითამაშებს აჭარელ თურქ-ქალთა პირველი ყრილობა ჩადრის ახდის კამპანიის გაშლაში, ყრილობის მოწვევის ერთ-ერთ ინიციატორმა, აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. სურმანიძემ განაცხადა: ჩადრის ახდამ ფართო ხასიათი მიიღო საბჭოების საანგარიშო კამპანიის განმავლობაში. ქალებს კრებებზე გამოქონდათ დადგენილება ჩადრის ახდის შესახებ. მარტო იანვრის განმავლობაში ქობულეთში და ხულოს მაზრაში ჩადრი აიხადა 1.600 ქალმა. ჩადრი აიხადეს აგრეთვე სხვა მაზრებშიაც. არის ისეთი თემი, სადაც არც ერთი ჩადრახვეული ქალი აღარ არის, მაგრამ ქალების საერთო რიცხვთან შედარებით ჩადრჩამოხდილი ქალები მაინც მცირე პროცენტს შეადგენენ.

დღევანდელი ყრილობა სწორედ იმ მხრივ ითამაშებს დიდ როლს, რომ დაანახვებს აჭარელ ქალებს ჩადრის ჩამოხდის მნიშვნელობას, აჭარელი და თურქი ქალი, რომელსაც აქამდე გზას უხშობდა კულტურისაკენ საუკუნოებრივი მონობის სიმბოლო — ჩადრი, ამიერიდან მტკიცედ უნდა შესდგეს თვით განვითარების გზაზე და აქტიურად ჩაებას საბჭოთა აღმშენებლობაში. ყრილობა ჯამს გაუკეთებს დღემდე აჭარელ ქალთა შორის წარმოებულ მუშაობას და დასახავს გზებს ამ მუშაობის განსავითარებლად და გასაღრმავებლად. ყრილობაზე ლაპარაკი იქნება აგრეთვე მრავალცოლიანობაზე, ყრილობა იტყვის თავის სიტყვას ამ მავნე ჩვეულების შესახებაც.

შ. ბუაჩიძე.

ბათომი, 9 თებერვალი.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

პოლონეთის საბოტაჟი დაძლეულია.—საბჭოთა ოქმი და ბესარაბიის საკითხი.—შუბლმაგართა ანტისაბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ.—ინგლის-ამერიკის მეტოქეობა.—ცენტრის გამოსვლა კოალიციიდან გერმანიაში

როცა ეს სტრიქონები იწერება, შეიძლება მოსკოვში უკვე ხელი მოაწეროს საბჭოთა ოქმს. საბჭოთა კავშირის სამშვიდობო გამოსვლა მნიშვნელოვანი გამარჯვებით დამთავრდა.

ეს წარმატება ადვილად არ რგებია საბჭოთა დიპლომატიას. იგი შედეგია იმ ენერგიული მუშაობისა, რომელიც ამ მხრივ იქნა ჩატარებული. რა ზომებს არ მიმართა პოლონეთმა, რომ ამხ. ლიტვინოვის წინადადების მიღებისაგან თავი დაეღწია, საქმე გაეჭიანურებია და საბოლოო ანგარიშით საბჭოთა სამშვიდობო ნაბიჯი ჩაეშალა! ჯერ იყო და მან ის მოიმიზეზა, რომ კელოგის პაქტი, რომლის განვითარებას საბჭოთა ოქმი წარმოადგენს, მის პირვანდელ ხელის მომწერთა მიერ არ არის დამტკიცებული. თუმცა ეს არგუმენტი მოკლებული იყო ყოველგვარ ღირებულებას, რამდენადაც კელოგის პაქტი სრულებით არ უკრძალავს რომელიმე სახელმწიფოს მისი დაუყოვნებლივ ძალაში შეყვანას, მაგრამ პოლონეთის ამ მოსაზრებას სრულებით დაეკარგა ძალა მას შემდეგ, რაც ამერიკამ პაქტის რატიფიკაცია მოახდინა.

გარდა ამისა, პოლონეთის მთავრობა „გაკვირვებას“ გამოსთქვამდა, რატომ საბჭოთა კავშირმა სხვა მეზობელ სახელმწიფოებს არ მიმართა სამშვიდობო ოქმის დადების წინადადებით. ნამდვილად კი ჩვენს წინადადებაში გარკვევით იყო აღნიშნული, რომ ოქმს შეუძლია შეუერთდეს ყოველ სახელმწიფოს. და თუ საბჭოთა მთავრობამ რუმინეთს, ესტონიას, ლატვიას და ფინეთს მსგავსი წინადადება თავდაპირველად არ გაუგზავნა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ მიღებული კელოგის პაქტი, და მოთხოვნა, რომ მათ პოლონეთთან ერთად მიეღოთ მონაწილეობა ოქმში, საქმის გაჭიანურების მიზნით იყო გამოწვეული. მაგრამ საბჭოთა, მთავრობამ მიუხედავად ამისა, ხსენებულ ქვეყნების მთავრობათა წინაშე გადადგა სათანადო ნაბიჯები.

როცა ვარშავის მთავრობის არც ამ ფანდმა გასჭრა, მან ხელი ჩასჭიდა ოქმზე ხელის მოწერის ფორმის საკითხს; ის მოითხოვდა ოქმზე ხსენებულ აღნიშნულ სახელმწიფოებს პოლონეთთან ერთდროულად მოეწერათ ხელი. ჩვენი მთავრობა ამაზე დასთანხმდა. თუ ეს მოსახერხებელი იქნებოდა, რომ პოლონეთისათვის წართმია ყოველი საბაბი მოლაპარაკების გართულებისათვის.

პოლონეთის მთავრობა ჩიხში მოემწყვდა. მას ან პირდაპირ უარი უნდა ეთქვა ჩვენს წინადადების მიღებაზე, რაც საქვეყნოდ გამოაშკარავებდა მის აგრესიულ ზრახვებს, ან უნდა დათანხმებულიყო მის მიღებაზე. სხვა გზა არ დარჩა: საქმის გაჭიანურების შესაძლებლობა საბოლოოდ ამოწურულ იქნა. და ჩვენ ვხედავთ, რომ პოლონეთი იძულებულია დათმობაზე წავიდეს და საბჭოთა ოქმს ხელი მოაწეროს.

უდავოა, რომ პოლონეთის ამ გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერიკის პოზიციამაც. ამერიკა ერთი მხრით დაინტერესებულია, რომ პოლონეთმა მშვიდობიანი დამოკიდებულება დაამყაროს მეზობელ ქვეყნებთან: ამას მოითხოვენ პოლონეთში დაბანდებულ ამერიკულ კაპიტალის უზრუნველყოფის ინტერესები. მეორე მხრივ ვაშინგტონის ზეგავლენა პოლონეთზე საბჭოთა ოქმის მიღების საკითხში გამოხატულებაა იმ ბრძოლისა, რომელიც ამერიკასა და ინგლისს შორის წარმოებს: ამ გზით სუსტდება ინგლისის საერთაშორისო პოზიციები.

ასე თუ ისე, პოლონეთის საბოტაჟი დაძლეულია. ვიმეორებთ, ეს საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკის დიდი გამარჯვებაა. ჩვენ, რა თქმა უნდა, სრულებით არ გვინდა გადავაჭარბოთ საბჭოთა ოქმის, ისე როგორც ყოველგვარ სამშვიდობო ხელშეკრულების მნიშვნელობა. სახელმწიფოთა ურთიერთობის საკითხს მხოლოდ ძალთა განწყობილება სწყვეტს. ამ ძალთა განწყობილებამ პოლონეთი დღეს აიძულა ჩვენთან ომის აკრძალვის ხელშეკრულება დადოს. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, პირველი ნაბიჯი პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოვებისათვის და აღმოსავლეთ ევროპაში ომის საფრთხის აცილებისათვის გადადგმულია.

საბჭოთა კავშირსა და მეზობელ სახელმწიფოებ შორის ომის აკრძალვის ოქმის ძალაში შესვლასთან მრავალი საკითხია დაკავშირებული. აიღეთ, მაგ., განიარაღების პრობლემა. ბურჟუაზიული ქვეყნები, მათ შორის, ჩვენი მეზობლები, სულ იმას გაიძახიან, რომ საბჭოთა კავშირის „აგრესიული“ ზრახვები შეუძლებელს ხდიან ჩვენი შეიარაღების შემცირებასო. რას იტყვიან ისინი ამხ. ლიტვინოვის წინადადების მიღების შემდეგ, წინადადების, რომელიც ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის დემონსტრაციას წარმოადგენს. აგრეთვე ამის შემდეგ პოლონეთს გაუჭირდება უარის თქმა თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადებაზე და სხვ. ის პოზიცია, რომელსაც პოლონეთი ამ საკითხებში დაიჭერს, ყველას დაანახვებს. სურს მას საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულების დამყარება, თუ კვლავ ომისათვის ემზადება მის წინააღმდეგ. ჩვენ, ცხადია, ვიცით, პოლონეთის იმპერიალისტების ნამდვილი ზრახვები, მაგრამ საბჭოთა ოქმზე ხელის მოწერა და მისგან გამომდინარე მორალური ვალდებულებათა აღიარება მას რამოდენიმედ მაინც შებორკავს ამ ზრახვების განხორციელების საქმეში.

⁂

პოლონეთთან ერთად საბჭოთა ოქმს ხელს აწერს რუმინეთიც. რუმინელ იმპერიალისტებს განზრახვა ჰქონდათ ოქმში მონაწილეობის პირობად წამოეყენებიათ ბესარაბიის დაპყრობის დაკანონება საბჭოთა კავშირის მხრით. მაგრამ ეს მათ ვერ გაბედეს.

აღსანიშნავია, რომ რუმინეთის სურვილის და პოლონეთის წინადადების თანახმად, ოქმის პირვანდელ ტექსტში ასეთი ცვლილებაა შეტანილი: „საბჭოთა კავშირის ცაკი, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და რუმინეთის მეფე შეთანხმდენ, რომ სამ სახელმწიფოს შორის უკვე არსებული მშვიდობიანი ურთიერთობის შესანარჩუნებლად დასდონ შემდეგი შეთანხმება“ და სხვ. რა თქმა უნდა, ეს დამატება ოდნავადაც არ ცვლის არც ოქმის შინაარს, არც არსებულ მდგომარეობას. მხოლოდ რუმინეთის მმართველები და საბჭოთა კავშირის სხვა მოწინააღმდეგენი ავრცელებენ აზრს, თითქო საბჭოთა კავშირსა და რუმინეთის ურთიერთი დამოკიდებულება საომარი განწყობილებით ხასიათდებოდეს. ასეთ დებულებას, სინამდვილეს რომ თავი დავანებოთ, არავითარი ფორმალური საფუძველი არ გააჩნია.

თუ ხსენებულ დამატების ავტორებს ფარულად სურთ ამით ოქმში შეაპარონ აზრი, თითქო ბესარაბია რუმინეთის კანონიერ კუთვნილებას შეადგენს,—ეს განზრახვა ფუჭია. ოქმი სავსებით ღიად სტოვებს ბესარაბიის საკითხს. მხოლოდ ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, და ოქმიც ამას ადასტურებს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტას საბჭოთა მთავრობა არ ფიქრობს ომით, იარაღის საშუალებით. ჩვენი მთავრობა როგორც დღემდე, ისე ახლაც იმ აზრს ადგას, რომ ბესარაბიის ბედი უნდა გადასწყვიტოს მისმა მოსახლეობამ - პლებისციტის გზით. ამ მოთხოვნის განხორციელება დამოკიდებულია რუმინეთის შინაურ მდგომარეობის და საერთაშორისო ძალთა განწყობილების სათანადოდ შეცვლაზე.

⁂

ინგლისში მეტად გავლენიანმა სამრეწველო ჯგუფებმა დაარსეს „ინგლის-რუსეთის კომიტეტი“, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირთან ალებ-მიცემობის განვითარებას. ამისათვის იგი საბჭოთა კავშირში კერძოდ აგზავნის დელეგაციას, რომელიც ადგილობრივ უნდა გაეცნოს ეკონომიურ მდგომარეობას.

ინგლისის საქმიან და გონიერ პოლიტიკურ წრეებში ბოლო დროს ხშირად გაისმის ხმები საბჭოთა კავშირთან სამეურნეო და პოლიტიკურ დამოკიდებულების აღდგენის სასარგებლოდ. ამას მოითხოვენ არა მარტო „მუშათა“ პარტიის და ლიბერალების წარმომადგენლები, არამედ კონსერვატიულ ბანაკის ზოგიერთი ელემენტებიც. აი, რას წერს, მაგ. კონსერვატიული „დეილ ექსპრეს“. „უახლოესი მთავრობა იძულებული შეიქნება განაახლოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა და ამიტომ ბრძნულმა კონსერვატიზმმა არ უნდა დაუცადოს მომენტს, როცა ის აუცილებლობის წინაშე დადგება. ეს (დამოკიდებულების აღდგენა) მეტად ხელსაყრელი იქნებოდა კონსერვატიზმისათვის, და ჯერ კიდევ ძალიან გვიანი არ არის“. იმ წრეებში, რომლებიც ზევით ვახსენეთ, შედიან თვალსაჩინო კონსერვატიული მოღვაწენიც.

უეჭველია, მთელი ეს მოძრაობა საგრძნობლად აიხსნება საარჩევნო მოტივებით: ამომრჩეველთა მისამხრობად აღნიშნული ჯგუფები იძულებული არიან წამოაყენონ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის ლოზუნგი, რომელიც ინგლისის ფართე მოსახლეობაში მეტად პოპულიარულია.

მაგრამ გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ინგლისის ეკონომიურ და საერთაშორისო მდგომარეობას. ინგლისი გამსაღებელ ბაზრის და ნედლი მასალის კრიზისს განიცდის საბჭოთა კავშირთან ასე თუ ისე ნორმალურ ურთიერთობის დამყარებით მას შეეძლო ამ კრიზისის შენელება. ამავე დროს არ გამართლდა შუბლმაგართა იმედი, რომ ისინი საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გაწყვეტით მიაღწევდნენ მის ეკონომიურ იზოლიაციას და მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნას. ინგლისის ხარჯზე ჩვენ ვაფართოვებთ სამეურნეო ურთიერთობას დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნებთან (გერმანია, ამერიკა და სხვ.), აგრეთვე წარმატებები გვაქვს მშვიდობიანობის განმტკიცების დარგში (შეთანხმება გერმანიასთან, მოლაპარაკება ამხ. ლიტვინოვის წინადადების გარშემო და სხვ). ხაზგასასმელია ისიც, რომ ამერიკასთან ბრძოლის გამწვავების პირობებში საბჭოთა კავშირთან გართულებული დამოკიდებულება უფრო არყევს ინგლისის საერთაშორისო პოზიციებს. ყველაფერი ეს ინგლისის შედარებით გონიერ და შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსების წინაშე აყენებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გადასინჯვის აუცილებლობას.

მაგრამ კონსერვატორების ის ფრთა, რომელიც ამჟამად გაბატონებულია ინგლისში, კვლავ შეურიგებელ პოზიციაზე დგას. ცდას იგი ძველებური ჯიუტობით განაგრძობს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბლოკის შეკოწიწებას. ამავე დროს ლონდონის მთავრობა დაბრკოლებებს ქმნის ჩვენთან ალებ-მიცემობის განვითარებისათვის. სხვათა შორის, ამას წინედ, თემთა პალატაში ვაჭრობის კანონპროექტის განხილვის დროს, მთავრობის წარმომადგენლებმა გადაჭრით განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირი არ შეიძლება შეტანილ იქნეს იმ სახელმწიფოთა რიცხვში, რომლებზედაც საკრედიტო შეღავათები ვრცელდებაო.

უდავოა: შუბლმაგართ ჯერ კიდევ საგრძნობი გავლენა აქვთ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ბევრ სხვა სახელმწიფოებზედაც, რომ არა ერთი და ორი ზიანი მიაყენონ საბჭოთა კავშირს. მაგრამ ისიც უტყუარი ფაქტია, რომ ინგლისის საერთაშორისო მდგომარეობის, გაუარესებასა და მისი ეკონომიური კრიზისის გაღრმავებასთან ერთად ჩემბერლენების პოზიციები სულ უფრო ირყევა. დამატებითი საპარლამენტო არჩევნები, რომლებშიაც ისინი სისტემატიურად მარცხდებიან, მრეწველებისაგან „ინგლის-რუსეთის კომიტეტის“ მოწყობა, მათი გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირში დელეგაცია გამოგზავნონ, საერთოდ მოძრაობის გაძლიერება ჩვენთან ნორმალურ ურთიერთობის აღსადგენად—მეტად სიმპტომატიურია. აშკარაა, რომ ინგლისის ხალხი ბოლოს და ბოლოს ვეღარ მოითმენს კონსერვატორების პოლიტიკას და შეეცდება შექმნას უფრო მისაღები მთავრობა, რომლის ერთერთი მთავარი ნაბიჯი უნდა იყოს საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების განახლება.

⁂

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ინგლის-ამერიკის ურთიერთობა ძალზე გამწვავებულია. მართალია, ჩემბერლენმა ბირმინგამში გამართულ ბანკეტზე, რომელსაც ამერიკის ელჩი ხოუტონიც დაესწრო. ამას წინედ განაცხადა, რომ ინგლისს „არა ყავს უკეთესი და უფრო ახლობელი მეგობარი, როგორც შეერთებული შტატები“-ო, მაგრამ ეს მხოლოდ თვალთმაქცობაა, რომელიც ვერც ამერიკელ იმპერიალისტების გულს მოიგებს და ვერც სინამდვილეს დაფარავს. საგულისხმოა, რომ ჩემბერლენის ამ ქათინაურზე ხოუტონმა მეტად მშრალი და თავდაჭერილი პასუხი გასცა და ამითაც ცხადყო, რომ საქმე სრულებით არ არის ისე, როგორც ამას ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი სახავს.

ინგლისს და ამერიკას შორის ბრძოლა წარმოებს მსოფლიო პირველობისათვის, პირველ ყოვლისა კი ზღვაზე ბატონობისათვის. ჩემბერლენი იმავე ბანკეტზე ირწმუნებოდა, რომ ინგლისმა „ნებაყოფლობით მისცა შეერთებულ შტატებს წინადადება დაემყარებიათ ორივე სახელმწიფოს ფლოტების თანასწორობის პრინციპი“. აბა ვინ დაიჯერებს, რომ ლონდონი ნებაყოფლობით აიღებს ხელს თავის საზღვაო ჰეგემონიაზე, ესეც არ იყოს, სიმართლეს არ შეეფერება, რომ ინგლისი ამაზე დასთანხმებულიყოს. სამთა (ინგლის, ამერიკა, იაპონია) კონფერენცია სხვათა შორის, იმიტომ ჩაიშალა, რომ ინგლისი არსებითად იცავდა თავის საზღვაო ძლიერების უპირატესობის შენარჩუნების პრინციპს.

რაკი ინგლისი მსოფლიო პირველობას „ნებაყოფლობით“ არ სთმობს ამერიკის სასარგებლოდ, უკანასკნელი ამ მიზნის მისაღწევად „სათანადო“ ნაბიჯებს სდგამს, ამერიკის სენატმა ამ დღეებში დაამტკიცა საზღვაო მშენებლობის უდიდესი პროგრამა, რომელიც 15 ახალ კრეისერის აგებას ითვალისწინებს. ამერიკაში სულ უფრო აშკარად ლაპარაკობენ ინგლისთან ომის აუცილებლობაზე. მაგ., სენატორმა ჯონსონმა ხსენებულ პროგრამის განხილვის დროს პირდაპირ განაცხადა: „მსოფლიო დრამამდე ძალიან მცირე დადაა დარჩენილი. ეს დრამა გათამაშებულ იქნება წყნარ ოკეანეზე“. განა განმარტება უნდა, რომ აქ იგულისხმება ინგლის-ამერიკის მრავალი შეტაკება, მეორე სენატორმა—ბორამ აღნიშნა: „შეერთებული შტატები და ინგლისი საზღვაო შეიარაღების დარგში დგანან შეჯიბრების წინაშე. რომელიც ბევრად არ განსხვავდება ინგლის-გერმანიის მეტოქეობისაგან 1914 წლამდე“. დასკვნა აქედან მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: როგორც მაშინ ინგლისის და გერმანიის მეტოქეობამ მსოფლიო ომი გამოიწვია, ისე ეხლა ინგლისის და ამერიკის შეჯიბრებას უნდა მოჰყვეს მათი შეიარაღებული შეტაკება.

ასეთი მდგომარეობის ასაცილებლად ბორამ სენატში შეიტანა წინადადება, რომელიც მოითხოვს ზღვების თავისუფლებას, საზღვაო ვაჭრობის თავისუფლების უზრუნველყოფას. ამასთან მან დასძინა: „თუ ინგლისი უარს იტყვის ზღვების თავისუფლების უზრუნველყოფაზე და ნეიტრალურ სახელმწიფოების უფლებათა პატივისცემაზე, შეერთებულ შტატებმა უნდა ააგონ ფლოტი, რომელიც არა მარტო ინგლისისაზე, არამედ უცხოეთის ფლოტების ყოველგვარ კომბინაციაზე დიდი იქნება“. სენატმა მიიღო ბორას წინადადება საზღვაო ვაჭრობის თავისუფლების შესახებ, მაგრამ ამავე დროს მან დაამტკიცა 15 ახალი კრეისერის აშენების კანონპროექტი, ცხადია: ამერიკას არ სჯერა, რომ ინგლისი ამ მხრივ დათმობაზე წავა.

და მართლაც: ინგლისს სამხედრო ფლოტი პირველ ყოვლისა იმისათვის ესაჭიროება, რომ ომის დროს ბლოკადა განახორციელოს და აუკრძალოს მასთან ე. წ. ნეიტრალურ ქვეყნების ალებმიცემობა. მაგრამ ასეთი ზომა არა მარტო მოწინააღმდეგეს აყენებს მძიმე მდგომარეობაში, არამედ ნეიტრალურ სახელმწიფოებსაც, რომელნიც ამით ერთი მხრით ეკონომიურად ზარალობენ, ხოლო მეორე მხრით ინგლისის დამოკიდებულებაში ვარდებიან. ამიტომ ინგლისის ამ საზღვაო ძალადობის მოსასპობად ყოველთვის წარმოებდა ბრძოლა, მაგრამ ამას ლონდონი ანგარიშს არ უწევდა და დღესაც საეჭვოა, რომ მან ბორას წინადადება გაიზიაროს, რადგან ეს ინგლისს ხელიდან გამოაცლის ზღვაზე ბატონობის და სხვა ქვეყნებზე ზემოქმედების მთავარ საშუალებას.

ამგვარად, შეჯიბრება საზღვაო მშენებლობაში ინგლისსა და ამერიკას შორის აუცილებლად უფრო გაძლიერდება. დღემდე ინგლისის პრინციპი იყო: ყოლოდა ორ დიდ საზღვაო სახელმწიფოს გაერთიანებულ ძალების თანაბარი ფლოტი. ეხლა კი ამერიკა ისახავს სწორედ ასეთ და უფრო ფართე ამოცანას (ბორას ზემოდ მოყვანილი განცხადება). ყველაფერი ეს ჩვენ ერთხელ კიდევ მოგვაგონებს ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს, რომელიც სულ უფრო რეალური ხდება.

⁂

გერმანიაში განსაკუთრებული პოლიტიკური მდგომარეობა შეიქმნა. დიდი კოალიციიდან (სახალხო პარტია, ცენტრი, დემოკრატები, სოციალ-დემოკრატები) გავიდა ერთ-ერთი მისი მთავარი შემადგენელი ნაწილი—ცენტრი, რომელიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მონაწილეობდა მთავრობაში. ცენტრის პარტიის წევრი—გერარდი, რომელიც გზათა მიმოსვლის და ოკუპაცია ქმნილ ოლქების მინისტრი იყო, მთავრობიდან გამოვიდა.

ასეთი ნაბიჯი ცენტრმა გადადგა კაბინეტის რეორგანიზაციის საკითხთან დაკავშირებით. საქმე ის არის, რომ გასულ წლის მაისში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თუმცა ფაქტიურად დიდი კოალიცია შეიქმნა, მაგრამ ოფიციალურად იგი არ იყო ჩამოყალიბებული: ბურჟუაზიული მინისტრები მთავრობაში შევიდნენ „პერსონალურად“ და არა როგორც თავის პარტიათა წარმომადგენლები; მხოლოდ სოციალ-დემოკრატიამ გაგზავნა იქ თავისი ხალხი პარტიულ წარმომადგენლობის საფუძველზე.

ბურჟუაზიული პარტიები ასე მოიქცენ პირველ ყოვლისა იმ მიზნით, რომ [illegible] საბოლოოთ დაემორჩილებინათ თავის გავლენისათვის მთავრობის კრიზისის შექმნის დამუქრებით: კოალიციის ოფიციალურად არ არსებობა ამ მხრით მათ მეტ საშუალებას აძლევდა ამავე დროს სახალხო პარტია მოითხოვდა მისი წარმომადგენლების შეყვანას პრუსიის მთავრობაშიც (რომელშიაც ისინი არ შედიან, რადგან პრუსიის ლანდტაგში მათ მანდატების მცირე რაოდენობა მოეპოვებათ). ცენტრი კი ცდილობდა თავის მინისტრების რიცხვის გადიდებას სრულიად გერმანიის მთავრობაში (მათ ყავდათ მხოლოდ ერთი მინისტრი, მაშინ როცა სახალხო პარტიას სამი პორტფელი ხვდა, და ეს იმ დროს, როცა ცენტრის მანდატები უდრის 60-ს, ხოლო სახალხო პარტიისა—52-ს). თავის პრეტენზიების განხორციელებას ორივე პარტია უკავშირებდა მთავრობის რეორგანიზაციას ოფიციალურ კოალიციის საფუძველზე.

როგორც სჩანს, ცენტრმა ვერ შესძლო ხსენებული განზრახვის გატარება, და იგი კოალიციას გამოეთიშა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით ცენტრის პარტიის შიგნით საგრძნობ უთანხმოებას აქვს ადგილი მის მემარჯვენე და მემარცხენე წრეებს შორის როგორც რეიხსტაგის არჩევნების შედეგების გამო, ისე შინაურ პოლიტიკის ზოგიერთ საკითხში. კოალიციიდან გამოსვლა ცენტრის ხელმძღვანელებს ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნიათ პარტიის მთლიანი ფრონტის აღდგენისა და მისი გაძლიერებისათვის, რადგან კოალიციის გარეშე, რომელიც მათ ერთგვარ ვალდებულებებს აკისრებდა, მათ ამ მხრით მეტი თავისუფლება ეძლევათ.

მიუხედავად ცენტრის გადასვლისა ოპოზიციაში, მიულერის მთავრობა არ გადადგა: შეუძლებლად იქნა ცნობილი კაბინეტის კრიზისი უმთავრესად იმ საგარეო მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელსაც დღეს გერმანია განიცდის (რეპარაციების პრობლემის განხილვა და სხ.).

ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად იქნება მთავრობა მტკიცე ცენტრის მონაწილეობის გარეშე. ამის შემდეგ რეიხსტაგში მას უმნიშვნელო უმრავლესობა რჩება. და თუ ცენტრი მოინდომებს მის დამხობას, შესაძლებელია ამით მთავრობისათვის მძიმე მდგომარეობა შეიქმნეს—მაგრამ საეჭვოა, რომ მან ეს გაბედოს. მთავრობაში დარჩენილი პარტიებს, ალბად, ამის იმედი აქვთ. უნდა ითქვას, რომ ცენტრის სოციალური შემადგენლობა საკმაოდ ჭრელია: მისი მემარჯვენე ნაწილი მსხვილი ინდუსტრიის ჯგუფებს ემყარება და ნაციონალისტებისაკენ (მონარქისტებისაკენ) მიიწევს, მემარცხენე ფრთა აერთიანებს მუშა კათოლიკებს და წვრილ ბურჟუაზიულ ფენებს, მესამე ნაწილი ბურჟუაზიის საშუალო წრეების ინტერესების გამოხატვას ცდილობს. მთავრობა, ცხადია, ცენტრის ასეთ მდგომარეობას გამოიყენებს ძალა-უფლების შესანარჩუნებლად. არა გვგონია, რომ ცენტრმა სერიოზული ბრძოლა აწარმოოს მთავრობის ჩამოსაგდებად. მოსალოდნელია, რომ ის უფრო მოიწადინებს თავისი ოპოზიციონერობით მეტი გავლენა მოიპოვოს პოლიტიკაზე.

ცენტრის გამოსვლით კოალიციიდან არსებითად არაფერი იცვლება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ მისი ხელმძღვანელები შეეცდებიან ეს გარემოება გამოიყენონ იმ ჯერ კიდევ მათი მიმდევარ მუშათა ფენების მოსატყუებლად, რომელთა შორის უკმაყოფილება პარტიის რეაქციონურ პოლიტიკისადმი იზრდება. კომპარტია ამ მხრივ, ცხადია, სათანადო ახსნა-განმარტებითი კამპანიას ჩაატარებს ამ ჩამორჩენილ მუშების კლასობრივ თვითცნობიერებისათვის.

ვ. ქ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ იცავს საბჭოთა ხელისუფლება მუშ-გლეხკორებს

მუშგლეხკორთა მოძრაობა საბჭოთა საზოგადოებრიობის ერთ-ერთ დამახასიათებელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ასეთი მდგომარეობა აიხსნება საბჭოთა წყობილების თავისებური სოციალური ბუნებით, რომელიც აგებულია მშრომელ მასების ფართე წრეების მონაწილეობის პრინციპებზე მართვა გამგეობაში. მუშგლეხკორთა დევნა გამოწვეულია მათი მამხილებელი წერილებით. რას ებრძვიან მუშგლეხკორები თავიანთ მამხილებელ წერილებში? რუსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცენტრალური პროკურატურის ხელმძღვანელი ამხ. ნ. ლაგოვიერი შემდეგნაირად უპასუხებს ამაზე:

„მექრთამეობა, ხელისუფლების გადამეტება, — ბანდიტიზმისათვის და „სამოგონშინისათვის" დახმარების გაწევა, არა კანონიერი გადასახადები, უკაიფათობა, სამსახურიდან უკანონო დათხოვნა, მუშა-მოსამსახურისა და გლეხებისადმი უხეში მოპყრობა. საბინაო პრაქტიკაში ცალკე დამახინჯებანი, კლასიური პოლიტიკისა და სხვა ყოველგვარი დანაშაულობანი და დარღვევა რევოლიუციონური კანონიერებისა. ყველა ბოროტმოქმედებანი, რომელთაც სუაბელი ზიანი მოაქვთ მშრომელთა ინტერესებისათვის, წარმოადგენენ მუშკორებისა და სოფლკორების მამხილებელ წერილების საგანს".

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ მუშკორთა წერილები, რომელნიც ყოველდღიურად იბეჭდება საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვან გაზეთებში, აუარებელ მასალას იძლევა ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის წესით დევნის აღსაძრავად. ასე მაგალითად, ჩვენში მხოლოდ ოთხ გაზეთში ერთი წლის განმავლობაში დაბეჭდილ სამხილებელ კორესპონდენციების მიხედვით თბილისის მაზრა-ქალაქის პროკურატურის მიერ აღძრულ საქმეების რაოდენობა ასეთია:

1927 წლის პირველ ოქტომბრიდან 1928 წ. 1 ოქტომბრამდე სხვადასხვა გაზეთების საშუალებით აღძრულ იქნა 145 საქმე. აქედან: „კომუნისტ"-ში დაბეჭდილ მამხილებელ კორესპონდენციების მიხედვით 65 საქმე; „მუშა"-ში — 58; „ახალ სოფელში — 14; „რაბოჩაია პრავდა"-ში — 18; ვიმეორებ, ეს მარტო თბილისის მაზრა - ქალაქის პროკურატურის ფარგლებში, რაც შეეხება დანარჩენ რაიონებს, მათ შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილების შინაარსის წინასწარი გამოძიების საქმე ჯერ - ჯერობით საჭირო სიმაღლეზე ვერ არის დაყენებული. გამოძიება მეტად დიდხანს გრძელდება. საქმე იმაშია, მუშკორის ანუ სოფლკორის მამხილებელი შენიშვნის წაკითხვის საშუალება აქვს, არა მარტო საგამომძიებლო ორგანოს, არამედ იმასაც, ვის წინააღმდეგაც მიმართულია შენიშვნა და, თუ კვლევა-ძიება სწრაფად არ იქნა ჩატარებული, ბუნებრივია დაინტერესებული პირი შეეცდება დანაშაულის დაფარვას.

პრესაში გამოქვეყნებულ წერილების გამოკვლევას სპეციფიურ ხასიათს გულისხმობდა საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატი, როდესაც მან 1926 წელს ამის შესახებ გამოსცა ცალკე ცირკულიარი. ამ ცირკულიარის მე-6 მუხლი ლაპარაკობს:

კვლევა-ძიება სოფლკორების, ანუ მუშკორების წერილების მიხედვით უნდა სწარმოებდეს დიდი ინტენსიობით და მან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105 მუხ. დაწესებულ ერთი თვის ვადას არ უნდა გადაამეტოს. კვლევა-ძიების დამთავრების შემდეგ კი მთელი მასალა უნდა გაიგზავნოს ან სასამართლოში დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად, ან პროკურატურაში საქმის მოსასპობად.

ცირკულიარში გარდა ამისა ჩამოთვლილია მთელი რიგი წესებისა, რომელთა გამოყენებით უზრუნველყოფილ უნდა იქნას პრესაში გამოქვეყნებული წერილების გამოკვლევის მიზანშეწონილი ორგანიზაცია.

სტატისტიკური ციფრები ცხადყოფენ, რომ მუშა და გლეხი კორესპონდენტების მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად იზრდება დევნის შემთხვევების რიცხვი. დევნილნი მიზნად ისახავენ ერთ შემთხვევაში მუშკორის და სოფლკორის ფიზიკურ მოსპობა - განადგურებას, ხოლო მეორე შემთხვევაში კი დაშინებას, რათა მას ხელი აიღებინონ კორესპონდენტულ მოღვაწეობაზე.

სახელმწიფო დამსჯელ ორგანიზაციებისათვის ადვილია ბრძოლა მუშგლეხკორთა აშკარა მდევნელების წინააღმდეგ (მკვლელობა ანუ მკვლელობის ცდა, მუქარა და სხვა) მაგრამ ძნელია, როცა ჩვენ ვერ ვახერხებთ ფარული დევნის გამოაშკარავებას.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა ვიცოდეთ, როგორ სჯის ჩვენი კანონი მუშგლეხკორის მდევნელს. ასეთი სახის დანაშაულებათა შესახებ არსებობს როგორც რუსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1926 წლის ცირკულიარი (№ 32), ისე საქართველოს იუსტიციის კომისარიატის ცირკულიარიც (№ 37) გამოცემული იმავე წელს. აქ ჩვენ ვკითხულობთ:

„მუშკორის ანუ სოფლკორის მკვლელობა ან მკვლელობის ცდა, ასეთ შემთხვევების დროს დანაშაულობას დასახელებულ ცირკულიარების მიხედვით კვალიფიკაცია უკეთდება სისხლის სამართლის კოდექსი 58⁸ მუხლით, რომელიც გულისხმობს ტერორისტულ აქტს, მიმართულს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა ან მუშათა და გლეხთა რევოლიუციონური ორგანიზაციების წინააღმდეგ. საბჭოთა რესპუბლიკების სასამართლოების პრაქტიკით და რუსეთის უზენაეს სასამართლოს ახსნა - განმარტებით, მუშა და სოფლის კორესპონდენტები ითვლებიან მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურ ორგანიზაციების მოღვაწეებათ. დასახელებული მუხლი ითვალისწინებს სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებას — დახვრეტას.

მუშსოფლკორზე ან მის მახლობელზე დამუქრება, ძალის ხმარება, ან ქონების განადგურება, რათა ამით ხელი აიღებინონ მას კორესპონდენტულ მუშაობაზე, საერთოთ, ან კერძო შემთხვევაში, ისჯება სისხლის სამ. კოდ. 193 მუხლის ანალოგიის მიხედვით (ამ მუხლით იქნენ დასჯილნი საქართველოში „კომუნისტი"-ს მუშკორზე თავდამსხმელნი — ბანტაძე და ძმანი მისნი), სოციალური დაცვის ღონისძიება — 193 მუხლით, დაწესებულთა თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე.

მუშსოფლკორის უკანონო დაპატიმრება, თანამდებობის პირის მიერ მუშსოფლკორისათვის კანონიერ დახმარებაში ან დაცვაში უარის თქმა, ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 121 და 116 მუხლებით.

თანამდებობის პირთა მიერ კორესპონდენტის ვინაობის ან მათთვის გამოსაძიებლად მიწოდებული ცნობის შინაარსის გამომჟღავნებას, კორესპონდენტთა წერილების გამორკვევას კანონიერი წესის გარეშე, დამალვას და მოსპობას მუშგლეხკორის წერილებისა, კვალიფიკაცია უნდა გაუკეთდეს სისხლის სამ. კოდ. 97 ან 116, 115 მუხლის პირველი ნაწილის და 76 მუხლის ძალით.

თუ ავიღებთ რუსეთის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვს მუშსოფლკორთა წინააღმდეგ ჩამოთვლილ დანაშაულობათა სახეების მიხედვით, 27 გუბერნიაში მხოლოდ 1927 წლის განმავლობაში ჩადენილია 10 შემთხვევა მკვლელობისა (2,4 პროც.) ოცდა-ექვსი მკვლელობის ცდა (6,3 პროც.). 58 მუქარა (14,1 პროც.), 71 შემთხვევა ცემის (15,8 პროც.), 17—შეურაცხყოფა (4,1 პროც.), 10—ცეცხლის წაკიდება, 80 სამუშაოდან დათხოვნისა და გადაყვანის (19, პროც.) და 85 „სხვა დასხვა" ხასიათის დევნა.

ეს რაც შეეხება დანაშაულობათა სახეებს და კვალიფიკაციას, რომელიც საგანგებოთაა გათვალისწინებული სათანადო ცირკულიარით. გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულიარში განსაზღვრულია სპეციალური წესი, რომლის მიხედვითაც უნდა ხდებოდეს მუშ-სოფლკორთა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედობათა გამოძიება. მოგვყავს რამოდენიმე პუნქტს ამ ცირკულიარიდან:

პროკურატურის ორგანოებმა უნდა გაუწიონ სისტემატიური ზედამხედველობა იმას, რომ მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მიმართ ჩადენილი დანაშაული ყოველთვის სწრაფად იქნეს გამოკვლეული და განხილული, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან ასეთი საქმეების გაჭიანურება.

თვალყური უნდა ადევნონ, რათა ამნაირ საქმეების გამოკვლევა და გამოძიება, შეძლებისდაგვარად, ყოველ ცალკე შემთხვევაში, ევალებოდეს კვალიფიციურ მუშაკებს, საპროკურატურო ზედამხედველობის უახლოესი ხელმძღვანელობით.

უკეთუ მუშა და სოფლის კორესპონდენტების მიმართ ჩადენილი დანაშაული მეტად მძიმეა და მას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, საპროკურატურო ზედამხედველობის ორგანო პირადად უნდა გაემგზავროს ადგილზე და უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიოს გამოძიებას.

ჩვენ ვხედავთ, რომ როგორც მუშგლეხკორთა წერილების გამოკვლევა, ისე მათ წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიება ხელისუფლებას სპეციალური საკანონმდებლო ნორმებით აქვს მოწესრიგებული. ამოცანები რომელიც დასმულია საპროკურატურო ზედამხედველობისა და საგამომძიებლო სასამართლო აპარატის წინაშე—მუშგლეხკორთა მიმართ, შესაძლებელია ამხ. ნ. ლაგოვიერის სიტყვებით ასე განვსაზღვროთ:

„უნდა გავაძლიეროთ პროკურატურისა და სამოსამართლო-საგამომძიებლო ორგანოების კავშირი მუშგლეხკორებთან, მეტადრე გლეხკორებთან (ჯერ-ჯერობით განსაკუთრებით სუსტია კავშირი მათთან), უფრო ფართო პოპულარიზაცია უნდა მოვახდინოთ იმ კანონებისა და დირექტივებისა, რომლებიც გამოცემულია მუშგლეხკორთა დასაცავად. მუშგლეხკორთა მდევნელებთან ბრძოლას მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება უნდა მიექცეს. თუ მიზანშეწონილად ითვლება, რომ საქმეების რომელიმე კატეგორიას საჩვენებელი მნიშვნელობა ეძლეოდეს, ერთი ორად მიზანშეწონილი იქნება, რომ ასეთივე ხასიათი მიეცეს მუშგლეხკორთა დევნის საქმეებს; ეს შეეხება არა მარტო პროცესებს მკვლელობისა და მკვლელობის განზრახვის გამო, არამედ მუშგლეხკორთა დევნის ყოველგვარი სახის გამო აღძრულ პროცესებს.

ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ დანაშაულობანი, მიმართულნი მუშგლეხკორთა კორესპონდენტულ მოღვაწეობის წინააღმდეგ უაღრესად საშიშია საზოგადოებრივად, ვინაიდან ასეთი ხასიათის დანაშაულობანი ჩადენილია სოციალისტური რევოლიუციის უდიდესი მონაპოვარის — მუშგლეხკორთა არმიის წინააღმდეგ. სახელმწიფო დამსჯელმა ორგანოებმა გაორკეცებული ენერგიით უნდა აწარმოონ ბრძოლა ამ კატეგორიის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ.

ივანე ქაქაბიძე.

გაზაფხულის თესვისათვის

რესპუბლიკანური კომისიის სხდომა

გაზაფხულის თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანური კომისიის მეორე სხდომაზე ამხ. ს. ჟუღელმა განაცხადა, რომ გაზაფხულის თესვის ჩამტარებელ ამიერ-კავკასიის ცენტრალური კომისიის დადგენილებით, კავკავიდან საქართველოში შემოზიდული იქნება 200.000 ფუთი სიმინდი და 80.000 ფ. ქერი, ხოლო ადგილობრივ დამზადებული იქნება 50.000 ფუთი სიმინდი. კომისიის დადგენილებით 50.000 ფუთი სიმინდის ადგილობრივ დამზადება დაევალა „სოფლის კავშირს" და ცეკავშირს. ვინაიდან კავკავიდან შემოზიდული სიმინდი არ გამოდგება სათესლე მასალად, საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ შემოზიდული სიმინდი მოსახლეობას მიეცეს ოჯახში მოსახმარებლად, რომ მის ნაცვლად სათესლეთ იხმარონ ადგილობრივი სიმინდი. სათესლე მასალის განაწილება და ადგილებისთვის გადაგზავნა დაევალა „სოფლის კავშირს".

შემოზიდული სიმინდის ადგილობრივ სიმინდზე გადაცვლა დავალებული აქვს თესვის ჩამტარებელ ადგილობრივ კომისიებს.

შემდეგ მოსმენილი იქნა „სოფლის კავშირი"-ს და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების მოხსენება სასოფლო-სამეურნეო იარაღ მანქანების განაწილების შესახებ.

კომისიამ დაადგინა გაზაფხულის თესვისთვის შეძენილი მანქანა-იარაღები (226.400 მან. ღირებულების) განაწილებულ იქნეს შემდეგ ნაირად: ბორჩალოს მაზრას მიეცეს—11,853 მან., თბილისის მაზრას—12.680 მანეთის, კახეთის მაზრას—45,385 მანეთის, ახალქალაქის მაზრას—9.420 მანეთის, ახალციხის მაზრას—14.915 მანეთის, შორაპნის მაზრას—8,100 მანეთის, ქუთაისის მაზრას 12.260 მანეთის, რაჭა-ლეჩხუმის მაზრას—10,700 მან., ოზურგეთის მაზრას—7.860 მანეთის, სენაკის მაზრას—13,860 მანეთის, ზუგდიდის მაზრას—3,860 მანეთის, სამხრეთ-ოსეთის—6.800 მანეთის, აფხაზეთის—22,600 მანეთის და აჭარისტანს—4.720 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. დამატებითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გადადებულია 8,946 მან. იარაღ-მანქანები.

კომისიამ დაამტკიცა შემკეთებელ სახელოსნოებისათვის გადადებული თანხის განაწილების გეგმა, რომლის თანახმად წნორის წყალის მანქანების შემკეთებელ სახელოსნოს უნდა მიეცეს 12.000 მანეთი, რაჭა-ლეჩხუმის სახელოსნოს—4,000 მანეთი, ბორჩალოს სახელოსნოს მოსაწყობად—42.000 მანეთი, გორის მაზრის სახელოსნოს—42.000 მან. და ცენტრალურ სახელოსნოს—24.000 მანეთი. ამასთანავე კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ მომავალი თესვის კამპანიის დროს ზუგდიდის მაზრაში მოეწყოს ერთი პირველი კატეგორიის შემკეთებელი სახელოსნო.

მუშა-საქონლის შესაძენად გამოყოფილი თანხა—448,100 მანეთი განაწილებულია შემდეგ ნაირად: ახალქალაქის მაზრას მიეცა 17.500 მანეთი, ახალციხის მაზრას—12,950 მან., ბორჩალოს მაზრას—12,950 მანეთი, გორის მაზრას—26.600 მან., თბილისის მაზრას—26,600 მანეთი, კახეთის მაზრას—85.000 მანეთი, სამხრეთ-ოსეთს—26.600 მან., ზუგდიდის მაზრას—49,000 მან., სენაკის მაზრას—49.000 მან. რაჭა-ლეჩხუმის მაზრას—18,800 მან. ოზურგეთის მაზრას—49.000 მან. ქუთაისის მაზრას—40,600 მანეთი. შორაპნის მაზრას—85.000 მან. აფხაზეთს—26.600 მანეთი და აჭარისტანს—40.600 მან:

ულელი მუშა საქონლის ფასად ნავარაუდევია 350 მანეთი, ასე რომ მთელი თანხით შეძენილი უნდა იქნეს 1.266 ულელი მუშა საქონელი. მუშა-საქონლის შესაძენათ გამოყოფილი თანხა გადაეცემა თესვის კამპანიის ჩამტარებელ სამაზრო კომისიებს, რომლებიც საქონელს შეიძენენ საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით.

დასასრულ კომისიამ დაამტკიცა საქონლის საკვების განაწილების გეგმა (სულ განაწილებულია 40.000 ფ. ბზე. და 60,000 ფუთი თივა) ვინაიდან საქონლის საკვების გადაზიდვა რაჭა-ლეჩხუმში, აჭარისტანში და აფხაზეთში ძვირი დაჯდება და ამასთანავე საკვები მასალა შეიძლება შეძენილი იქნეს ადგილობრივ კომისიამ დაადგინა ზემო აღნიშნული ადგილებს საკვების საფასური მიეცეს ფულად და დაევალოთ საკვების ადგილობრივ შეძენა.

„სოფლის კავშირს" დაევალა ყოველ კვირეულად წარუდგინოს თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიას მოხსენება მაზრებისათვის სათესლე მასალის, იარაღ-მანქანების და სხ. მიწოდების შესახებ.

კომკავშირი და საგაზაფხულო თესვის კამპანია

საქართველოს ა.ლ. კომკავშირის ცეკა ა. წ. 15 თებერვლიდან ატარებს ლაშქრობას მოსავლიანობის გადიდებისათვის, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება. აღნიშნულ ლაშქრობის წარმატებით ჩატარებისათვის კომკავშირის ცეკას საჭიროდ მიაჩნია ადგილობრივ კ. კავშირის ორგანიზაციებმა მიიღონ შემდეგი ღონისძიებანი:

ლაშქრობის ჩასატარებლად ადგილებზე დაარსდეს კომიტეტები, სხვადასხვა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

მოეწყოს საქალაქო, სარაიონო და სათემო თათბირები, რომელზედაც განხილულ იქნეს საგაზაფხულო თესვის კამპანიის, მოსავლიანობის გადიდების და ლაშქრობის ამოცანების საკითხები. იგივე საკითხები გადატანილი იქნეს უჯრედების ღია კრებებზე.

ყველა სოფლებში კომ-კავშირის უჯრედების და საშუალო გლეხ, ახალგაზრდობის კრებები, რომელზედაც დამუშავდეს საქართველოს და ეკონომიურ კომისიის გადაწყვეტილებანი საგაზაფხულო თესვის კამპანიის შესახებ, ღონისძიებები მოსავლიანობის გადიდებისათვის და ლაშქრობის საკითხები.

თესვის კამპანიის საკითხების დასამუშავებლად ჩატარდეს ღარიბ და საშუალო გლეხ-ახალგაზრდობის სარაიონო და სათემო კონფერენციები.

ჩატარდეს დამოუკიდებელ მეურნე კომკავშირელების და უპარტიო ღარიბ და საშუალო გლეხ-ახალგაზრდობის კონფერენციები, რომელზედაც დამუშავდეს შემდეგი საკითხები: „სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია და მოსავლიანობის გადიდება". ამასთან დაკავშირებით აღებულ იქნეს მტკიცე კურსი ახალგაზრდობის მაქსიმალურად ჩაბმისაკენ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებში.

ლაშქრობის ჩატარებაში მაქსიმალურ მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ გლეხ-ახალგაზრდობის და სასოფლო სამეურნეო სკოლები.

შემოღებულ იქნეს პრაქტიკაში ღარიბ გლეხობის დახმარების გაწევის მიზნით, ხელოსან მუშა-ახალგაზრდობის მიერ ღარიბ გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთება და სხვ. ამასთან ერთად კომკავშირელებმა უნდა მოაწყონ ბრიგადები თესვის კამპანიაში პრაქტიკული მონაწილეობის მისაღებად.

მოწვეულ იქნეს საშეფო საზოგადოების და თავდაცვა-ავიაქიმის წევრ ახალგაზრდობის აქტივის თათბირი, რომელზედაც დამუშავდეს კონკრეტული ღონისძიებანი აღნიშნულ საზოგადოებათა მონაწილეობის შესახებ თესვის კამპანიაში.

საჭიროა გააფართოვოს მუშაობა „მსუბუქმა კავალერია"-მ იმ მიმართულებით, რომ სწორედ ნაწილდებოდეს კრედიტები, სათესი მასალა, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები და სხვ.

ცეკა აცხადებს კონკურსს ორგანიზაციებს შორის ლაშქრობის საუკეთესო ჩატარებაზე. შავ სიაში ჩაიწერებიან ყველა ის ორგანიზაციები, რომლებიც არ მიიღებენ მონაწილეობას ლაშქრობაში. ლაშქრობის ჩატარების შესახებ სათანადო დირექტივები უკვე დაეგზავნა ცენტრალური კომიტეტის მიერ ადგილებს.

საშეფო საზოგადოების მონაწილეობა

„ქალაქისა და სოფლის დაახლოვების საზოგადოების" თბილისის საბჭო აქტიურ მონაწილეობას იღებს გაზაფხულის თესვის კამპანიაში. მას განზრახული აქვს აღრიცხოს გლეხთა მეურნეობანი, რომელთაც სათესლე სესხი სჭირდებათ, გამოარკვიოს საჭირო თესლის მოთხოვნილების რაოდენობა, აღრიცხოს სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მოაწესრიგოს ამ მანქანების დარიგება რაიონებში. გარდა ამისა, საზოგადოება საკუთარი ძალებით მოაწყობს სახელოსნოებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებლად, საწყობებს და სხვა.

ქალაქში მოწესრიგდება საშეფო სოფლების კავშირი რკინის გზის სახელოსნოებთან, მექანიკურ ქარხნებთან და შინამრეწველობის კოოპერაციასთან.

ქუთაისის მაზრის აგრონომთა თათბირი

ქუთაისი, 8 თებერვალი დამთავრდა მაზრის აგრონომთა თათბირი, რომელიც ორი დღე გაგრძელდა. თათბირის დღის წესრიგში იყო: თესლცვლის შემოღება, ტეხნიკური კულტურების ნათესი სივრცის გაფართოება, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და სხვ.

პირველ საკითხზე თათბირმა დაადგინა,— 1928 — 29 წელს კოლექტიურ მეურნეობებში შემოღებულ იქნეს თესლცვლა და ამავე დროს ჩატარდეს მაზრების დარაიონება თესლბრუნვის სქემის გამოსარკვევად. თესლცვლა პირველ რიგში შემოღებულ იქნება მიწადმოწყობილ კოლექტივებში.

ნათესი სივრცის გადიდების საკითხზე თათბირმა დასახა შემდეგი საორიენტაციო გეგმა: სიმინდისათვის გამოყოფილ იქნას 72.000 ჰექტარი, ბამბისათვის — 1.600 ჰექტარი, საკვები ბალახისათვის — 850 ჰექტარი, ფეტვისათვის — 850 ჰექტარი და კენაფისათვის — 50 ჰექტარი. ნათესების საერთო სივრცე წარსულ წელთან შედარებით გადიდებულ იქნება 10 პროც.-ით.

თათბირმა დაადგინა მიმდინარე წელში მოახდინოს 8.000 ჰექტარი სიმინდის ნათესის კონტრაქტაცია, აქედან 150 ჰექტარი უნდა მოდიოდეს კოლმეურნეობებზე.

სათესლე მასალის ნაკლებობის გამო, თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ კოლმეურნეობებში მოეწყოს სათესლე ნაკვეთები, რომელთა საერთო სივრცე უნდა უდრიდეს 45 ჰექტარს. გარდა ამისა, თათბირმა დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის და კოლექტივიზაციისათვის.

ქრონიკა

საფეიქრო ტრესტი

საქართველოს პროფსაბჭომ მიიღო ს.ს. რესპუბლიკის ფეიქართა კავშირის წინადადება საქართველოს საფეიქრო ტრესტის მოწყობის შესახებ.

პროფსაბჭომ დაავალა თავის სტარიფო განყოფილებას—დაინტერესებულ კავშირებთან ერთად შეისწავლოს საკითხი იმის შესახებ, რომ თბილისის ნაბდის ფაბრიკა შეუერთდეს საფეიქრო ტრესტს.

შრომის კომისარიატში

მუშა - ხელის შემოწმება. შრომის კომისარიატთან არსებულ შრომის ჰიგიენის ფსიქო - ტეხნიკურ კაბინეტს დაევალა მოახდინოს იმ მუშების შემოწმება, რომლებიც უნდა გაიგზავნონ წარმოებებში კვალიფიკაციის გასაუმჯობესებლად.

◆ **შრომის პირობების გამოკვლევა.** შრომის კომისარიატი, შეუდგა მუშაობის პირობების გამოკვლევას სახ. კინო - მრეწველობასა და მე-2 თამბაქოს ფაბრიკაში.

ჯანმრთელობის კომისარიატში

დედათა და ბავშთა დაცვის სამდღიური. ჯანმრთელობის კომისარიატის დედათა და ბავშთა დაცვის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა — ჩატარებულ იქნეს დედათა და ბავშთა დაცვის სამდღიური 1-დან 8 მარტამდე.

პედოლოგიური ინსტიტუტის მოწყობა. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი შეუდგა თბილისში პედოლოგიური ინსტიტუტის მოწყობას. ინსტიტუტი გაიხსნება ლუნაჩარსკის ქუჩაზე № 12.

სხვადასხვა

კომკავშირულ მწერალთა წრეში. კვირას, 10 თებერვალს, საღამოს 6 საათზე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს რედაქციის ბინაზე, შესდგება კომკავშირულ მწერალთა წრის მორიგი კრება.

◆ **ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წლიური კრება,** შესდგება 12 თებერვალს, სამშაბათს, საღამოს 7 საათზე საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში. დღის წესრიგი: 1) საბჭოს საანგარიშო მოხსენება; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები; 4) პროფ. დიმ. უზნაძის მოხსენება: „სიტყვის მნიშვნელობის მრავალდობის პრობლემისათვის". კრება საჯაროა.

◆ **მორიგეობა იუსტიციის სახალხო კომისარიატში.** შთხოვნელების მისაღებათ იუსტიციის სახ. კომისარიატში (ტრიბუნალის ქ. № 32) ყოველ კვირა და უქმე დღისათვის დაწესებულია პასუხისმგებელ მომუშავეთა მორიგეობა დილის 10 საათიდან — 1 საათამდე.

◆ დღეს საღამოს 7 საათზე სოციალურ ჰიგიენის ინსტიტუტის აუდიტორიაში სამკურნალო სამეცნიერო წრეში, დამუშავებული იქნება საქართველოს ექიმთა მე-5 კონგრესის შრომები.

— **ჩაუბარებელი დეპეშები.** კიევიდან—ბანოვშვილს, სტალინგრადიდან—ფომიჩევს, ერევნიდან—ვილკენს, ლუქსემბურგიდან — მიქელოვს, კისლოვოდსკიდან—კანონოვს, სარატოვიდან—ტკარსკის.

ბიბლიოგრაფია

„ქართული მწერლობა"—№№ 10,11 და 12.

„ქართული მწერლობის" სარეცენზიო ნომრები არ არის ინტერესს მოკლებული, რადგან ისინი შესაძლებელს ხდიან გაკვრით აღვნიშნოთ ქართული ლიტერატურის განვითარების ზოგიერთი ტენდენციები მიმდინარე პერიოდში.

პროზის დარგში ამ მხრივ ყველაზე უფრო საყურადღებოა მიხ. ჯავახიშვილის მოთხრობა „შავი კლდე" (ციკლიდან „გივი შადური"). ამ მოთხრობამ ჩვენი საზოგადოებრივი აზრის ყურადღება მიიპყრო. ეს გასაგებიც არის. მწერალმა მასში გივი შადურის სახით—ისეთი პოზიცია დაიჭირა „დღევანდელობის" მიმართ, ისეთი რეაქციონური განწყობილება გამოამჟღავნა, რომ ავტორი არა თუ „ეპოქალურ" მწერლად ვერ ჩაითვლება, არამედ იგი პირდაპირ მოწინააღმდეგეთა ბანაკში დადგა. მ. ჯავახიშვილი თავის გმირს გივი შადურს ალაპარაკებს იმის შესახებ, თუ როგორ „ბრიყვები მწერლობაშიც გამრავლდნენ". გამოდის, რომ სხვა დარგებშიაც ქონია ადგილი ბრიყვების გამრავლების პროცესს. „...კეტებით დასდევდენ მთვარეს, ლამაზ ქალებსა და მომხიბვლავ სიტყვებს. არ გაექცეთ პოეტებო! თქვენც აიღეთ მარგილები და ურტყით მათ, გარეკეთ, გააძევეთ, თავიანთ საქმეს დაუბრუნეთ". დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს ამ უკანასკნელი სიტყვების აზრს: „ურტყით... და თავიანთ საქმეს დაუბრუნეთ"! მუშებისა და გლეხების საქმე წმინდა სფეროა პოეზიის.. და „მთვარე"—ცინიკურად გველაპარაკება ავტორი. ეს მხოლოდ რჩეულთა საქმეა, როგორც, მაგ., ჯავახიშვილის და იმ „თბილი" კომპანიის, რომელთა წრეშიც წარმოსთქვამდა გივი შადური ამ სიტყვებს. „ამ ქვეყნისა, შენიშნავს შადური, ბევრი რომ არ მესმის".

ჩვენში სინამდვილის ახალი „ჰამლეტის" წინაშე, რომელიც შეპყრობილია სკეპტიციზმის უკურნებელი სენით „ამ ქვეყნის" საიდუმლოება მიუწვდომელი დარჩა. ეს „ქვეყანა" მას არასოდეს არ ეცოდინება, ვინაიდან არავითარ მონაწილეობას არ იღებს მის შენებაში. წინააღმდეგ—მის ხელისშემშლელ ძალადაც კი გადაიქცა. ეს აშკარად უნდა ითქვას. ჯავახიშვილი აღშფოთებულია დღევანდელი კრიტიკით. ეს სხვაგვარად არც შეიძლება წარმოიდგინოთ. იმ მწერალის წინააღმდეგ, რომელმაც მოგვცა „დამპატიჟე" და „შავი კლდე", მარქსისტულ აზრს უეჭველად უნდა ეწარმოებინა ბრძოლა; ეს ბრძოლა „გივი შადურების" წინააღმდეგ კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს და გაღრმავდეს.

ამ ნომერში აღსანიშნავია აგრეთვე ლეო ქიაჩელის „ალმასკირ კიბულან". მოთხრობა ფსიქოლოგიური ხასიათის არის და მოკლებულია სოციალურ შინაარსს, მაშინ, როდესაც ავტორს შეეძლო სიუჟეტი გაეშალა ახალი სვანეთის შენებლობის ფონზე, მისი დაპირისპირებით ძველ სვანეთთან. ამავე ავტორის მოთხრ. „სისხლის". შემდეგ ეს ნაბიჯია უკან.

ჟურნალის მე-12 ნომერში მოთავსებულია ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „თაგვის წერილი". ნ. ლორთქიფანიძის კალამს მრავალი მოთხრობა ეკუთვნის. მას აუცილებლად ერთი პირველ ადგილთაგანი უჭირავს ქართულ პროზაიკოსთა შორის. მაგრამ მისი შემოქმედების მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მწერალი დაშორებულია თანამედრ. თემებს. მის მიერ შექმნილი ტიპები უმთავრესად ფეოდალური საქართველოს წიაღიდან არიან გამოსულნი. მიუხედავად ამისა, ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებას ამ ბოლო ხანებში ერთგვარი გარდატეხის ნიშნები (თუმცა ჯერ სუსტი) ეტყობა. მწერალმა სცადა დაახლოვება თანამედროვეობას მოთხრობაში „ბილიკიდან ლიანდაგზე", რომლებიც ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის. მოთხრობა „თაგვის წერილს" ახასიათებს უკიდურესად ლაკონიური თქმები, სიტყვის დაზოგვა და მოსწრებული შენიშვნები, რაც მწერლის ძლიერი დაკვირვების უნარს ამჟღავნებს. მართალია, თემა, „კოსა იოსება მიეტლეს" თავგადასავალი უმნიშვნელოა და აქტუალობას მოკლებული. მაგრამ იგი უეჭველად ლამაზად და მხატვრულად არის შესრულებული.

პოეზიის განყოფილებაში აღსანიშნავია ს. ჩიქოვანის პოემა „ბედ—რესპუბლიკა". პოეტი აგვიწერს მენშევიკური რესპუბლიკის უკანასკნელ დღეებს როცა გვარდიელთა ხროვა „ცილინდრიანებთან" ერთად ბათომისკენ გარბოდა. არის გამართული სტრიქონები:

„ჯგუფ-ჯგუფად იჯდენ ჯარის კაცები.
ხაშურის ახლოს, მინდვრათ გაშლილი.
ხელებს ითბობდენ მკვდარ კოცონებზე
და საუზმობდენ გორის ვაშლებით".

ალ. აბაშელის ლექსებში—„ტყეში" და „დედა-მიწა", კვლავ წამოჭრილია საკითხი ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის შესახებ.

„მე თუ ქალაქის მტვრიან ჭაობში ვერ ჩავესახლე
და გავურბივარ უჰაერო ქუჩის სიმძიმეს,
წარსულისაკენ ამ ჭვიყანას როდი ვეძახი!
ჩემ წინ შორეულ მომავალის ზეცა ციმციმებს".

ალ. აბაშელს „მომავალის" კონტურები ჯერ კიდევ ბუნდოვანად ესახება. იგი არწმუნებს, „რომ არა ვარ ჩამორჩენილი"-ო, რადგან პოეტს სწამს, რომ ეპოქის ნიშანს „ელვარე ტვინისა და ძარღვიან კუნთების" კავშირი წარმოადგენს. საერთოდ აბაშელზე უნდა ვთქვათ, რომ მისი შემოქმედება ვერ შლის ფრთებს უფრო დიდი თემებისაკენ. აბაშელი ჯერ კიდევ ვერ გასცილდა თავის სუბიექტიურ განწყობილებათა ფარგალს. აღვნიშნავთ აგრეთვე ტ. ტაბიძის ლექსს „როალდ ამუნდსენ". ამ ლექსს მხატვრული თვალსაზრისით უეჭველად პირველი ადგილი უჭირავს ამ ნომერში მოთავსებულ ლექსებს შორის. ტ. ტაბიძე ერთ ადგილას კვლავ უბრუნდება თავისი შემოქმედების ძველ, რამოდენიმეჯერ გადამღერებულ მოტივს—„ბაყაყების კონცერტს":

„გაჰქვეთ ბაყაყებს
მძიმეთ ტლაშანი
ორკესტრი ჩემი
საკუთარია„ და სხვა.

ამ დეკადენტურ ხაზს კვლავ არ სტოვებს ტ. ტაბიძე. მიუხედავად ამისა, ლექსის მთავარი კონცეპცია—ჩრდილოეთ პოლიუსზე გათამაშებული უდიდესი დრამა—კარგად არის გაშლილი პარალელებში. კომპოზიციის მხრითაც ლექსი მკითხველში უთუოდ შექმნის სათანადო განწყობილებას.

ამავე ნომერში მოთავსებულ ლექსებს შორის აღვნიშნავთ აგრეთვე ვ. გურულის „ციმბირის ტყავს", ა. ქუთათელის „ახალ საქართველოს" და პ. სამსონიძის „მოსკოვს".

ჩვენ არ შევეხებით კრიტიკის განყოფილებაში რუსთაველის თეატრის დადგმებზე მოთავსებულ წერილებს, რადგან ამის შესახებ ჩვენ გაზეთის ფურცლებზე უკვე იყო მკითხველთან საუბარი.

ბიბლიოგრაფი.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) კალანდაძე (თბილისი)
იბეჭდება პირველად



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) ჭანკავა (თბილისი)
იბეჭდება პირველად



შამათი ორ სვლაში

პარტია № 14. (ლაზიერის პაიკთა დებიუტი)

გათამაშებულია ა.-კ. მოჭადრაკეთა შეჯიბრების უკანასკნელ ტურში 1928 წ. ივნისში.

თეთრები: ვ. მაკაგონოვი, შავები: ნ. სოროკინი

1. d2-d4, d7-d5 2. c2-c4, e7-e6 3. მb1-c3, c7-c6 (პასიური სვლაა; შავები თეთრების თამაშის განვითარების მოლოდინში რჩებიან, ამავე დროს თავის თამაშის გეგმას ნათელყოფენ, ბევრად სჯობდა 3..., მf6, მით უფრო, რომ ასეთი დებიუტის წინააღმდეგ, როგორიც არის ლაზიერის გამბიტი, მოგების შანსებს მხოლოდ მდგომარეობის გართულება იძლევა) 4. მg1-f3, მg8-f6 5. კc1-g5, d5:c4 (შავები, როგორც შემდეგიდან სჩანს, ცდილობენ ამ პაიკის შენარჩუნებას. ეს პარტია მაჩვენებელია, თუ რა შედეგს იძლევა განვითარების დაუსრულებლად მატერიალურ უპირატესობის მიღების გამოდევნა) 6. e2-e4!, b7-b5 7. e4-e5, h7-h6 8. კg5-h4, g7-g5 9. მf3:g5! h6:g5 (მიუხედავად იმისა, რომ პარტია მხოლოდ იწყება, მდგომარეობა ძალიან გართულდა; შავების უკანასკნელი სვლა არ ვარგა, ამის შემდეგ ისინი იძულებულნი არიან წააგონ პაიკი და შევიწროვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ; სჯობდა 9..., მf6-d5 10. მf3, კe7 11. კ:e7, ლ:e7 მდგომარეობა თანასწორია. არაფერს აძლევდა თეთრებს 10. ლh5, hg 11. ლ:h8, g:h) 10. კh4:g5, მb8-d7 11. e5:f6, კf8-b4 12. g2-g3, მd7-b6 13. კf1-g2, მb6-d5 14. ლd1-d2, ლd8-a5 15. ეa1-c1, კc8-b7 16. 0-0, 0-0-0 17. ლd2-c2, კb4:c3? (სუსტი სვლაა, სჯობდა აყვანა ცხედრით 17..., მd5:c3 18. bc, კa3 19. ეb1, c5 20. კ:b7+, მფ:b7 21. ლe4+, ეd5) 18 b2:c3, a7-a6 19. h2-h4, ლa5-a3 20. ეf1-e1, მფc8-b8 21. ეe1-e5, ეd8-d6? (სრულებით გაუგებარი სვლაა, თეთრების შემდეგი მანევრების სიძლიერე ნათელია, ყველა ამის გათვალისწინება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა) 22. კg2:d5 (ფაქტიურად შავები ეხლა უფიგუროდ არიან, მათი კუ ჩაკეტილია შავების პაიკებით) 23. კg5-f4! მb8-a8 24. h4-h5, ეd6-d8 25 h5-h6, ეd8-g8 26. ფg1-g2, ეg8-g6 27. კf4-g5? კb7-c8? (შავებმა არ ისარგებლეს თეთრების სუსტი სვლით, რომელიც მათ აძლევდა შანსებს ყაიმზე. საჭირო იყო დაუყოვნებლივ ხარისხის შეწირვა 27..., ე:g5 28. ე:g5, ე:h6 და თეთრები კარგავენ კიდევ ერთ პაიკს f6, ეხლა კი შავები ძალზე იღუპებიან) 28. ეc1-h1, ეh8-h7 29. კg5-c1! ლa3-a5? (საკვირველია ამ პარტიაში შავების ასეთი უსისტემო თამაში: იმ დროს, როდესაც საჭიროა ლაზიერის გადაყვანა f8-ეe5 წინააღმდეგ, მათ ის გადაყავთ სადღაც a5, a3-ზე მაინც დაეტოვებინათ) 30. ეe5-g5, ეh7:h6? 31. ეh1:e6, ეg6:h6 32. ეg5-g8 შავები დანებდნენ.

ინდუსტრიალ. ზაიმის მეორე სესხი

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მოგებათა გაცემა

სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორამ 8 თებერვალს დაიწყო ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის პირველი ტირაჟის მოგებათა გაცემა. 8 და 9 თებერვალს გაცემულ იქნა 15.875 მანეთის მოგება.

მოგებათა დარიგება წარმოება - დაწესებულებებში

სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორამ გამოჰყო თანამშრომლები, რომლებსაც დავალებული აქვს კოლექტიურად ხელის მომწერთა მოგებების გაცემა ადგილებზე — წარმოება - დაწესებულებებში. მოგებათა გაცემა იწარმოებს მუშაობის დამთავრებისას. ბანკის თანამშრომლები წარმოება - დაწესებულების თანამშრომლებს გაუკეთებენ მოხსენებას სახელმწიფო კრედიტების შესახებ და მისცემენ განმარტებებს ყოველგვარ კითხვებზე სესხის შესახებ.

საქ. სახელგამში

თვალსაჩინო ხელსაწყოები. სახელგამმა მიმდინარე წელს ძალიან გააფართოვა თვალსაჩინო ხელსაწყოთა, ფიზიკური და სალაბორატორიო მოწყობილობის განყოფილება. მიღებულია ზომები, რომ სკოლები თავის დროზე იქნენ დაკმაყოფილებული ხელსაწყოებით.

სარედაქციო კოლეგიის ახალი შემადგენლობა. სახელგამის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. დავ. [illegible], მის მოადგილეთ—ბ. ბიბინეიშვილი, წევრებად: მ. ტოროშელიძე, არჩ. ჩიქაძე, ს. მაჭულია, ა. ჭოჭიკაშვილი, ი. ბედია, ბუდიაშვილი, ბ. ბუაჩიძე.

სახელგამის ახალი გამოცემანი. რედაქციამ მიიღო: ზ. ბორისოვის „კოოპერატიული ქრესტომატია", გვ. 445, ფასი—3 მან.; „პიონერ მუშაობა სკოლაში"—64 გვ. ფ. 40 კ.; გუგულის—„პიესები"—გვ. 108, ფ. 70 კ.; „ვ. ლენინი სახალხო განათლების შესახებ"—გვ. 37, ფ. 20 კ.; სასკოლო ბიბლიოთეკის სერიიდან: ი. ჭავჭავაძის—„ოთარაანთ ქვრივი", გვ. 109, ფ. 30 კ.; ნ. ლომოური—„ყვაილის მხრიდან" გვ. 40, ფ. 15 კ., ე. ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდი", გვ. 87, ფ. 25 კ., ო. თუმანიანის —„გიქორ" გვ. 26; 12 კაპ. აგრეთვე ჟურნალები —„ოქტომბრელი"—№ 1. ფ. 35 კ. და „პიონერი" № 2. ფ. 25 კაპ.

ქუთაისი

აბჯეს-ქუთაისის ელექტრო-ხაზი

თებერვლის პირველ რიცხვებში დამთავრდა აბჯეს ქუთაისის ელექტრო-ხაზის გაყვანა.

10 თებერვალს მოხდება ხაზის დასრულების საზეიმო გახსნა და ახლად აგებულ წარმოებებისათვის ელექტრო-ენერგიის მიწოდება.

რევაგიტ-სატირის თეატრი

ქუთაისის რევ-აგიტსატირის თეატრი ამჟამად ამზადებს რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით სრულიად შერჩეულ ახალ დადგმებს. 10 თებერვალს ქუთაისის სახელმწიფო თეატრში მოხდება თეატრის გახსნა და შესრულებული იქნება პირველი პროგრამა, ხოლო 15 თებერვლიდან დასს განზრახული აქვს გასტროლების ჩატარება ბათომში, ფოთში, სენაკში, სამტრედიაში, ხონში, ზესტაფონში და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში.

საავადმყოფოს გაფართოება

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ ქალაქის საბჭოთა საავადმყოფოში გახსნა ახალი ნერვო-პათოლოგიური განყოფილება. ამ განყოფილებაში უკვე გაიგზავნა სპეციალისტი ექიმი და სათანადო საექიმო პერსონალი. სამკურნალოს მოსაწყობად აღმასკომმა გაიღო 1.500 მანეთი.

ახალი პროფსკოლა

ქუთაისის ქალთა განყოფილებამ ებრაელთა უბანში, ებრაელ ღარიბ ქალებისათვის გახსნა სამწლიანი პროფესიონალური ჭრა-კერვის სკოლა. სკოლაში ამჟამად მეცადინეობს 40-მდე მოწაფე. მასწავლებლად მოწვეული არიან სპეციალისტი მკერავები.

დაუდევრობით გამოწვეული ზარალი

ქუთაისის სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა სავაჭრო ორგანიზაციები რკინის გზის სადგურზე დაწესებულებების სახელზე ვაგონობით მიღებულ საქონლის ჩაბარებას მთელი კვირის განმავლობაში აჭიანურებენ. ამით დიდი ზარალი მოსდის სადგურის მიერ დადებულ ჯარიმების გამო ერთის მხრივ აღნიშნულ დაწესებულებებს, ხოლო ვაგონების და საწყობების მთელი კვირაობით დაბანდების გამო რკინის გზის სადგურსაც. დროა არის ასეთ დაუდევრობას სათანადო ყურადღება მიექცეს.

მეცნიერება და ტეხნიკა

ჰიპნოზი

საკითხი ჰიპნოზის შესახებ ფრიად საინტერესო და მეტად რთულია, მის ირგვლივ დაწერილა და იწერება მრავალი შრომები, მაგრამ ბევრი რამ კიდევ გამოსარკვევია.

ჰიპნოზი დღესაც შეადგენს ისეთსავე ღრმა პრობლემას, როგორიც ძილიანი სიზმარი; მისი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ბუნება ჯერ კიდევ არ არის დაძლეული. მოქალაქეთა ფართო წრეებს ჰიპნოზისადმი აქვთ შიშით და საიდუმლოებით აღვსილი დიდი ინტერესი. ბევრი ჰიპნოზს იყენებს ანგარებისათვის, პირადი ინტერესებისათვის.

შევეხოთ მოკლედ ამ მეტად მძიმე საკითხს, გავეცნოთ მის დღევანდელ მეცნიერულ ვითარებას და შევეცადოთ გავფანტოთ არსებული ბურუსი.

ჰიპნოზი ძლიერ წააგავს ძილს. მაგრამ იგი ხშირად ძილში გადადის, ჰიპნოზიდან განთავისუფლებისას ადამიანი იფშვნეტს თვალებს და ისე გრძნობს თავს, როგორც ძილის შემდგომ. ხან პირიქით, ძილი მოგვაგონებს ჰიპნოტიურ მდგომარეობას. მაგ., ცნობილია შემთხვევა, როდესაც ნერვიული სტუდენტი ძილში ბალიშზე ისე კითხულობდა ლექციებს და ამზადებდა გამოცდებს, თითქოს მართლა დაბეჭდილი ქაღალდი ჰქონდა თვალწინ. გარდა ამისა ჰიპნოზის და ძილის მსგავსება დასტურდება იმ გარემოებითაც, რომ ჰიპნოზში ისე, როგორც ძილში, ადამიანის კრიტიკა დაწეულია, იგი მოქმედობს თავისი ფსიქიური ცხოვრების დაბალი ფენებით, რასაც წარმოიდგენს, იმასვე დაინახავს, შეიგრძნობს, მაგრამ ყველა ამას განიცდის პასიურად, თითქოს იგი სხვას უცქერდეს.

მიუხედავად ზემოხსენებულისა ჰიპნოზი მაინც არ არის ძილი. ძილის დროს თავის ტვინი მთლიანად მოსვენებულია. ჰიპნოზის დროს კი მოსვენებულია მხოლოდ თავის ტვინის ზედა ნაწილი—ქერქი; რაც შეეხება ქერქქვეშა ნაწილს, იგი მოქმედობს უფრო გაცხოველებულად. ამიტომ ჰიპნოზის დროს თავისუფლად და გაადვილებულად სწარმოებს ე. წ. ფსიქომოტორიული პროცესები (სიარული, ლაპარაკი, სხვადასხვა დავალებათა შესრულება და სხვა). არის კიდევ ერთი დიდი განმასხვავებელი ნიშანი: ძილში ადამიანი სავსებით, ჰერმეტიულად ჩამოშორებულია ირგვლივ სამყაროს, ხოლო ჰიპნოზში არის ერთგვარი სარკმელი, რომლითაც ჰიპნოტიზიორი დაკავშირებულია ჰიპნოზში მყოფ ადამიანის სულიერ ცხოვრებასთან, ამიტომ მეცნიერებაში ჰიპნოზს უწოდებენ „ნაწილობრივ ძილს". ხან ჩვეულებრივ ძილშიაც შეიძლება ასეთი სარკმლის გარღვევა და მძინარესთან კავშირის დაჭერა. მაგრამ ასეთ შემთხვევებში უკვე არ არის ნორმალური მდგომარეობა. აქ საქმე გვაქვს უაღრესად ნერვიულ, ჰისტერიულ ადამიანთან. ჰიპნოზს ადარებენ აგრეთვე ისტერიკიანის გულყრას, მაგრამ განსხვავება დიდია: ისტერიკის გულყრის დროს [illegible], რაც იხსენიებს განვლილ ნერვიულ ჭრილობას, ხოლო ჰიპნოზის დროს ასეთ მოვლენას არა აქვს ადგილი.

— აქ ყველაფერი მოდის ჰიპნოტიზიორისაგან

რატომ ვითარდება ჰიპნოზი?

ჰიპნოზის გამოსაწვევად საჭიროა მივცეთ წინადადება, რომ სუბიექტმა გაშტერებით, თვალმოუშორებლად უცქიროს ერთს საგანს; ხანგრძლივი ასეთი მდგომარეობა ღლის, ფანტავს ადამიანს და გადაყავს ერთგვარ მოდუნებულ, ძილისებრ მდგომარეობაში; ამავე დროს ჰიპნოტიზიორი ეუბნება მას, რომ იგი მოისვენებს, დაიძინებს და სხვა. ეს სიტყვებიც, პროფ. შილდერის თქმით, ტვინზე ახდენენ თავის გავლენას და ადამიანი გადადის ჰიპნოტიურ ძილში.

ფლატაუს რწმუნებით, ჰიპნოზში გადადის მოქალაქეთა მხოლოდ 15 პროც.; ხოლო სისწრაფე და სიადვილე ჰიპნოზის გამოწვევისა, როგორც ამბობს ცნობილი მეცნიერი შილდერი, დამოკიდებულია არა ჰიპნოტიზიორზე, არამედ თვით ჰიპნოზში მყოფ სუბიექტზე: რამდენადაც უფრო სუსტ-ნერვებიანია ადამიანი, იმდენად ადვილად ვარდება ჰიპნოზში. პროფ. ასათიანს მოყავს შემთხვევა, როდესაც ავადმყოფი სიტყვაზე გადადიოდა ჰიპნოზში.

კრიტიკის დაქვეითებისა გამო ჰიპნოზში მყოფი ადამიანი ბრმად ღებულობს და ასრულებს ყოველ წინადადებას. ამ მოვლენაზე არის დაფუძნებული შთაგონება. მაგ., კარტოფილის მიწოდებისას ადამიანს შეიძლება შთავაგონოთ, რომ მას ხელთ აქვს ვაშლი და მართლაც იგი კარტოფილს დაუწყებს კბეჩას, ვითომ ვაშლი ეჭიროს ხელში. ყველაზე კარგად შთაგონება სწარმოებს საშუალო ჰიპნოზის დროს, რადგან ზერელე ძილში კრიტიკა არაა მოსპობილი, ხოლო ღრმა ჰიპნოზში ფსიქიკა სრულიად დაინვალიდებული და პასიურია. ამნაირად შთაგონება რომ მოვახდინოთ, ტვინს მაინც საჭიროა ერთგვარი აქტივობა. პროფ. ასათიანის რწმუნებით, შთაგონება და საერთოდ მკურნალობითი ეფექტი სუსტია იმ შემთხვევებში, სადაც ადვილად ვითარდება ჰიპნოზი.

უნდა ითქვას, რომ ჰიპნოზში შეუძლებელია შთაგონება რაიმე ბოროტმოქმედების ან სხვა მოქმედების, რომელიც ეწინააღმდეგება სუბიექტის ზნეობრივ სურვილებს.

რას გვაძლევს ჰიპნოზი?

ჰიპნოტიური შთაგონებით შეიძლება მოვსპოთ მრავალი ავადმყოფობანი, მავნე ჩვეულებანი და სხვა; ხმარობენ მას აგრეთვე აღმზრდელობითი, პედაგოგიური მიზნებისათვის. მიუხედავად ამისა ჰიპნოზს სამკურნალო მეცნიერებაში მაინც ეპყრობიან ერთგვარი სიფრთხილით, რიდით. სხვადასხვა ნერვიულ ჩივილების და მავნე ჩვეულებების მოსასპობად აუცილებლად საჭიროა სულიერი, ნერვიული გამკვრივება და აი სწორედ ეს ფაქტია მიზეზი იმ გარემოების, რომ ჰიპნოზს დღეს მიმართავენ მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში და განსაზღვრულ შემთხვევებში, ვინაიდან ჰიპნოზი ადამიანს არც კი ამაგრებს, არამედ უფრო აკნინებს, ხდის პასიურს და უნვითარებს სუსტნერვიანობას. ექიმის თუ მასწავლებლის მიზანს შეადგენს პიროვნების გამკვრივება, დახვეწა, გააქტივება, გაკაჟება, ხოლო ჰიპნოზი მოქმედობს პირიქით: ცნობილ მეცნიერის პროფ. სერბსკის თქმით იგი უფრო მეტად აინვალიდებს მშიშარ და ისეც სუსტ ადამიანს.

ჰიპნოზი რთული საგანია, მას სჭირდება საღი მეცნიერული მიდგომა, ზერელე ინტერესს კი მოაქვს მხოლოდ ზიანი და არავითარი სარგებლობა.

ორდინატორი ა. ზურაბიშვილი

ექსპედიცია სამხრეთ პოლიუსისაკენ

წარსულ წელს სამხრეთ - პოლიუსისაკენ გაემგზავრა სამი ექსპედიცია, მათ რიცხვში ბერდისა და ვილკინსის.

ახლა მიღებულია ზოგიერთი ცნობები ექსპედიციების მუშაობის შესახებ.

დეკემბრის შუა რიცხვებში ვილკინსი ვეშაპებზე სანადირო გემით, რომელზედაც მოთავსებული იყო აგრეთვე მისი აეროპლანი, მივიდა იმ ყინულოვან ბარიერთან, რომელიც გარს აკრავს სამხრეთ - პოლიუსს. აქედან ვილკინსმა მოახერხა გაფრენა ათასი კილომეტრის მანძილზე. ეს პირველი გაფრენაა სამხრეთ პოლიუსის რაიონში. ამით ვილკინსმა დაამტკიცა, რომ ატმოსფერა ანტარქტიკაში შესაძლებელად ხდის გამოკვლევის ამ საშუალების გამოყენებას, თუმცა პირობები მეტად მძიმეა და საშიშათაც მფრინავისათვის.

ვილკინსის ცნობები გადაეცა ბერდის ექსპედიციას უკანასკნელმა კი რადიოთი გადასცა ამერიკაში. ცნობამ ვილკინსის გაფრენის შესახებ დიდი ინტერესი გამოიწვია მეცნიერებს შორის.

ბერდის ექსპედიციამ დეკემბრის დამლევს მიაღწია სამხრეთ - პოლიუსის მატერიკს და შეუდგა მზადებას ძირითადი ბაზის მოსაწყობად აეროპლანების გასაფრენათ და ხანგრძლივი გამოკვლევებისათვის სამხრეთ - პოლიუსის გარშემო.

კაპ. ვილკინსი

ფრენის მანძილის ახალი რეკორდის დამყარების ცდა

კრენველის აეროდრომზე (ინგლისი) დასათვალიერებლად გამოფენილია აეროპლანი, რომლითაც ორი ინგლისელი მფრინავი—ვილიამსი და მაჟორი—შეეცდება დაამყარონ ფრენის მანძილის ახალი რეკორდი. გაფრენა მოეწყობა მარშრუტით ლონდონი-კეიპტოუნი (სამხრეთ-აფრიკა), დაახლოებით 10.000 კილომეტრის მანძილზე და გაგრძელდება 3 დღე და ღამე. აეროპლანი სპეციალურად ამ გაფრენისათვის დაამზადეს და ყურადღებით გამოსცადეს. მისი კონსტრუქციის დეტალებს საიდუმლოდ ინახავენ. გარეგნულად — ეს არის მონოპლანი, რომლის ფრთების სიგრძე 25 მეტრს უდრის, ფრთებში მოთავსებულია ჭურჭლები საწვავი მასალით. მფრინავების ოთახი დახურულია ყოველი მხრიდან. ოთახის ჭერში, კედლებში და იატაკზე გაკეთებულია ფანჯრები მინებით, რომლებიც არ ტყდება. აეროპლანზე დადგმულია „ნეპირლაიონის" 550 ძალიანი მოტორი. მფრინავების ოთახის (კაბინის) კედლები გაკეთებულია მასალიდან, რომელიც არც სითბოს და არც სიცივეს არ ატარებს. ამრიგად მფრინავები დაცულნი იქნებიან აფრიკის უდაბნოების საშინელი სიცხისაგან და ხმელთაშუაზღვის სიცივისაგან. მფრინავებს თან მიაქვთ სურსათ-სანოვაგის დიდი მარაგი. აეროპლანზე არის; ელექტრონის ფეჩი, რომელზეც მფრინავებს შეუძლიათ საჭმელის გაკეთება; პნევმატიური ფეჩი, მორიგეობით დასაძინებლად და სხვა მოწყობილობანი. მინიმალური კომფორტის უზრუნველსაყოფად. მაგრამ ეს კომფორტი არც ისე დიდია, რადგან აეროპლანის კონსტრუქტორი მიზნად ისახავდა რაც შეიძლება შეემცირებინა აეროპლანის წონა, რომ მეტი საწვავი მასალა მოთავსებინა მასზე. მფრინავებს თან მიაქვთ 4 ნახ. ტონა ბენზინი. აეროპლანზე მოიპოვება საუკეთესო სანავიგაციო ხელსაწყოები. კურსის (მიმართულების) გამოსარკვევად მფრინავების განკარგულებაშია სწორედ ის ავტომატიური კომპასი, რომლითაც ლინდბერგი სარგებლობდა ატლანტის ოკეანეზე გადაფრენის დროს. ეს კომპასი, როგორც კი აეროპლანი სწორ გზას ასცდება, მაშინვე ხმაურობით აცნობებს მფრინავს ამ ამბავს. ამრიგად, მფრინავს მხოლოდ ის ლა დარჩენია, რომ თვალყური ადევნოს სიგნალებს და გზისგან აცდენის დროს, გამოასწოროს მიმართულება.

მიუხედავად იმისა, რომ გაფრენის მოწყობის ინიციატორებს ყველაფერი აქვთ გათვალისწინებული, მთელს ამ საქმეს მაინც ავანტიურის სუნი უდის. განსაცვიფრებელია ის გარემოება, რომ აეროპლანზე, რომელმაც ასე დიდი მანძილი უნდა გაიაროს, არის მხოლოდ ერთი მოტორი და ისიც შედარებით პატარა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მოტორი გაფუჭდა (მან კი განუწყვეტლივ 72 საათი უნდა იმუშაოს), მფრინავები უნდა დაეშვან. ეს კი, აფრიკის პირობებში, აშკარად სიკვდილს [illegible]. ლინდბერგმა თავისი გაფრენის დროს, რომელსაც „სიგიჟე" უწოდეს, გაიარა 3.000 კილომეტრზე ცოტა მეტი, ე. ი. იმ მანძილის სამი მესამედი, რომელიც ვილიამსმა და მაჟორმა უნდა გაიარონ.

სტატისტიკური მუშაობის მექანიზაცია



საკავშირო ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში სტატისტიკოსთა და მთვლელთა მუშაობას მანქანა ასრულებს.

აპარატში იდება სპეციალურად მომზადებული, ე. წ. პერფორაციული ბარათები, აპარატი ბარათებსაც ითვლის და ამავე დროს ჯამს უკეთებს ბარათებზე აღნიშნულ ციფრებს. მანქანა წუთში ასრულებს 140 ოპერაციას და საჭიროებს მხოლოდ ერთი კაცის მეთვალყურეობას.

სურათზე—მანქანა მუშაობის დროს.

ავტობუსი საწოლებით

შეერთებულ შტატებში ამ რამოდენიმე ხნის წინად ააგეს ორსართულიანი საწოლი ავტობუსი, რომელიც დანიშნულია მიმოსვლისათვის ქ. სან-დიეგოსა და სან-ფრანცისკოს შორის, ახლო ხანში აგებული იქნება ასეთივე ტიპის კიდევ რამდენიმე ავტობუსი, რომლებიც ივლიან მარშრუტით — კალიფორნია-აღმოსავლეთის შტატები და კალიფორნია-ვანკუვერი (კანადა).

ახალი ავტომობილის კორპუსი დამზადებულია დიურალიუმინიდან ისე, რომ მთელი მანქანა იწონის 7 ტონას. ავტომობილი შიგნიდან გაყოფილია 13 ცალკე ოთახით, თითოეულ ოთახში არის ორი მოსაკეცი საწოლი, პირსაბანი, ელექტრონის ლამპა და სხვ.

ავტობუსზე არის ელექტრონის სამზარეულო. ამრიგად მგზავრებს შეუძლიათ ცხელი საჭმელების მიღება გზაში.

ახალი ავტობუსის თავისებურობას წარმოადგენს მისი მოტორი, რომელიც შეიძლება ადვილათ მოიხსნას და შეიცვალოს ახლით. ეს აძლევს მას უდიდეს უპირატესობას სხვა მანქანების წინაშე, რადგან არ მოელის საფრთხე იმის, რომ გზაში მოუხდება დიდხანს დგომა მოტორის გაფუჭების გამო. ძველი მოტორის მოსახსნელათ და ახლის დასადგმელად საჭიროა მხოლოდ 20 წუთი, ავტობუსის საბარგო ნაწილები, მათ შორის მოტორები, მოიპოვება ყველა ავტო - სადგურებში, რომლებიც გზაში მრავლადაა მოწყობილი.

საბჭოთა რენტგენის აპარატების გამოფენა

კიევის რენტგენის ინსტიტუტის სახელოსნოებმა მოაწყო გამოფენა, რომელზედაც ნაჩვენები იქნა მიღწევები რენტგენოლოგიის დარგში. სურათზე—კიევში დამზადებული აპარატები, რომლებიც წინეთ უცხოეთიდან შემოგვქონდა.

საჭმელი მიწა

იაპონიიდან მიღებული ცნობით, ვულკანის ძირთან მცირე სიღრმეზე ნაპოვნია რაღაც ლაბისებური (სტუდნ) ნივთიერება, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა საჭმელად ხმარობს. იაპონელ მეცნიერთა გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ხსენებული ნივთიერება საჭმელად გამოსადეგია. ამასთან დაკავშირებით, ინტერეს მოკლებული არ იქნება გავიხსენოთ, რომ კალორიობა სხვა ორგანიული წარმოშობის ყოველგვარ პროდუქტებს, რომელთა მონელება ცოტად თუ ბევრად მაინც შეუძლია კუჭს. ზოგიერთი კერძი, რომელსაც ევროპიელი არც კი შეხედავდა, აზია-აფრიკაში სანატრელად ითვლება. მაიმუნის ხორციდან დამზადებულ ლორზე, ნიანგის ხორციდან დამზადებულ კატლეტზე, შემწვარ გველზე, ვირთხებზე, ხვლიკებზე, ქიებზე და სხვ. რომ არ ვილაპარაკოთ ზოგიერთ ხალხების საჭმელი შესდგება ისეთი კერძისაგან, როგორიც არის შემწვარი პეპლები, პური ჭიანჭველებიდან, კალიებიდან და სხვ. იაპონელები მშვენიერ სალათს ამზადებენ ქრიზანტემების ფოთლებიდან, მარმელადს მოხარშული კრაზანებიდან და ფქვილს წყლის შამბების ბოლქვებიდან. იაპონიაში საჭმელად ხმარობენ 200-ზე მეტ წყლის მცენარეს.

აეროპლანი მოსაკეცი ფრთებით



შეერთებულ შტატებში ააგეს ახალი პატარა აეროპლანი „ფერჩილდ", რომლის ფრთები იკეცება. აეროპლანს პატარა ადგილი უჭირავს და შეიძლება მოთავსებული იქნეს ჩვეულებრივ ავტოგარაჟში.

სურათზე—აეროპლანი მოკეცილი ფრთებით.

სასამართლო

გამომძიებელი, რომელსაც „ცუდათ იხსენიებენ“

— შინაურ ლაპარაკში მას ძალიან ცუდათ ახსენებენ ვაჭრები, მიკიტნები, ფეხსაცმელის მწარმოებლები, მკერავები და სხვა. მოქალაქეები ახალციხეში — ჩვენებს ერთ - ერთი მოწმე, რომელიც დაკითხულია ამ საქმის გამო.

— საერთოდ ვერ სტოვებდა კეთილსინდისიერი კაცის შთაბეჭდილებას. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ასეთი რამ: დაპატიჟებდა ხალხს რესტორანში, გამართავდა სუფრას, რომელსაც ჩიტის რძეც არ აკლდა, გაილეშებოდა და შემდეგ „დაპატიჟებულ“ ხალხს აძლევინებდა დანახარჯს..

ლაპარაკია ახალციხის სახალხო გამომძიებელ გრიგოლ სამსონის ძე უშვერიძეზე.

„რატომ ახსენებდნენ ცუდათ უშვერიძეს?“ ამ კითხვას თვითონ მკითხველები გასცემენ პასუხს, როცა გაეცნობიან უშვერიძის „საგმირო საქმეებს“.

როცა ქ. ახალციხეში ჩავიდა გრიგოლ უშვერიძე, როგორც ახლად დანიშნული გამომძიებელი, მაშინვე ახალი კოსტიუმი დაუკვეთა ვაჭარ აკოფიანს. გამოეწყო უკანასკნელ მოდაზე. ახალი კოსტიუმის შეკერვის წლისთავზე კი აკოფიანი უშვერიძის კარებთან იყო ატუზული და ემუდარებოდა: „გამისტუმრეო“.

ვაჭარ ანჯელოვთან უშვერიძემ გაიხსნა განუსაზღვრელი კრედიტი. გაჰქონდა „ნისიათ ფართალი. ვაჭარ ანჯელოვს ნისია ეხლაც გაუნაღდებელი აქვს.

როგორც მასალებიდან სჩანს, ვაჭარ ანჯელოვის წინააღმდეგ აღძრული ყოფილა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც გამომძიებელ უშვერიძეს „გამოუძიებია“, რის შემდეგ უშვერიძის კრედიტი ანჯელოვის საფართლოში გაფართოებულა.

„ნისიასთან“ ერთად გამომძიებელ უშვერიძეს უყვარდა ფულის „სესხად“ აღება „ჯამაგირის მიღებამდე“. მაგალითად, ექიმ ასათიანისაგან უშვერიძეს „უსესხებია“ 80 მანეთი და დაპირებია: ჯამაგირის მიღებისთანავე დაგიბრუნებო. მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო, უშვერიძემ ბევრჯერ მიიღო ჯამაგირი, მაგრამ ვალის გასტუმრება არც კი უფიქრია. უკვე წელიწად ნახევარია, რაც დაპირებებით ისტუმრებს უშვერიძე ასათიანს.

ეხლა კიდევ ერთ ფაქტს მოვიყვანთ გამომძიებელ უშვერიძის „პრაქტიკიდან“ და სავსებით გასაგები გახდება, თუ რისი ღირსიც არის ხელისუფლების სახელის შემლახველი გამომძიებელი.

ამას წინად, აბასთუმნის კოოპერატივის ყოფ. გამგის არჩილ ალხაზიშვილის წინააღმდეგ პრესაში გამოქვეყნდა კორესპონდენცია, რომელიც მთელ რიგ ბრალდებებს შეიცავდა. გამომძიებელ უშვერიძეს დაევალა საქმის გამორკვევა. მან აბასთუმნიდან გამოიძახა ალხაზიშვილი. ისაუბრეს, ითათბირეს, „პური სჭამეს“.

რამდენიმე ხნის შემდეგ გამომძიებელი უშვერიძე ალხაზიშვილის საკუთარი ეტლით, ნიავს იქროლებდა, აბასთუმნისაკენ მიექანებოდა.

აბასთუმანში გამგე ალხაზიშვილს უშვერიძე! „ჯამაგირის მიღებამდე“ 15 მანეთი გამოართვა, ეს თანხა ეხლაც მასზე ირიცხება. რამდენიმე დღის შემდეგ, საქმე ალხაზიშვილის შესახებ გამომძიებელის სათანადო დასკვნით, სათანადო მამხილებელ საბუთების უქონლობის გამო (!) მოსასპობათ იქნა წარდგენილი.

საქმე მოისპო, მაგრამ უშვერიძე ჯერ როდი სპობს საქმეს, რადგან „მაღარიჩი“ ჯერ არ მიუღია.

და ერთ დღეს გამომძიებელი სასწრაფოდ იბარებს აბასთუმნიდან ალხაზიშვილს.

რაშია საქმე? რა მოხდა? შიშმა შეიპყრო ალხაზიშვილი, რომელიც ფიცხლავ მოეშურება ახალციხეში.

— შენი საქმე მოვსპე, ეხლა ცოტა საქმე მაქვს და სადილობის დროს გამომიარე, — ეუბნება უშვერიძე დაფეთებულ ალხაზიშვილს.

— სულ ეგ იყო კაცო! მე შიშისაგან გული საგულეს აღარ მაქვს! — ეუბნება ალხაზიშვილი, რომელიც მიხვდა, თუ რას ნიშნავდა „სადილობის დროს გამოიარე“.

უშვერიძემ დააპატიჟა თავი ალხაზიშვილს. გამართა ქეიფი, რომლის დასრულების შემდეგ „ჯამაგირის მიღებამდე“ ოცი მანეთი კიდევ გამოართვა ალხაზიშვილს და წასვლის წინ დაუბარა:

— თუ კაცი ხარ, „ზაგრონიჩნი“ ლორიგანი ჩამიგზავნე. აბასთუმანში ბევრი იშოვება.

„ლორიგანიც“ მეორე, თუ მესამე დღეს მიიღო უშვერიძემ.

ასეთი იყო უშვერიძე. ამიტომ ახსენებენ მას ცუდათ. ამიტომ ზის ის გამასწორებელ სახლში.

მისი საქმე ახლო ხანში გაირჩევა.

ზერ.

ამინდი საქართველოში

9 თებერვალს დილით საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში ასეთი ამინდი იყო:

სოხუმი. ჩრდ.-აღმოსავლეთის სუსტი ქარი, ყინვა 8 გრ. (წინა დღით თოვდა).

ფოთი. აღმოსავლეთის სუსტი ქარი, ყინვა 8 გრ. (წინა დღით ძლიერი ქარი და თოვლი).

ბათომი. ყინვა 7 გრად. (8-ში—თოვლი და ქარბუქი).

სამტრედია. აღმოსავლეთის სუსტი ქარი, ყინვა 8 გრად. (წინა დღით—თოვლი).

ტყიბული. ყინვა 16 გრად. (წინა დღით და ღამით თოვლი და ქარბუქი).

ჭიათურა. ყინვა 12 გრად. (წინა დღით—თოვლი და ქარბუქი).

ბორჯომი. აღმოსავლეთის სუსტი ქარი, ყინვა 13 გრად. (წინა დღით თოვლი, ღამით—თოვლი და ქარბუქი).

ლიბანი. ყინვა 18 გრად.

აბასთუმანი. ყინვა —18 გრად. (წინა დღით—თოვლი).

გორი. ყინვა 10 გრად., 8-ში ქარბუქი.

გუდაური ყინვა 20 გრად.

ცხვრის ფარის დაღუპვა

8. თებერვალს საღამოს დილომის მიდამოებში დაიწყო ქარბუქი. ქარბუქში მოხვდა ცხვრის დიდი ფარა. მეცხვარეებმა დახმარებისათვის მიმართეს ადგილობრივ მცხოვრებლებს.

აღმასკომის თავმჯდომარის თაოსნობით შეიკრიბა 200 კაცი, რომლებიც გაეშურენ მეცხვარეების დასახმარებლად. ცხვრის ფარის ნაწილი გადარჩენილია. დაღუპული ცხვრების რაოდენობა არ არის გამორკვეული. ქარბუქის დროს დაიღუპა ერთი უღელი ხარი და ერთი ცხენი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

მამუკა ცქიტიშვილი.

შემთხვევები

მესამე სართულიდან გადმოვარდნა

გუშინ, დილით, მესამე სართულიდან მოულოდნელათ გადმოვარდა ვლადიმერ კაჩანოვი (მცხ. პლეხანოვის პროსპექტი № 11) და მძიმედ დაშავდა.

კაჩანოვს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს რკინის გზის საავადმყოფოში.

სკოლის ნივთების გატაცება

ამას წინად მე-101 შრომის სკოლის დარაჯმა ემელიანე (ნიკოლოზ) ივანეს ძე ივანოვმა გაიტაცა ამავე სკოლის კუთვნილი სხვადასხვა ნივთები და მიიმალა. ამ დღეებში სისხლის სამართლის მილიციამ ივანოვი დააპატიმრა. იგი გამოტყდა დანაშაულში. გატაცებული ნივთები აღმოჩენილია.

გაფლანგვა

დაპატიმრებულია ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე წამალაშვილი, რომელმაც საქართველოს სარეწაო კოოპერატიულ სატრანსპორტო არტელში მუშაობის დროს გაფლანგა სახაზინო 300 მანეთი.

ქურდობა

სილიბისტრო ქურხილაძეს თავისუფლების მოედანზე ჯიბიდან ამოაცალეს 83 მანეთი და 75 მანეთის ობლიგაციები, — გაქურდეს ოგანეზ მანუკოვის ბინა (იორის შესახ. № 20), წაიღეს 100 მანეთის ნივთები; — გარდა ამისა, 9 თებერვალს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის ხუთი შემთხვევა.

მცირეწლოვანი დამნაშავენი

ა. წ. 2 თებერვალს, აბელ ეპიტაშვილს (მცხ. ბესიკის ქ. № 14) მისმა ბიძაშვილმა ემელიანე კარაპეტის ძე არუთინოვმა (12 წლისა) მოპარა 600 მანეთი. როგორც გამოირკვა, ქურდობაში მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე არუთინოვის ამხანაგები: სამუელ რუმისის-ძე სტოლოვიცკი (12 წლისა) და ალექსი ევგენის ძე მეი (11 წლისა). მათ განზრახული ჰქონდათ გატაცებული ფულით ბათომისა და მისი მიდამოების დათვალიერება.

მცირეწლოვანი დამნაშავენი პასუხისგებაში არიან მიცემული. ფული აღმოჩენილია.

რეციდივისტი

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ცნობილი ქურდი - რეციდივისტ., გაბრიელ ნიკოლოზის ძე თევზაძე (იგივე ნიკოლოზ მინას ძე ამაღლობელი), რომელსაც დაპატიმრებისას აღმოაჩნდა მოპარული ინკუბატორი.

ვისია მანქანა

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა საკერავი მანქანა. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 4, ვ. ხელაძესთან.

განმარტება

ჩვენი გაზეთის № 22-ში მოთავსებულ ცნობა, რომ ქურდობისათვის დააპატიმრეს ირაკლი მაისურაძე, არ შეეხება ირაკლი ილიას ძე მაისურაძეს (მცხ. შ. არაგვისპირელის ქ. № 20).

რადიო-გადაცემა

კვირას, 10 თებერვალს

დღეს თბილისის რადიო-გადამცემი სადგური 1075 მეტრიან ტალღაზე გადასცემს შემდეგ პროგრამას:

პიონერთა რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; საბავშო კონცერტი; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; გლეხური კონცერტი—საცეკვაო მუსიკა; პიონერთა რადიო-გაზეთი, რუსულ ენაზე; გლეხის საათი—„ბაღისა და ვენახის რაციონალური გასხვლა“—ქართულ ენაზე; კომკავშირის რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; კომკავშირის რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე; რადიოს მეგობართა საზოგადოების საათი (ტექნიკური კონსულტაცია); ოპერა „დემონ“-ის ტრანსლიაცია—(მივაის მონაწილეობით); ამინდის ბიულეტენი და დროის შემოწმება.

ორშაბათს 14 თებერვალს

პიონერისა და მოწაფის საათი რუსულ ენაზე; რადიო გაზეთი ქართულ ენაზე; „წითელ არმიელი“ რადიოთი (წითელ არმიელთა გაზეთი); ტრანსლიაცია ლექციისა, რომელსაც წაიკითხავს პროფ. ბოლოტნიკოვი ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ხელმძღვანელი პარტაქტივისათვის—„მატერიალისტური დიალექტიკის საფუძვლები“ რუსულ ენაზე; ჩვენი პოეტები და მწერლები მიკროფონთან; კონცერტი ისტორიულ ციკლიდან—„დასავლეთის მუსიკა ადრინდელ პერიოდში“; კვირეული პროგრამის გადაცემა ესპერანტოს ენაზე. კონცერტის გაგრძელება, უკანასკნელი ამბები. ამინდის ბიულეტენი და დროის შემოწმება.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტთათბირი კინო-საკითხებზე

ორშაბათს, 11 თებერვალს, საღამოს 6 საათზე კინო-მრეწველობის სამმართველოში შესდგება პარტთათბირი კინო-საკითხებზე. თათბირზე უნდა გამოცხადდენ შემდეგ ორგანიზაცია-დაწესებულებათა წარმომადგენელნი: კინო-მრეწველობის გამგეობა და სამხატვრო საბჭო, ხელოვნებათა მთავარმმართველობა, პროფსაბჭოს კულტგანყოფილება, მთავპოლიტგანი და თბილისის პოლიტგანი, კომკავშირის ცეკა, თბილისის კომიტეტი, გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქცია, კომკავშირის ცეკა და თბილისის კომიტეტი, წითელი არმიის პოლიტსამმართველო, პროლეტმწერალთა ასოციაცია, მუშათა კლუბები, თბილისის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებანი.

რადიო-კომისიის სხდომა

ორშაბათს, 11 თებერვალს, დილის 10 საათზე საქართველოს კომპ. ცეკას აგიტპროპ-მეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში მოწვეულია რადიო-კომისიის სხდომა, რომელზედაც უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: იონოვი, კვანტალიანი, სტურუა (რადიო-სადგური), ზედია, მიქაძე და მაშკევიჩი.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს, ორშაბათს, 11 თებერვალს, შუადღის სრულ 12 საათზე გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 66) ამხ. გორდელაძესთან: მიხეილ სპირიდონის ძე ალანია, ნიკოლოზ სიმონის ძე გოდერძიშვილი, ესტატე ივანეს ძე გვილავა, კონსტანტინე დავითის ძე ჯაჭიევი, გერმანე ალექსანდრის ძე ჯიბლაძე, დიმიტრი სიმონის ძე ჯორბენაძე, ისაკი იზმაილოვი, მიხეილ გრიგოლის ძე კალცა, რუბენ კირილეს ძე კბილაძე, ვლადიმერ გაბრიელის ძე ლეჟავა, თედორე თედორის ძე მუხოედოვი, ესტატე ასლანის ძე მამასახლისოვი, ევგენი ალექსის ძე სირაძე, ალექსანდრე აზარის ძე ურუშიძე, სერგო ივანეს ძე ფეოდოროვი, ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ფედოტიევი.

ლენინის რაიონის მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყ. იუწყება, რომ ორშაბათს, 11 თებერვალს, საღამოს 5 საათზე რაიკომის დარბაზში მოწვეულია ქალთა აქტივის თათბირი.

დასწრება ყველა ქალ - აქტივის სავალდებულოა.

ორშაბათს, 11 თებერვალს, 1-ლ საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის ბიურო-კოლექტივთან არსებულ აგიტ-კომისიის სხდომა, აგიტ-კომისიის წევრების დასწრება აუცილებელია.

კვირას, 10 თებერვალს, დილის 10 საათზე თბილისის სახ. უნივერსიტეტში განახლდება პოლიტწრეების მუშაობა; პარტიის წევრები, კანდიდატები, და კომკავშირის წევრები უნდა გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს ყველა უჯრედის წევრკანდიდატთა საყურადღებოთ, რომ მიმდინარე პოლიტიკის წრეებში მეცადინეობა განახლებულია დღეიდან, 10 თებერვლიდან.

სისტემატიური დასწრება ყველა წევრკანდიდატთათვის სავალდებულოა.

საქართველოს მბეჭდავთა კავშირის ცენტრალური გამგეობა და ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიურო აუწყებს კავშირის ყველა წევრებს, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა კავშირის ძველი წევრი ჟურნალისტი

პეტრე ტიტეს ძე გერძო-ვინოგრადსკი

(ლ ოენგრინი)

სამშაბათს, 12 თებერვალს, სოფ. კულაშში ვასაფლავებთ ჩვენს უსაყვარლეს არსებას, მუშფაკის მე-3 კურსის მსმენელს

აგრაფინა თედორეს ასული სტურუას

რასაც ვაუწყებთ საზოგადოებას დამწუხრებული მშობლები და ნათესავები

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მარიამი, შვილები—ილიკო და ხინო აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ

გიორგი ივანეს ძე ანთაურის

გარდაცვალებას. გამოსვენება ა. წ. 10 თებერვალს, დღის 12 საათზე ქალაქის 1-ლ საავადმყოფოდან. დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 411

შვილები ვიქტორი, ნოე და ხიკიფორე ოჯახობით, ძმები-გიორგი, ნოე, იროდი და სერგი, ბიძე ბოლქვაძეები აუწყებენ ნათესავთ-ნაცნობებს მათთვის საყვარელი

მადა გლახუნის ასული კილასონიას

უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება 12 თებერვალს, დღის 3 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი ტრამვაის ახალი სახლიდან (მე-3 კორპუსი) (ე)

დესპინე როსტომის ასული ჭავჭავაძისა, ბაგრატ და მარო ჭავჭავაძეები, ოლღა და პლატონი ქორდაძეები და აგრაფინა და გიორგი მაეიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი ქმრის, მეორენი მამის და მამამთილის, მესამენი და მეოთხენი მამისა და სიმამრის

ალექსი ივანეს ძე ჭავჭავაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ხონში სამშაბათს, 12 თებერვალს, საშუადღეოს 4 საათზე (ე)

რუსთაველის თეატრი

კვირას, 10 თებერვალს, ზ. ლავრენევის

რ ღ ვ ე ვ ა დრამა 4 მოქმ. თარგმ. ბ. ფაღავასი

დადგმა: ალ. ახმეტელის. მხატვარი: ირ. გამრეკელი.

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში. მუშათა სასახლე ოთახი № 1.

2—1 ნ. 2229

საქკინმრეწვის კინოები

განთიადი	ქარიშხალის კანონები
აპოლო	ჯიმი ხიგინს
არფასტო	ყინულთა სამეფოში (ლაშქრობა ყინულებში)
სოლეი	ქალიშვილი გემიდან
კალასი	მეშვიდე ცაზე
მინიონი	ნამდვილი ჯენტლმენი
დარბაზი	კ ა ტ ო რ ღ ა
პროლეტარი ავლაბარი	გილიანის ასული

კატორღა

ჯიმი ხიგინს

მსოფლიო ფილმი ჩინგიზ-ხანის შთამომავალი რეჟ. ვ. ი. პუდოვკინი

ნამდვილი ჯენტლმენი

ტარზანი ჯუნგლების ბრძანებელი

ყინულთა სამეფოში (ლაშქრობა ყინულებში)

0—9

ხვალ ორშაბათიდან, 11 თებერვლიდან,

კინო-თეატრებში:

პალასი-სოლეი-არფასტო

„მეჟრაბპომ ფილმის“-ის ნაწარმოები

მსოფლიო ფილმი

ჩინგიზ ხანის შთამომავალი

რეჟისორი **პუდოვკინი**

ოპერატორი: ა. გოლოვნია

მთავარ როლებში: ვ. ინკიჟინოვი, ჩისტიაკოვი და ა სუდაკევიჩი

ყველამ უნდა ნახოს ეს არაჩვეულებრივი ფილმი!

საქ. სახკინმრეწვის ნაწარმოები

(1928—29) წლის სეზონი

-მ ა ლ ე

ვ. ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე.
თ. ჭავჭავაძე, ტ. ლამბაშიძე.
თ. მენზონი, ს. ჟორჟოლიანი,
და 5 წლის სერგო ზაგოზლაევი, სურათში

კომუნარის ჩიბუხი

(ი. ერენბურგის ნოველის მიხედვით)

რეჟისორი **კოტე მარჯანიშვილი**

ოპერატორი **ზაგოზლაევი**

მუშკოოპი უკეთესგვარი ზომისა და ფერის

ლინოლეუმი,

საფაბრიკო წებო და მასტიკა ლინოლეუმისათვის

იყიდება სპეციალურ მაღაზიაში № 480

კომინტერნის (ყოფ. სასახლის) ქ., № 6. მაღაზიას ჰყავს ლინოლეუმის დამგები სპეციალისტი—ოსტატი.

ნ. 2236 2—1

დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ ცხადდება

რომ ვინაიდან მუშაობა ნავთსადენის გასაყვანად ხაშურ-ბათომის რაიონში დამთავრდა ა. წ. 15 თებერვლიდან მოხდება

აზნავთშენის კანტორების ლიკვიდაცია

ძობულეთში, სამტრედიაში, ზესტაფონში და ხარაგოულში. 3—1 ნ. 2234

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

დღეს

სანახაობა 3 განყოფილებად მთელი დასისა და **ახალი გასტროლიორების მონაწილეობით**

ამერიკელი ექსცენტრიკოსი მწვრთნელი ჰ ა რ ო, კონტრიუკისტი მარენი, მოჯირითე ჰას ნ-ბაბი, ექსცენტრიკოსი აკრობატები ადელინა და ჟანი

გრძელდება ჰიპნოტიზიორ **ორნალდოს** გამოსვლები (მასიური ჰიპნოზი) ახალი ცდები

კვირას 10 თებერვალს,

დღისით სანახაობა ახალი პროგრამით

მონაწილეობს ყველა ახალი გასტროლიორები და მთელი დასი დასაწყისი დღის 2 ს. დღისით ადგილების ფასი ჩვეულებრივია

3—2 ნ. 2235

იჩქარეთ ნახოთ!

პირველად საბჭოთა კავშირში! პირველად თბილისში! ისეთი რამ, რაც ჯერ არავის უნახავს!

სამხეცე ცხოველთა სამყარო



ყოჩაღი კლუბის (ყოფ. არტოს) ბაღში ჩამოყვანილია იშვიათი ეკზემპლიარები

მფრინავი ძაღლები

ყველამ უნდა ნახოს ეს მეტად იშვიათი ეკზემპლიარები.

სამხეცე ღიაა ყოველდღე დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე.

ანონსი: ჩამოდის ტროპიკულ ტყეების საშინელება?

ნ. 2082 υ—14

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი

კ. პოტემკოვსკი

აცხადებს, რომ ის 14 თებერვალს 1929 წ. დღის 12 საათზე სახლში № 18 (სოლომონის) ყელიაზოვის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის პეტროს მინასიანცის მოძრავ ქონებას: ტანსამოსის და ბუფეტის შკაფებს, კამოდს, კრაოტს, პირსაბანს, ლიუსტრას, ფარდაგს, ხალიჩას და სხვ. შეფასებულს 535 მანეთად, თბილისის მუშათა მთლიან კოოპერატივის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 10 ივლისი 1927 წ. თარიღით, № 6314 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა.

ნის. 2247

ქრა-კერვის გაკვეთილები

ქართულ და რუსულ ენებზე

ბოლგარსკაია

კალინინის ქუჩ., № 83, მოწაფეების ჩაწერა საღამოს 4 საათიდან 7 საათ.

24—4 94

ექ. დ. ლ. თევზაძე

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოუშლილობანი ხმის და მეტყველებისა

აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა

პონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)

მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ.

გარდა კვირა დღეებისა. 25—6

რაჭა-ლეჩხუმის მაზრის ამბროლაურის და ჭრებალოს უბნების სახ. სასამართ. აღმასრ. გ. ავალიანი

ამით აცხადებს, რომ ის ა. წ. 22 თებერვალს სოფ. სადმელში, მოქ. დათიკო დარისპანის-ძე კერესელიძის ეზოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის უკანასკნელის მოძრავ ქონებას, სახელდობრ: ოცდაშვიდ ღერ თელის ხის ფიცარს (სისქეთ 1 3/4 ვერშ., სიგრძეთ 4—5 და 6 არშინი) ერთ ურემს, და 600 ღერ ყავარს სიგრძით 2 ნახ. არშ., ვასილ დარისპანის-ძე კერესელიძის ვალის დასაფარავად. საფუძველი: ამბროლაურის უბნის სახ. სასამართლოს ბრძანებითი დადგენილება 1928 წ. 21 დეკემბრის თარიღით. 396

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის ა. წ. 14 თებერვალს დღის 3 საათზე მილიციის ქუჩა № 13-ში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არტემ ოგანეზოვის ორსართულიან თუნუქით დახურულ, რვა საცხ. ოთახისა და ერთი სამზარეულოსაგან შემდგარ სახლს, რომელიც მოთავსებულია 60 კვ. საჟ. მიწაზე, შეფასებულს 1.300 მანეთად, საბჭოთა მუშაკების კავშირის და სხვათა ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 1928 წ. 21 აპრილს 9 მაისს და 10 ივლისის თარიღით, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა № 1358-1612-2758. ვაჭრობა ჩატარდება ს.ს. კოდექსის 311-312 მუხლების დაცვით. 407

ქუთაისის 1-ლი უბ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა

ამით აცხადებს, რომ ის ა. წ. 22 თებერვალს დღის 2 საათზე, მახარაძის ქუჩაზე ალიბეგოვის სახლში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ნიკოლოზ კალისტრატეს-ძე ჩიკვაიძის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს, პიანინოს, ტანისამოსის შკაფს და სხვ., შეფასებულს სულ 680 მანეთად, მარიამ და ლევან ჩიკვაიძეების დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქუთ. მე-2 უბ. სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლისა № 5803. ქონება გაიყიდება როგორც ერთად, ისე ცალობითაც. 406

ქ. თბილ. მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებ. ნ. ი. იზორია

აცხადებს, რომ ის 1929 წ. 16 თებერვალს დღის 1 საათზე სახლში 1 | 8 ფიგნერის (ყოფ. ფერისცვალების და მაცხოვრის) შესახვევში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ბაგრატ ვართანოვის და ალექსანდრე შიხიანის ორ სართულიან ქვიტკირის სახლს, რომელიც შესდგება ოთხი საცხ. ოთახისა და 2 სამზარეულოსაგან. შეფასებულს 1.000 მანეთად კარაპეტა საგაიანის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. მე-4 სახ. სანოტარო კანტორის 27 დეკემბრის 1927 წ. თარიღით № 4703 გაცემულ წარწერისა. ვაჭრობა ჩატარდება ს.ს. კოდექსის 311—312 მუხლების დაცვით. 397

საქართველოს ფინსახკომი

ამით აცხადებს სარეწავ გადასახადით საერთო წესით დასაბეგრ სახელმწიფო საწარმოოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციების, აგრეთვე არტელების, კოლექტივების და კერძო-სავაჭრო-სამრეწველო საწარმოების მფლობელთა საყურადღებოდ,

რომ ა. წ. 15 თებერვალს თავდება ვადა 1927 | 28 წლის ბრუნვის მიხედვით გამოანგარიშებულ სარეწავ გადასახადის განაკვეთების და პირველი სამი ვადის ავანსის თანხის შორის განსხვავების აღრიცხვის შესახებ უწყებების დაგზავნისა. ხსენებულ უწყებების ამ ვადაში მიუღებლობის შემთხვევაში გადამხდელებმა უნდა მიმართონ სახელმწიფო გადასახადთა ამკრეფ ორგანოს, რომელსაც დავალებული აქვს გადამხდელებისადმი ასეთების ჩაბარება. კერძოთ, ქ. თბილისში უწყებებს აბარებს სახელმწიფო გადასახადთა ამკრეფი სექცია, რომელიც მოთავსებულია სახელმწიფო ბანკის სააგენტოს შენობაში, ხაზინის ქუჩაზე, სახლი № 3. საჩივრები სამაზრო საგადასახადო კომისიების სახელზე მიიღება პირდაპირ გადასახადთა სათანადო ინსპექტორის მეშვეობით ა. წ. 15 მარტამდის. საჩივრის შემოტანა არ აჩერებს გადასახადის გადახდას და საურავის დარიცხვას და აგრეთვე უწყების მიუღებლობაც არ შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც საფუძველი განსაჩივრების ვადის აღსადგენად.

1928 29 წლის სარეწავ გადასახადის ანგარიშში შემოსატან ავანსების ხაზით შემდგენელ განსხვავების გადახდის ვადები დაწესებულია სახელმწიფო საწარმოოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციათათვის თანაბარ ნაწილებით ა. წ. 15 მაისს და 15 ივლისს, ხოლო დანარჩენ საწარმოოთათვის 15 მარტს და 15 ივნისს.

ურჩ გადამხდელების წინააღმდეგ მიღებული იქნება იძულებითი ზომები ვიდრე ქონების აღწერა გაყიდვამდე.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი—**მგალობლიშვილი.**

საგადასახადო სამმართველოს უფროსის მაგიერ—**ჩიქოვანი.**

ნ. 2248

გრძელდება ხელის მოწერა 1929 წ.

და

დაიბეჭდა და გამოვიდა

ჟურნალი

„საქართველოს ეკონომისტი“

№ 1

შ ი ნ ა ა რ ს ი:

I. სტატიები:

მოწინავე—სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის გამო

პროფ. ს. ქურდიანი—საქ. სატყეო მეურნეობის განვითარების პერსპექტივები 1927-28—1932-33 წ.წ.

გ. ხოფერია—მეაბრეშუმეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

გ. ოქროპირიძე—საბჭოთა მეურნეობათა მშენებლობის პერსპექტივები საქართველოში

ა. ჟუჟუნიძე— საქონლის ბრუნვის პრობლემები საქ. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით

ა. სიგუა— საქ. მეურნ. და ფინანსების პერსპექტივა 1928-29—1932-33 წ.წ.

პროფ. ბ. ზეხტმანი—ჭიათურის მარგანეცი და მისი კონკურენტები

ე. მ. იუშკინი—ქერჩ-ტყვარჩელის კომბინატი

კ. ბერეკაშვილი—მევენახეობის გაუჯანსაღებისათვის

ვ. ხა-ლი—კომუნალურ საწარმოთა ქონების ამორტიზაცია

II. მიმოხილვა

გ. შუკიანი—საქ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობა და ფინანსიური მდგომარეობა

III. პრესა, ინფორმაცია:

IV. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

1. ი. რუბინი. Абстрактный труд и стоимость в системе Маркса—რ. მელაძე: 2. Контр. цифры народного хозяйства УССР на 1928—29 г.—ბ. თ. 3. Б. Сегаль. Индустриализациа СССР—უ. ზ.; 4. ჟურნ. „Экономическое обозрение“ № 12—ე. ი. 5. ჟურნ. „Изобретатель“ № 1 — ა. ბ. 6. Gustave Kassel. Grundlagen der teoretichen Ökonomie—ა. 7. უცხოეთის ჟურნალებში. კრიზისი საერთაშორისო კარტელ-ტრესტებში—ი.

ოზურგეთის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებ. მ. მაქსმენიშვილი

აცხადებს, რომ მის მიერ 13 თებერვალს, დღის 12 საათზე ხვარბეთის თემში **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება იოსებ ნიკოს-ძე კუპრაძის კუთვნილი წიფლის მასალის ორი თვალი დ უმთავრებელი ოდა დახურული ყავრით, აზეტა კუპრაძის და პუპი მიმინოშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ოზურგეთის უბნის სახალხო სასამართლოსაგან 2 ივნისის 1928 წლის თარიღით № 1364 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა. გასაყიდი ქონება შეფასებულია 120 მანეთად და ამ თანხიდან დაიწყება საჯარო ვაჭრობა. თუ რაიმე მიზეზის გამო აღნიშნულ რიცხვს ვაჭრობა არ შესდგება, იმ შემთხვევაში განმეორებული ვაჭრობის დღეთ დანიშნულია 22 თებერვალი. 408

ქ. ქუთაისის მე-1 უბ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა

ამით აცხადებს, რომ ის ა. წ. 28 თებერვალს, დღის 2 საათზე, ივანოვ-მარდალეიშვილის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ერმილე თეიმურაზის ძე კუნიანიძის ერთ სართულიანს ხის შეტკეპილ სახლს. სახლი შესდგება 6 საცხოვრებელი ოთახი და ერთი სამზარეულოსაგან, სახლს ზედმოდგმული აქვს სარაი, აქვს სამხრეთის მხრით აივანი, დახურულია კრამიტით. ეზო დაახლოებით უდრის ოთხას კვად. საჟენს, სახლი შეფასებულია 500 მანეთი თანხიდან დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს ცნობები სამოქ. საპ. კოდ. 311 მუხ. თანახმად და საწინდარი შეფასების 10 პროც. ქონება იყიდება სახ. ბანკის ქუთ. განყოფილების და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლათ. 406

დაკარგვა: საბჭ. და სავაჭ. კავშირის წიგნაკი № 8910 ვლადიმერ კორინთელის სახელზე, ჩ. გ. 384

დაკარგვა: პროფკავშირის წიგნაკი № 6943 აკაკი კალაძის სახელზე, ჩ. გ. 400

დაკარგვა: („ზანკვოენპის“) საწევრო წიგნაკი მარიამ ავაქოვის სახელზე, ჩ. გ. 401

დაკარგვა: მეტრიკული მოწმობა თამარა ალექსანდრეს ასული ჩემიავას სახელზე, ჩ. გ. 399

თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილება

აცხადებს, რომ არავის, არც კერძო სახლების პატრონებს და არც დაწესებულებებს არ აქვთ უფლება თხარონ ქუჩაში მიწა და გამოაჩინონ საკანალიზაციო მილები. დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

კანალიზაციის ყველა საკითხზე მსურველთ უნდა მიმართონ საკანალიზაციო განყოფილებაში.

ნ. 2244 კომუნალური განყოფილება.

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს (პრაქტიკა 1910 წ.) 1929 სასწ. წლის მათემატიკასა და რუსულ ენაში

უმაღლეს სასწავ., 9 წლედის მოწმობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა სკოლებში შეიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., 8 ჯგუფში შესავალი საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს.

პლეხანოვის ქ. და ჩერნიშევის ქუჩ. კუთხე 25 | 5.

ნახვა 9—12 ს. საღ. 2—6 საათ.

402 3-1

ქ. ქუთაისი ექიმი ი. ხ. შველიძე

კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეზხაპუნება „914“, ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა)

მიღება: დილის 8—9 საათამდე საღამ. 7 ნახ.—9 საათ.

ქალები და ბავშვები დღისის 2—4 საათამდე

მისამართი: ივანოვ-მარდალეიშვილის 1-ლი შესახვევი № 9 სახლი ბალათურიასი

200 25—1

ექიმი ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—9

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს ხაშარდე, ხქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები.

ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ქ. ქუთაისი ექიმი თ. ვ. აკოფაშვილი

შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).

ნ. 25

ექიმი ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.

ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

ექიმი ს. ი. ანდრეევისა

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა

მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ელსმენი—11—78.

18—ნ. 25—1

ექიმი—ვენეროლოგი ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)

საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში

საღამოობით 4—6 საათამდე სწარმოებს ავადმყოფების მიღება დაკლებულ ფასებში. მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126

ნ. 19—25—11

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 109 25 | 1

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედის კაბინეტისა

ა ს წ ო რ ე ბ ს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, იფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132.

13—1 352

ექიმი კ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

თვალის ექიმი მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. ყოფ. ელისაბედისა № 47, ელსმენი № 5—90.

ექიმი ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)

მიღება: დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

25—1

კბილის ექიმი დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ტელ. 10—14 412 25—1

თმის მკურნალობა ვ. ი. დანილევსკაიას

საექიმო კოსმეტიკა

ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი, ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5 დან—8 მდე. 25—1

დაკარგვა: პარტიის საწევრო წიგნაკი № 0862678 ნესტორ ადამიას სახელზე, ჩ. გ. 403

დაკარგვა სამხედრო ბეგრისგან განთავისუფლების მოწმობა დავით ისხაკისძე ჩახაშვილის სახელზე, ჩ. გ. 403

დაკარგვა: განათლების პროფკავშირის წიგნაკი გაცემული სენაკის სამაზრო განყოფილების მიერ ანა ლომაიას სახელზე, ჩ. გ. 403

დაკარგვა: განათლების კავშირის წიგნაკი № 22342 გაცემული ივლიანე ჯაიანის სახელზე ჩ. გ. 304

დაკარგვა: განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 537 ეთერი გველესიანის სახელზე, ჩ. გ. 404

დაკარგვა: ტრანსპორტის კავშირის წიგნაკი № 1643 სიმონ უჯმაჯურიძის სახელზე, ჩ. გ. 398

დაკარგვა: ა. ლ. კ. კ. წიგნ. № 10448 გაც. 4 ქალ. რაიკომისაგან და ვინაობის მოწმობა გაც. თბ. 5 უბნის მილ. № 535 შალვა ალექსანდრესძე ფურცხვანიძის სახელზე, ჩ. გ. 395

დაკარგვა: პირადობის მოწმობა, გაცემული ბაღდადის თემაღმასკომის მიერ, სანადირო ცალპირიანი თოფის ხმარების მოწმობა, გაცემული ქუთაისის სამაზრო მონადირეთა კავშირის მიერ ვასილ ანთიმოზის ძე ენდელაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2243

დაკარგვა სამხედრო აღრიცხვის ნუსხა, გაცემული ქუთაისის სამაზრო სამხედრო კომისარიატის მიერ ბიქტორ ისლამისძე ქარცხიას სახელზე. ჩ. გ. 2241

დაკარგვა: მიწა-ტყის კავშირის საწევრო წიგნაკი № 3242, გაცემული ქუთაისის მიწა-ტყის კავშირის მიერ მიხეილ გოგბერაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2242

დაკარგვა: ქუთაისის მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 97 იოსებ გიორგის ძე შალამბერიძის სახელზე ჩ. გ. ნ. 2241

დაკარგვა: ქუთაისის მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 866 სარდიონ ივანეს ძე გოკლიჩიძის სახელზე, ჩ. გ ნ. 2241

დაკარგვა: პირადობის მოწმობა გაც. მე-76 შრომის სკოლიდან, დამზღვევ სალაროს წიგნაკი და მუშკოოპის საწევრო წიგნაკი, სერაპიონ ალექსის ძე შენგელიას სახელზე, ჩ. გ 401

დაკარგვა: კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 9373 ნიკოლოზ ჯავახიძის სახელზე, ჩ. გ. 411

დაკარგვა: პირადობის მოწმობა გაცემული თბილისის მთ-ვარ სახელოსნოდან გრიგოლ დავითის ძე ტაბატაძის სახელზე, № 5528 ჩ. გ. 409

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, ყაზ ოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.